

ვერდი

REGION

ყოველთვიური გამოცემა

ფასი 1,50 ლარი

№7 2015 სექტემბერი

ქრისტე LIFE-ის გარეგანი 52 წლის
შედეგ მიიღოვალა
ისევე იხილეს



*თეიხურაზ ღლონგი - უკველესი სავინე ჭურჭელი-
ქვევრი და ვაზის მივინყუბული ქართული ჯიუბები*

*კოსლერულა იმალანბა ბამორჩიული სარგებელი
სენადაქვეითებულ ბავუბებს მოუბანა*

იუნესკოს მუვიდოგის აკგისგი, პინისგი ელისო გოლქვაკე

ბ ე ბ ი ა

კარი შევადე და თვალი გადავავლე,
იყო ჩემი ვზო ფოთლით არეული,
ძველი ხის სახლი კი ცალკე ობლად იდგა,
როგორც უკუნითი დამე მთვარეული.

ღმერთო, დამანახე დილით ცისარტყელა,
ისევ დაუბრუნე ვზოს გაზაფხული,
მეც რომ აქ ვიქნები, შვილებს დაინახე
ჩემი მონატრება აქვე დამარხული.

არა, მე არ მინდა სევდით შევუკუო,
მინდა გავაცოცხლო ჩემი ვზო-კარი,
ის ხომ ბუბიასთვის ბოლო ღზენა იყო,
სახლი ზღუდედ დარჩა, ჩვენი მეგობარი.

სარკმელს მივეახლე, თვალი გადავავლე,
თოვლი ალავ-ალავ იყო დაფენილი,
რტოზე ჩიტუნები ისევ ეღურტულებენ,
ჩემი ოცნებაა მათთან ვაფრენილი.

აქვე სარეველა ბილიკს ეღობება,
თითქოს მახე იყო გზაზე დაკეპული,
აღბათ, შენც ივრძენი რაზე დამაფიქრა,
სახლსაც დარდი მქონდა ჩემებრ წამებული.

თონეც დაძლილია, მახსოვს აელევა,
ბებოს გამოსედა, მზებით დარებია,
თვალზე ცრემლი მომდის, თქვენთან ბევრი მომდის,
როგორ მუჯარებია, როგორ მუჯარებია.

ფიქრში დარდიც მეტევის, შენ ხომ ნატვრა გსურდა,
მეტევის, მოლოდინი ბუბომ ავისრულა,
ისე მომუნატრა შენთან შევეება,
ცრემლი მონატრების ბავჯს მოედება.

ხშირად მიმეორებს, - სახლს ნუ მიატოვებ,
თუ არ ავუსრულებ, ნაღველს დაუტოვებ,
ბარდნის ორღობეში, ეველა გარინდულა,
მისი ხმა არ მესმის, აღბათ, დამენდურა.

ბარდნის ორღობეში, მე ვგრძნობ სულ სხვა
სითბოს,
ამავს ამ ღოცვებით, ღმერთი ჩემით ითხოვს,
მე რომ მას შევხედები, ისევ ვაღიმებულს,
მაშინ შვილებს ვნახავ, ღოცვით დადინჯებულს.

ვანა პოეზია შენ არ შთამავონე?
შენი სითბო იყო, მე კი მოვივონე,
თონეც ჩაძლილია, მახსოვს აელევა,
ბებოს გამოსედა, მზებით დარებია,
თვალზე ცრემლი მომდის, თქვენთან ბევრი მომდის,
როგორ მუჯარებია, როგორ მუჯარებია.

გოგა ბოჭორიშვილი

(ვუძღვნი ჩემს გურულ წინაპრებს)



ნარღვნამდელი სამყაროს მეშვიდე პატრიარქი (წინასწარმეტყველი წმ. ენუქი)2

ციმბირული ბაღზამი4

აფხაზეთი - სამხრეთ ჯავასიის სამკაული6

ბუდემოშლოილი8

გმირები ჭაბუკებად დარჩნენ მარად.10

თეიმურაზ ღლონტი - ქვევრის იდეოლოგი12

რედაქციისაგან:14

ყველაფრისგან ფულის ამოქაჩვას ცდილობენ15

ჩოხატაურის საჯრებულოს მორიგი სხდომა15

ჩვენ სერიოზების სასოწარხვეთილი მაყურებლები ვართ16

სამედიცინო ტურიზმის პერსპექტივა და მომავალი18

სასმენი აპარატების დანერგვა საქართველოში ზურაბ ქევანიშვილს უკავშირდება19

იუნესკოს მშვიდობის არტისტი, პიანისტი ელისო ბოლოქვაძე20

სმენადაქვეითებული ბავშვები და მათი ინტელოქტი21

სტრესი და მასთან ბრძოლა23

რატომ არის პრობლემატიური სიბრძნის უბილი24

ქართველი გოგონა ყურნალ **Life**-ს გარეჯანზე25

სილამაზის კონკურსის გამარჯვებული28

მხატვარ შოთა დარჩიას პერსონალური გამოფენა29

„ხასანბეგურას“ წარმატება30

ბათუმის მარგალიტი - 2015 წ.30

დღიური ჩემთვის აღსარებაა31

ვარძიის გამაგრების ეს მეთოდი საქართველოში პირველია33

ლოგენდა ნატანებზე34

გურული ხუმრობები36

<p>მთავარი რედაქტორი – ლალა სურგავა</p> <p>მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5</p> <p>ტელ: 558 25 65 50;</p> <p>ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru</p>	<p>კვირფასო მკითხველგო!</p> <p>მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ყურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	---

ქრული თაჱსუფალი ჰრანის ჰრინციჱთ ხელმძჱნალოხს.

რელაქციანი ჰმოსული მასალაჱის სიზუსტაჱა ჰასუნს აგაჱს აჱტორი, ხოლო სარაჱტლამო ტაჱსტაჱა ჰასუნისგაბალოა რაჱტლამის ჰმანჱეთს აჱისრაჱა.

წარღვნააღმდეგი სიბრძნის მკვლევარი კარგია

წინასწარმეტყველი წმინდა ენუქი

წმინდა ენუქი წინასწარმეტყველი იყო ძველი, წარღვნააღმდეგი სამყაროს მეშვიდე პატრიარქი, შემდგომ ადამისა, გამორჩეული მაღალი ზნეობრიობით, სინმინდითა და ღვთისმოსაობით. ძველებრად სიტყვა ცჰინუცჰ აღნიშნავს განათლებას, სიბრძნეს, სულიერებას. სახელი „ენუქი“ ასევე ნიშნავს დამწყებს და მსაჯულს. წმ. ენუქი მოღვაწეობდა 622-987 წ. ადამიდან. ძველ აღთქმაში ენუქის ცხოვრება აღწერილია დაბადების წიგნში: „იცოცხლა ენუქმა 65 წელი და შვა მეთუშალახი. დადიოდა ღმერთთან ენუქი მეთუშალახის დაბადების შემდეგ სამასი წელი და შვა ძენი და ასულნი. სრული ხანი ენუქისა იყო სამას სამოცდახუთი წელი. დადიოდა ღმერთთან ენუქი და აღარ იყო, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა“ წმინდა ენუქი სეთის შთამომავალი, იარედის შვილი, მეთუშალახის (იგივე მათუსალა) მამა და ნოეს დიდი ბაბუაა. ბიბლიის თანახმად, სხვა პატრიარქებისაგან განსხვავებით, მხოლოდ წმინდა ენუქს და ილია წინასწარმეტყველს არ განუცდიათ სიკვდილი და განსაკუთრებული, სათნო ცხოვრებისათვის ცოცხლად იქნენ აყვანილი ზეცად, ანუ სხეულებრივად აიტაცა ისინი უფალმა. პავლე მოციქულის ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ, ვკითხულობთ: „რწმენით გარდაიცვალა ენუქი, ისე, რომ არ უხილავს სიკვდილი და ველარავინ დალანდა, რადგან ღმერთმა წაიყვანა იგი; ვინაიდან სიკვდილამდე მიიღო მოწმობა, რომ ესათნოვა ღმერთს“.



ბიბლიური ტრადიცია

ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, წმინდა ენუქი კვლავ დაბრუნდა დედამიწაზე და ილია წინასწარმეტყველთან ერთად ამხელს ანტიქრისტეს. წმინდა ნერილში და ეკლესიის მამათა ნაშრომებში მითითებულია ამ ორი წინასწარმეტყველის მოსვლაზე ამქვეყნად. რამდენიმე წლით ადრე ქვეყნის აღსასრულამდე, ამ ავტორიტეტულ, უტყუარ ცნობებში საუბარია ილიასა და ენუქის მამხილებელ ქადაგებაზე, რაც ანტიქრისტეს წინააღმდეგ იქნება მიმართული, მათ მიერ აღსრულებულ სასწაულებზე, შემდგომ მათ მოწამეობრივ სიკვდილზე, მკვდრეთით აღდგომასა და ცად ამალეებაზე.

ბიბლიაში პირდაპირ არიან დასახელებული ილია წინასწარმეტყველი: „და, აჰა, მე მოგივლენ თქვენ ილიას თეზბიტელსა პირველ მოსვლისა დღისა უფლისასა დიდსა და განჩინებულსა, რომელმან კუალად მოაგოს გული მამისა ძისა მიმართ და გული კაცისა მოყუისისა მისისა მიმართ. ნუ მოსრულმან მოვსპო ქუეყანა მყის.“ და ენუქი, როგორც ბოლო ჟამის წინასწარმეტყველი: „მათვის იწინასწარმეტყველა ენუქმა, მეშვიდემ ადამის შემდეგ, რომელმან თქვა: აჰა, მოვიდა უფალი მისისივე წმიდათა სიმრავლით, რათა განსაჯოს ყველანი და ამხილოს უღმერთონი მათივე უღვთო საქმეთა და ღვთისმგმობლურ სიტყვათა გამო, მის მიმართ რომ იტყოდნენ უღვთო ცოდვილნი“. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი – ზაქარია თავის წიგნში გვამცნობს აპოკალიფსის ორი მაცნის, წმინდა ენუქისა და ილიას შესახებ:

„მოზრუნდა ანგელოზი, რომელიც მელაპარაკებოდა და გამაღვიძა, როგორც ძილისაგან აღვიძებენ კაცს. მითხრა: რას ხედავ? ვუთხარი: ვხედავ, აჰა, მთლიანი ოქროს სასანთლეა, მის თავზე ჯამია და შვიდი მილი აქვს ზემოთ. ორი ზეთისხილის ხეა მის გვერდით, ერთი მისი ჯამის მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ... მივუვებ და ვუთხარი მას: რა არის ეს ორი აკიდო ზეთისხილისა ორი ოქროს მილის გვერდით, საიდანაც ოქრო იღვრება? მითხრა: არ იცი რა არიან ესენი? ვუთხარი: არა-მეთქი, ჩემო ბატონო. მითხრა: ორნი ცხებულნი არიან ესენი, მთელი ქვეყნის უფლის წინაშე მდგარნი.“ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში, რომელიც არის გვირგვინი წინასწარმეტყველებათა, დამონშებულია, რომ „ზეთისხილის ხე და ორი სასანთლე“ არის სწორედ ეს ორი წინასწარმეტყველი: ენუქი და ილია. გამოცხადებაში აღწერილია მათი დედამიწაზე დაბრუნება, ანტიქრისტეს მხილება, მოწამეობრივი აღსასრული და ცად ამალეება: „და მივცემ ორ მოწამეს ჩემსას და იწინასწარმეტყველებენ 1260 დღეს ძაძით მოსილნი... და თუ ვინმე მოინდომებს მათ ვნებას, ამგვარად მოკლულ უნდა იქმნეს. და მათ აქვთ ხელმწიფება ზეცის დასმვისა, რათა არ იწვიოს მათი წინასწარმეტყველის დღეებში, და აქვთ ხელმწიფება წყალთა მიმართ, რათა სისხლად აქციონ და ათასგვარი წყლულით მოწყლან ქვეყანა, როცა ინებებენ.“

როდესაც ალასრულებენ წინასწარმეტყველებას მათსა, მხეცი, უფსკრულიდან ამომავალი, შეებრძოლება მათ და მოაკვდინებს მათ. და მათი ცხედრები დაიყრება მოედანზე დიდი ქალაქისა, რომელსაც სულიერად ეწოდება სოდომი და ეგვიპტე, სადაც ჯვარს ეცვა მათი უფალი. და მრავალნი ხალხთა და ტომთაგან, ენათა და ერთაგან სამღვინახევარს უყურებენ მათ, და არავის დაანებებენ საფლავად დადებას მათსა. და მიწის მკვიდრნი იხარებენ და ილხენენ მათ გამო, და ძღვენს უძღვნიან ერთმანეთს, რადგანაც ამ ორმა წინასწარმეტყველმა ანამა მიწის მკვიდრნი. მაგრამ სამნახევარი დღის შემდეგ სიცოცხლის სული შევა მათში ღმრთისაგან, და ორივენი წამოდგებიან ფეხზე, და თავზარი დაეცემა ყველას, ვინც კი უმზერდა მათ და მოესმათ მგრგვინავი ხმა ზეცით, რომელმაც უთხრა მათ: ამოდით აქ და ავიდნენ ისინი ზეცას ღრუბლით. და იხილეს ისინი მათმა მტრებმა.“

საეკლესიო გადმოცემა, შემონახული ჩვენს საღვთისმსახურო წიგნებში, და წმინდა მამები ადასტურებენ, რომ ბოლო ჟამის ორი წინასწარმეტყველია – წმინდა ენუქი და წმინდა ილია. მაგალითად ხორციელის კვირაში საკითხავ სვინაქსარში ნათქვამია, რომ ქვეყნის დასასრულამდე, სიტყვისაებრ, დანიელ წინასწარმეტყველისა, მოვლენ ენუქ და ელია, რომელნიც ადამიანებს უქადაგებენ არ მიიღონ და არ აღიარონ იგი (ანტიქრისტე) ღვთის მსახურად. ის კი დასტანჯავს მათ და თავებსაც ნარჰკვეთს. კვალად, ელია წინასწარმეტყველის მსახურებაში წერია: „ელია ტეზბიტელო, უხრწნელად დაგაბა ღმერთმა, რათა სიკვდილი არ იგემო, ვიდრე ყოველგნით არ იქადაგებ ქვეყნის დასასრულისთვის!“ ტროპარში ილია წინასწარმეტყველი განიდიდება როგორც „მეორე წინამორბედი ქრისტეს ამქვეყნად მეორედ მოსვლისა“.

20 ივლისის „მეტაფრასში“ ვკითხულობთ: „ესე ილია, ენუქთან ერთად უნდა მოვიდეს ამქვეყნად ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, ანტიქრისტეს სამხილებლად და მორწმუნეთა სანუგეშებლად“, მაგრამ მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, ადამიანთა უმრავლესობა, არა თუ ვერ დაინახავს ანტიქრისტეს გარეგნული სათნოების მთელ სიყალბეს, არამედ მეტიც – ალტაცებით შეხვდება მას და განადიდებს კიდევ. ეფრემ ასური წერს, როცა ხალხი „ესოდენ სათნოებით“ და „ძალთ“ იხილავს, ყველას ერთი აზრი გაუჩნდება – მეფედ აღიაროს და გამოაცხადოს იგი, და ერთურთს ასე ეტყვიან: მოიძებნება კი კაცი, ეგზომ კეთილი და მართალიო!“ პირველნი დიდნი მსხვერპლნი ანტიქრისტეს სასტიკი დევნულებისა გახდებიან მისი მამხილებელნი – წმინდა წინასწარმეტყველნი ენუქ და ილია.

ეკლესიის ორი დიდი მამა – ეფრემ ასური და იოანე დამასკელი გვასწავლიან, რომ ორ მონამეში, რომელთა ამქვეყნად მოვლინება ჯერ-არს ქვეყნის აღსასრულის წინ, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი – ენუქ და ილია უნდა შევიცნოთ (ე. ასური – „სიტყვა უფლის მეორედ მოსვლისათვის“; იოანე დამასკელი – „ზუსტი გადმოცემა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“).

XVII საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე, ღირსი ნილოს მირონმდინარე, წიგნში „სიკვდილის შემდგომი შეგონებანი“, დაწვრილებით აღწერს ანტიქრისტეს მოსვლის წინა



ატენის სიონი VII საუკუნე დასავლეთ აფხიდი წინასწარმეტყველი წმინდა ენუქი

პერიოდს. აქ საუბარია ბოლო ჟამზე, ანტიქრისტეს ბეჭედზე, წმ. ენუქისა და ილიას ქადაგებაზე ამ ბეჭდის წინააღმდეგ, მათ მონოდებაზე, რომ განსაცდელის ჟამს ჯვრით შემოიზღუდონ თავი ქრისტიანებმა: „როდესაც წყეული იგი ხელმწიფება დაინახავს ილიასა და ენუქს, რომლებიც ადამიანებს უქადაგებენ, რათა არ მიიღონ ბეჭედი ანტიქრისტესი, მათ შეპყრობას ბრძანებს. წინასწარმეტყველნი კი ადამიანებს დაარწმუნებენ, რათა ისინი არ აღიბეჭდონ ანტიქრისტეს ბეჭდით, ეტყვიან მათ, – ვინც გამოავლენს მოთმინებას და არ მიიღებს წყეულ ბეჭედს, იგი გადარჩება

და უფალი უსათუოდ დაუმკვიდრებს მას სასუფეველს მხოლოდ იმის გამო, რომ არ მიიღო ბეჭედი. დაე, ყველამ გამუდმებით გამოისახოს პატიოსანი ჯვრის ნიშანი, რამეთუ ბეჭედი ჯვრისა ადამიანს ჯოჯოხეთის სატანჯველისაგან განათავისუფლებს, ხოლო ანტიქრისტეს ბეჭედი კი კაცთა მოდგმას საუკუნო სატანჯველში ჩაჰყრის“... წმ. ენუქისა და ილიას მამხილებელ ქადაგებათა გამო გამძვინვარებული ანტიქრისტე შეიპყრობს მათ და მლიქვნელური სიტყვებით შეეცდება მოხიბლოს ისინი, ხოლო პასუხად კი მიიღებს: „მეფობაი შენი გვძაგს, ხოლო დიდებასა შენსას კი შენს ბეჭედთან ერთად შევაჩვენებთ!“ ამ პასუხით განრისხებული ანტიქრისტე „ცოფიან ძაღლს“ დაემსგავსება და ორივე წინასწარმეტყველს საკუთარი ხელით მოჰკლავს“. ამის შემდეგ აღსრულდება მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც არის იუდეველთა საკვირველი მო-

ქცევა ქრისტესადმი, უფლის ორი დიდი წინასწარმეტყველის: ენუქისა და ილიას უდიდესი ღვაწლის შედეგია. ისინი ხომ სამნახევარი წლის მანძილზე დაუფარავად ამხილებდნენ ანტიქრისტეს და დიდი ღვთაებრივი ძალითაც იქნებიან შემოსილნი, ამასთან, უდიდესი ზეგავლენა ექნება მათს მონამეობრივ აღსასრულს, სასწაულებრივ აღდგომას მკვდრეთით და ზეცად ამაღლებას, რისი მონმენიც სწორედ ისრაელში მცხოვრებნი გახდებიან. ამასვე გვიდასტურებს წმინდა წერილიც იუდეველთა მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ანტიქრისტეში მძვინვარე გაბოროტებას გამოიწვევს და მაშინ იქნება „ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაით ვიდრე აქამომდე“. „და მიეცა მას (მხეცს – ანტიქრისტეს) ბრძოლისაცა – ყოვად წმიდათა მიმართ და ძღვევად მათდა; მიეცა მას ხელმწიფებაი ყოველსა ზედა ტომსა და ერსა და ენასა და ნათესავსა“. ნეტარ არს ის, ვინც ბოლომდე დაითმენს, რადგან „ბოლომდის დამთმენი გადარჩება“. ანტიქრისტეს „მეფობის“ შემდგომ, უკვე, დადგება ჟამი სამყაროს აღსასრულისა და იესო ქრისტედ მეორედ მოსვლისა. ჩვენ კი შევეთხოვით წმინდა, დიდ წინასწარმეტყველ ენუქს, მეოხება წინაშე ღვთისა!

ტროპარი წმინდა ენუქისა

საღმრთოთა გალობითა ენუქს ვნატრიდეთ, რამეთუ სათნო ეყო ღმერთსა, და მიცვალა დიდებათ და ზესთა ექმნა სიკვდილსა ვითარცა წერილ არს, მისთვის, რაჟამს ვითარცა ერთგულსა მონასა პატივსცა მას უფალმან!

ქრისტეს მეორედ მოსვლისა წინამორბედო და წინასწარმეტყველო ენუქ, ევდრე ყოვლისშემძლე, დაუსრულებელ სიყვარულს, რათა ცოდვათა შენდობა მოგვანიჭოს და სულთა ჩვენთა დიდი წყალობა. ამინ!

100% ნატურალური პროდუქტი! „ციმბირული ბალზამი“ ჯანსრთელობა ციმბირის სიღრმიდან



15 წელზე მეტია, რაც არსებობს სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც შექმნილი იყო „ციმბირული ბალზამი“.

რომლის რეცეპტურა მოპოვებული იყო უძველესი ალტაის რეცეპტების აღდგენითი სამუშაოების დროს.

ბალზამს შესწევს უნარი მისცეს შვება ავადმყოფს მრავალი სახის დაავადებების დროს, გააჯანსაღოს და დაიცვას ორგანიზმი მრავალი სნეულებისგან.

მისი უმველა კომპონენტები არის ნატურალური და ბაიოლოგიური თავისი სასარგებლო თვისებებით. მისი უმველა:

ნატურალური თაფლი — ამ მედიკამენტის პროდუქტზე ბევრი ითქვამს და დაიწერა, ის დღემდე რჩება მეუცვლელ პროდუქტად ადამიანის ჯანმრთელობის გასაძლიერებლად. თაფლს გააჩნია უმდიდრესი შემადგენლობა. ის სასარგებლოა ყველასათვის. ზრდის ორგანიზმის იმუნუიტეტის საწინააღმდეგო უნარს, აუმჯობესებს სასუნთქ, საჭმლის მომხმარებელი და ნერვული სისტემების მუშაობას. შეიცავს აუცილებელ ამინომჟავებს და გვემხარება, ვიყვით ჯანსაღად და აქტიურად მრავალი წლის განმავლობაში.

შუნგიტის წყალი — შუნგიტი რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, მისით წყალი იწმინდება და იმუხტება დადებითი ენერჯით და სამკურნალო თვისებებს იძენს. გამოჰყავს ტოქსინები და შლაკები ორგანიზმიდან, ამცირებს შემუშებებს. გამოიყენება ათეროსკლის შემდგომ პერიოდში ნაკერების სწრაფი შეხორცებისათვის.

წითელი ჰნავის (ვიტამინი) ექსტრაქტი — სხვა მცენარეებისგან განსხვავებით შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ P-ს, ის აღიერებს ნერვულ სისტემას, ხსნის გაღიზიანებას, უძილობას და აღიერებს ორგანიზმს. გამოიყენება როგორც შარდმდენი შარდ-კენჭოვანი დაავადებების, ასევე რევმატიზმების დროს, C და A ვიტამინების ნაკლებობისას.

ნარშვის ზეთი — აქრობს ანთებით პროცესებს ღვიძლში (იცავს ღვიძლის მემბრანას ტოქსიკური ნივთიერებებისგან), აუმჯობესებს ნაღვლის ბუშტის ფუნქციონირებას.

სორბინის მჟავა — ბუნებრივი კონსერვანტი. აჩერებს მიკრობებისა და სოკოების განვითარებას, აღიერებს დინდგელის და ქაცვის სამკურნალო თვისებებს.

კაკლის ზეთი — მცენარეულ ზეთებს შორის იგი გამოირჩევა ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო თვისებებით, შეიცავს აუცილებელ უჯერ ციმბირული მჟავებს, ვიტამინებს A, C, რეკორდული რაოდენობით ვიტამინ E-ს, მინერალური და მიკროელემენტებს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ათეროსკლეროზის, სისხლძარღვთა, ღვიძლის დაავადებების მკურნალობის დროს, აღადგენს ადამიანში სიცოცხლის ძალას ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობისას.

ქაცვის ზეთი — შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ვიტამინებს, მინერალურებსა და მიკროელემენტებს, მას იყენებენ გესტრონტეროლოგიაში, გინეკოლოგიაში, დერმატოლოგიაში. დადებით გავლენას ახდენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციაზე, ასტიმულირებს ნერვულ-კუნთოვანი სისტემის მუშა-

ობას, აუმჯობესებს მხედველობას, არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში, ასევე მონაწილეობს კუჭქვეშა ჯირკვლის მიერ ინსულინის სინთეზში.

დინდგელი (პრობოლისი) — ეფექტურად მოქმედებს ანთებითი პროცესების დროს და აქვს ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ამჟღავნებს მიკრობსაწინააღმდეგო მოქმედებას 100%-ზე მეტი სახეობის ბაქტერიასზე, სოკოებზე და ვირუსებზე (ტუბერკულოზის, სიფილისის, დიდუტერიის და სხვა).

კედრის ფისი — ითვლება ძლიერ შემხორცებელ საშუალებად ზედაპირული და შინაგანი დაზიანებებისას, გააჩნია ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, არის ვიტამინების E, B1, F, C, A და ცილების საწყობი, აგრეთვე შეიცავს სპილენძს, მანგიუმს, ნატრიუმს, იოდს, რკინას, ბორს და სხვა. არის სისხლის გამწმენდი საშუალება, აღიერებს იმუნიტეტს.

შხიურას ფესვის ექსტრაქტი — აუმჯობესებს საჭმლის მომხმარებელ სისტემას, არეგულირებს კუჭის სეკრეტორულ ფუნქციას, არის შარდმდენი, ოფლმდენი, შემკვრელი, ამოსახველებელი, ანტიესპტიკური, ანთების საწინააღმდეგო და დამამშვიდებელი საშუალება.

კარანას ექსტრაქტი — გამოიყენება როგორც შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო და მატონიზირებელი საშუალება. წარმოადგენს ბუნებრივ ანტიბიოტიკს და გამოიყენება ჩირქოვანი პროცესების დროს.

ორგანიზმის ექსტრაქტი — გააჩნია ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიოციდული და აქვს შარდმდენი მოქმედება, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მარალბუნების გამოყვანას.

წიწვების ზეთოვანი ექსტრაქტი — შეიცავს მრავალ ელემენტსა და ვიტამინს, ეთერზეთებს, გამოდგენს ორგანიზმიდან რადიონუკლიდებს, მავნე ქიმიკატებს, გააჩნია ანტიბიოტული, ტკივილგამაყუჩებელი, ანტიესპტიკური მოქმედება.

ასკილის ექსტრაქტი — დადებითად მოქმედებს ღვიძლის უჯრედებზე, ხელს უწყობს მათ აღდგენას, იცავს ქსოვილებს დაშლისგან.

დათვის ქონი — შეიცავს ომიგა-3 და ომიგა-6 ციმბირული მჟავებს, აფართოებს სისხლძარღვებს, ამცირებს ანთებას, აქვეითებს ქოლესტერ-

ოლის დონეს, დადებითად მოქმედებს საჭმლის მომხმარებელ, ენდოკრინულ, რეპროდუქციულ და ნერვულ სისტემებზე.


დათვის ნაღვლის ექსტრაქტი — ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას (კუჭის 12 გოჯა ნაწლავის წყლული), ქრონიკული პანკრეატის, ოსტეოქონდროზის, რადიკულიტის, ართრიტის დროს. რეკომენდებულია მამაკაცებისათვის ერთეული დისფუნქციის, პროსტატიტის, პროსტატის ადენომის დროს.

თახვის ყაირის ექსტრაქტი — ახდენს დადებით ეფექტს მთელ ორგანიზმზე, აღიერებს იმუნურ სისტემას, აუმჯობესებს მდგომარეობას ნევროზის, ფსიქიკური დარღვევების, მაკის დროს, აუმჯობესებს ლიმფის და სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, გამოყავს ტოქსინები ორგანიზმიდან მამაკაცებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის დარღვევისას (იმპოტენცია, პროსტატიტი, პროსტატის ადენომა, და ა.შ.) ასევე ქალბატონებში (კისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა და ა.შ.).

- ციმბირული ბალზამი გამოიყენება
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებისას;
- საურთიან-მამოძრავებელი აპარატის დაავადებისას;
- ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებისას;
- საჭმლის მომხმარებელი სისტემის დაავადებისას;
- ენდოკრინული სისტემის დაავადებისას;
- სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს;
- იმუნიტეტის გასაძლიერებლად სეზონური დაავადების დროს;
- შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებისას;
- პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებისას;
- კანის საფარვლის დაავადებისას;
- მხედველობის ორგანოების დაავადებისას.

ამჟამად ჯანმრთელობის ბუნებრივი წყაროები, ორგანიზმის ყველა სისტემის აღდგენა-განახლებისთვის, მისაწვდომია ყველასათვის „ციმბირული ბალზამის“ სახით.

70-იანი წლებიდან ვღებულობ საფლავითი საშუალებებს. 30 წელი ვსახლობდი საზღვაო ფლოტში, იქიდან 16 წელი დიაზოში. გამოიხილი წყლის მუდმივად მიღებამ დამიზიანა კუჭი და მთლიანად საჭმლის მომხმარებელი სისტემა. მუდმივად მქონდა დისბაქტერიოზი, ყაბუჯა, ყველაფერი ერთად იწვევდა ორგანიზმის ინტოქსიკაციას. დავიწყე „ქვის ზეთის“ სმა, შუალედებში ვღებულობდი „ციმბირული ბალზამს“. რამდენიმე კვირის შემდეგ შინაგანი ორგანოების მოქმედება მომიწესრიგდა, გაიბარა სიმძიმის შეგრძობა და ნაწლავის გაუვალბობამ, მისი წყალობით აღარც გული მაწუხებს. დიდად მაძლობელი ვარ თქვენ!



ბოკან პავლე, ქ. კოკუბინსკოე

მე მაქვს გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონია. ამ ყველაფერმა წამართვა ნორმალური ცხოვრების საშუალება. როგორც კი გადავადამი 10-15 ნაბიჯს, მაშინვე მეწყებოდა ქოშინი და მივიწყებდნენ წნევა. გული მეკუმშებოდა. მქონდა თავბრუსხვევა და სისუსტე. ქიმიური მედიკამენტები მაძლევდნენ მხოლოდ დროებით ეფექტს. როცა გავიგე თქვენი პროდუქტის „ციმბირული ბალზამის“ შესახებ, თავიდან არ დავიჯერე, მაგრამ გადაწყვიტე, მიხიცი მეცადა თავის დაწესებების მიზნით. გაცილებული დავიერი, როცა ერთი კვირის შემდეგ ვიგრძენი შედეგი. წნევა აღარ მიწევდა, ქოშინი მომქსნა. გავივარძედი მიღება და ახლა თავს კარგად გრძნობ. დიდი მადლობა მინდა გადავხადოთ, რომ გამომიყვანეთ ამ მძიმე და საშიში მდგომარეობიდან.

კარვეც ლილია

როგორც ყველა მერე ადამიანს, დაავადება დამეწყო ნერვოლოგიის ნიადაგზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდაობაში გამიხიდა ფსორიაზი და 50 წელია, რაც ამ დაავადებით ვიტანჯები. რა აღარ მქონდა ნაცალი, მაგრამ არაფერმა მიშველა. გაზეთში წავიკითხე თქვენი „ციმბირული ბალზამის“ შესახებ და ვიფიქრე, რომ კიდევ ერთხელ მეცადა ჩემი სენის დამარცხება. მე მთლიან გულით მწამდა კარგი შედეგის და 3 თვის მკურნალობის შემდეგ მართლაც გამიბარა ფსორიაზის ნიშნებმა. ჩემს ორგანიზმში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა. ვიგრძენი დიდი შვება სახსრებში, თირკმლებში, გაივრებას ამაზე არ ვაპირებ. ვაგრძელებ მკურნალობის კურსს.

ნატალია მიხაილოვნა



100% ნატურალური პროდუქტი!

ტონგკატ ალი

როცა თვით ბუნება კურნავს...



„ტონგკატ ალის“ პრეპარატის სახელწოდება წარმოიშვა ტონგკატის ფესვისგან (ეგრეთ წოდებული მალაიზიის გრძელფოთლოვანი მარადმწვანე ხე ვერცხვამსგან), რომელიც იზრდება მალაიზიაში და აზიაში. სამკურნალო ექსტრაქტების დასამზადებლად იღებენ მის ფესვებს, რომელსაც წარმატებით იყენებენ მედიცინის და სპორტის სფეროში.

ამგვარად პრეპარატი შედგება მხოლოდ ნატურალური კომპონენტებისაგან ისეთი როგორცაა **გრძელფოთლოვანი ვერცხვამს ექსტრაქტი** — ის დღეისათვის არის კაცობრიობისათვის ერთ-ერთი ცნობილი უძველესი აფროდიზიაკი. აზიაში განთქმულია მამაკაცის სასქესო ჰორმონ-ტესტოსტერონის დონის ამაღლებით ბუნებრივი გზით. ეს არის საშუალება, რომელსაც მამაკაცები და ქალები იყენებენ უძველესი დროიდან იყენებდნენ სასქესო და რეპროდუქციულ ფუნქციებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

პრეპარატში შემავალი მეორე კომპონენტს წარმოადგენს:

მალტოდექსტრინი — ნატურალური მცენარეული სახამებელი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზმისთვის ენერჯის წყაროს. იგი არეგულირებს ფლორას ნაწლავებში.

„ტონგკატ ალის“ ზიანზღირებულება

ამჟობლებს სისხლის მიმოქცევას: „ტონგკატ ალი“ სისხლის მიმოქცევის გააქტიურების შედეგად სასქესო ორგანოებში აქრობს შევლებით მოვლენებს მცირე მენჯის არეში. ამგვარად მამაკაცები თავიდან აიცილებენ პროსტატიტთან დაკავშირებულ პრობლემებს.

აღძრავს სურვილს: აქტიურებს ბუნებრივ სქესობრივ ლტოლვას პარტნიორთა შორის. ურთიერთობას ხდის უფრო ღრმას და ემოციურს.

აშვარებს ერექციას: „ტონგკატ ალის“ ნატურალური კომპონენტები აქტიურებენ სისხლის მიმოქცევის პროცესს და აშვარებს ერექციას ფიზიოლოგიური შესაძლებლობების მაქსიმუმამდე. მამაკაცის ორგანიზმი მუშაობს ორმაგი დატვირთვით და რაც მთავარია სრულიად უვნებლად ჯანმრთელობისთვის.

ზრდის გამძლეობას და შრომისუნარიანობას: „ტონგკატ ალის“ რევულარული მიღებისას საგრძობლად იზრდება შრომისუნარიანობა და გამძლეობა, მამაკაცებში და ქალებში აფერხებს სტრესის ჰორმონის (კორტიზოლის) გამოყოფას.

აქტიური სქესობრივი ცხოვრება ზრდის თავდაჯერებულობას და პოზიტიურ განწყობას.

ბას დიდი ხნის მანძილზე. **ახანგრძლივით სქესობრივ აქტს:** „ტონგკატ ალის“ მეშვეობით ინტიმური კავშირის საშუალო ხანგრძლივობა ბევრად იზრდება.

ზრდის ეროვნული ზონების მგრძობიანობას: ქალბატონებში და მამაკაცებში ეროვნული ზონების მგრძობიანობის ამაღლებას აძლიერებს ორგანიზმს და ანიჭებს მეტ სიამოვნებას პარტნიორებს.

აძლიერებს იმუნიტეტს: ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას, აქტიურებს ცხიმების წვას მეჩხ-ბარძაყის არეში, განსაკუთრებით რეკომენდირებულია მამაკაცებისთვის, რომლებიც აქტიურად ეწევიან სპორტულ ცხოვრებას, ის ხელს უწყობს კუნთური მასის მომატებას და ორგანიზმის დამცავი ძალების სწრაფ აღდგენას, ხსნის გადაღლილობას.

გამომწიფებელი:

- ერექციის დისფუნქციისას
- ორგანიზმის და ერექციის გასაძლიერებლად
- სქესობრივი ლტოლვისა და აგზნების გასაძლიერებლად
- ხალხური ეაქსელაციისას
- მამაკაცებში და ქალბატონებში სქესობრივი ლტოლვის დაქვეითებისას
- სათესლე ჯირკვლის დაავადებებისას, პროსტატიტი (ავრეთვე ქრონიკული)
- სექსუალური აქტიურობის დაქვეითებით

სას
● შარდ-სასქესო სისტემის ანთებითი დაავადებებისას

● ბოლიბილინგით, მძიმე ათლეტიკით და სხვა ფიზიკური ვარჯიშებით დაკავების დროს სპორტულ დარბაზში ხელს უწყობს კუნთური მასის ზრდას და ცხიმების წვას, ძალების სწრაფ აღდგენას

● მამაკაცებში და ქალბატონებში შრომისუნარიანობის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასამაღლებლად

● ორგანიზმის ტონუსის ასამაღლებლად და იმუნიტეტის გასაძლიერებლად

● გააჩნია ანტიოქსიდანტური თვისებები, დადებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევაზე

● ხსნის გონებრივ და ფიზიკურ გადაღლილობას

● ცილების და ვიტამინების უკმარისობის სიმპტომებისას

● რესპირატორული ვირუსული დაავადებებისას

ზომად ორგანიზმის ბასაჯანსაღობად „ტონგკატ ალის“ ბაზინი უამრავი უპირატესობაა:

ის არ შეიცავს ანტიბიოტიკებს, ტოქსიკურ ნივთიერებებს და მძიმე მეტალებს, რაც ხდის უსაფრთხოს მის გამოყენებას.

მე ვმუშაობ ტაქსზე და მიწვევს მთელი დღე ჯდომა, სამსახურთან ერთად გავიჩინე **პროსტატიტი და პრობლემები პოტენციასთან.** „ტონგკატ ალი“ მირჩია ჩემმა მეგობარმა, რომელიც ჩემ დღეში იყო სანამ დაიწყებდა „ტონგკატ ალის“ მიღებას, შევიძინე ერთი ქილა, დავიწყე მიღება და მალევე ვიგრძენი როგორ მომემატა მამაკაცური ძალა. გამომუშობესდა სქესობრივი ცხოვრება და ჯანმრთელობა, აღარ მასწავლებს პროსტატიტის სიმპტომები, გამიქრავს წვის შეგრძობა შარდის დროს და ხშირად აღარ ვმარადვ, რაც ძალიან დადებითად აღსანიშნავია ჩემს ოჯახურ ცხოვრებაზე, ნასიათზე, უფრო შრომისუნარიანი გახდი. ახლა ყველაფერი წესრიგში მაქვს და ვარ თქვენი უღრმესად მადლობელი!

სერგეი რუდენკო. 47 წლის. ქ. კიევი

ბოლო 2 წლის განმავლობაში **ინტიმური სიანსლოვისგან ვერ ვიღებდი სიამოვნებას.** მეუღლის რჩევით შევიძინე „ტონგკატ ალი“ სიმართლე გითხრათ, ამ იღებს მე სექსუალურად ვუყურებდი სანამ არ გამოვცადე ჩემ თავზე, პირველი მიღების შედეგმა გადააჭარბა მოლოდინს, გამიმძაფრდა ლტოლვა, მომემატა გამძლეობა და თავდაჯერებულობა, თავი ვიგრძენი სრულყოფილ მამაკაცად. თავს უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ. მე გავხდი თქვენი მუდმივი მომხმარებელი და უბრალოდ ბედნიერი ადამიანი.

ვიტალი კოვალოვი. 41 წლის. ქ. ოდესა

დავიწყებ ჯერ იმით რომ გამოვბატავ დიდ მადლობას თქვენს მიმართ. მე არც თუ ისე ხანში შესული მამაკაცი ვარ, მაგრამ მეგონა რომ ჩემი სქესობრივი ცხოვრება უკვე დამთავრებული იყო, რადგან **ერექციასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები გამჩინდა,** „ტონგკატ ალის“ შესახებ გავიგე ნათესავისგან რომელიც თქვენი აქტიური მომხმარებელია, გადავწყვიტე მეცადა და მართლაც გავცხადე დავარჩი მიღებული შედეგებით. თავს ისევ ჯანსაღ მამაკაცად ვგრძნობ.

ს.გ.რიბკა. ქ.ჩერკასი

გამოწიფება-გაყიდვის განრიგი

გათუში	მის. ყაზბეგის №15. სასტ. „ყაზბეგი“	8 და 22 სექტემბერი, 10.00-12.00 სს
ძოვალეთი	მის. ალმაშენებლის გამზ. №388, სასტუმრო „რივიერა“	8 და 22 სექტემბერი, 13.00-14.00 სს
ოუზრბათი	მის. იოანე პეტრონის №1, რესტორანი „იზაბელა“.	8 და 22 სექტემბერი, 10.00-11.00 სს

„სინიზრული ბალზამი“ ერთი შეფუთვის ფასი – 34,30 ლ. ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის – 31,30 ლ.

„ტონგკატ ალი“ ქილა (60 კაფსულა) – 350,00 ლ ბლისტარი (20 კაფსულა) – 135,00 ლ

ასევე გაყიდვადია: „ლიტოზეთი“ ჟივიცასთან, ბალზამი „პრომედინი“, „ქვის ზეთი“, ბალზამი „პრომიოლი“, ზეთი „ჟივიცა“, მალამო „ევექტუმი“, „ყურის სანთლები“, თვალის წვეთები „ვაურინი“, „ალტაის ათმაგი ძალა“.

(+995) 571 22 98 98 (+995) 551 30 98 98 **აროღუპი სარაიფისიკაზულია. არ წარმოადგენს მედიკამენტს**

აფხაზეთი – სამხრეთ კავკასიის სამკაული

სახელწოდება რაჭა პირველად XI საუკუნეში გვხვდება – კაცხის სანინამძღვრო ჯვრის წარწერაში იხსენიება რატი – (ბალღაშთა გვარის წარმომადგენელი – ავტორი. რაჭის ერისთავი). რაჭა სვანურად რატის მამულს, სამფლობელოს ნიშნავს. უძველეს წერილობით წყაროებში ამ კუთხეს თავ-ვერი ერქვა. სახელწოდება თავვერი მეზობელ ლეჩხუმზეც გავრცელდა. მას შემდეგ, რაც რაჭა დამკვიდრდა, თავვერი მხოლოდ ლეჩხუმის აღმნიშვნელ ტერმინად დარჩა.

რაჭის საზღვრები არაერთხელ შეცვლილა. ის განსაკუთრებით XI საუკუნის დასაწყისში გაფართოვდა, როდესაც რაჭველმა ჯაფარიძეებმა სვანებს დაათმობინეს ჭიდროთას ზედათი, და გლოლას ზედათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მთიულეთი ოთხასი კომლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად. მათ შორის ბრილი, ლები, ჭიორა და სხვა. ეს ქვეყანა ზემო (დღევანდელი ონის მუნიციპალიტეტი) და ქვემო (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) რაჭად იყოფოდა. მდინარე ჯეჯორას სათავეები პატარა თემს, კუდაროს ეჭირა.

რაჭას მეტად ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა. მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს (ქართლი, იმერეთი) ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა (ერთ-ერთ მათგანს „გზა თავვერისა“ ეწოდებოდა).

ლეჩხუმი ცხენისწყლისა და რიონს შუა მდებარეობს. ტრადიციულად ეს კუთხე ზემო და ქვემო ლეჩხუმად იყოფოდა. თანამედროვე დანაწილებით, მისი სოფლების უმეტესობა ცაგერის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, განაპირა სოფლები კი ხონის, წყალტუბოსა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებშია შესული.

ისტორიულად ლეჩხუმის დასავლეთი, ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები ასე გადიოდა: ასხისა და უნაგირის მთები მას სამეგრელოსკენ გამოჰყოფდა, ლეჩხუმის ქედი – სვანეთისგან, ასკისწყალი – რაჭისგან, ხოლო იმერეთს გორდთან (ცხენისწყალზე) და ლეხიდრის ხევთან (რიონზე) ესაზღვრებოდა.

ლეჩხუმში კარგად იყო განვითარებული მინათმომკმედებაცა და მესაქონლეობაც. ღვინოს იმდენს ამზადებდნენ, რომ მეზობლებზე ჭარბად ჰყიდდნენ. ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეებიდან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხისა და ქვის საშენ მასალას, საჭურჭლე თიხას.

ლეჩხუმის სახელს მკვლევართა ნაწილი მეგრულ ჩხუმს (თევზი), ნაწილი კი სვანურ ცხუმს (რცხილა) უკავშირებს. VI-VII სს. ბიზანტიელი და სომეხი მწერლები ამ კუთხესა და მის მკვიდრთ სკვიმნია-სკვიმნებს უწოდებდნენ. ქართველი მეისტორიენი VIII საუკუნის ამბების აღწერისას ასახელებენ თავვერს, ანუ რაჭა-ლეჩხუმის, საერისთავოს, ვახუშტის ცნობით, ბაგრატიონთა გამეფების შემდეგ თავვერი მხოლოდ ლეჩხუმს ეწოდებოდა ციხისთავს მუნ მყოფისა. თავვერის ციხის მდებარეობას მეცნიერი ბატონიშვილი გორდს ზევით უჩვენებს. ლეჩხუმის ერთ-ერთი ადრინდელი ხსენება ქართულ წყაროებში 1503 წლით დათარიღებულ დოკუმენტებშია დადასტურებული.

ანტიკურ ხანასა და ადრე შუასაუკუნეებში სვანებს გაცილებით ვრცელი ტერიტორია ეკავათ, ვიდრე განვითარებულსა და გვიან საუკუნეებში. სტრაბონი სვანების სამოსახლოს დიოსკურიის (დღევანდელი სოხუმი, ძველი ცხუმი) მახლობლად მიიჩნევს და დასძენს, რომ სვანები თითქმის საუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლო-

ბენ ისინი ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის.

სვანების სახელს უკავშირდება მისიმიანეთი მდინარე კოდორის ზემო წელზე და სვანია – სვანეთი ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებში. ეს უკანასკნელი ისტორიულ წყაროებში და დღესაც ზემო (მესტიის მუნიციპალიტეტი) სვანეთად იყოფოდა; თავის მხრივ, ზემო სვანეთში ბაღს ზემო და ბაღს ქვემო მხარეებს განარჩევდნენ. სრულიად სვანეთს კიდევ უფრო წვრილ ხევთა თემთა ერთობლიობა ქმნიდა.

სვანეთი, როგორც ტიპური მთა, სასოფლო-სამეურნეო რესურსების უკიდურესი სიმწირის გამო დიდად იყო დამოკიდებული მეზობელი მხარეების, განსაკუთრებით ლეჩხუმის, ბარზე, საიდანაც ღვინო და მარილო მოჰქონდათ; გარდა ამისა სვანები სეზონურ სამუშაოებზე დადიოდნენ რაჭაში, გურიაში, კახეთში. სხვადასხვა მიზეზით ეკონომიკური კავშირების დროებითი მოშლა მათ იმდენად მძიმე მდგომარეობაში აგდებდა, რომ ერთხელ; სამიმოსვლო გზებისა და სამეურნეო ურთიერთობათა აღდგენის საფასურად სვანებს ტერიტორიების (რაჭის მთიანეთი) დათმობაც კი მოუწიათ.

სამეგრელო, რომელიც დღეს მარტვილის, აბაშის, ხობის, სენაკის, წაღენჯისის, ჩხორონწყუს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთს მოიცავს, წარმოდგება მეგრელისგან (გეოგრაფიულ სახელთა მანარმოებელი სა – პრეფიქსის დართვით. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ ეგრი – ეგრისისგან მომდინარეობს.

სამეგრელო XI-XII საუკუნეების ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება. ის ბერძნულ ლაზიკას შეესატყვისება და აღნიშნავს როგორც დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ისე ლაზეთ-ჭანეთს. ქვეყანა სამეგრელო ვიწრო მნიშვნელობით ცხენისწყლიდან აფხაზეთამდე დადასტურებულია ძველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებში – დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრება (XII ს.-ის პირველი ნახევარი) მის სინონიმად იხმარებოდა საეგრო, უფრო ხშირად კი ოდიში, სამეგრელო – ოდიშიში რამდენიმე ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა გამოიყოფოდა: ჭყონიდი (ცხენისწყალისა და ტეხურს შორის), საკუთრივ ოდიში (ტეხურსა და ენგურს შორის), ბედია (ენგურსა და ლალიძგს შორის). ჭყონიდიდან უნაგირის მთამდე, მდინარეების ტეხურისა და აბაშის ხეობათა მთისწინეთში, სალიპარტიანო მდებარეობდა.

სამეგრელოს მნიშვნელობას დიდწილად განსაზღვრავდა მისი მდებარეობა შავ ზღვაზე, სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილო კავკასიისკენ მიმავალი საზღვაო და სახმელეთო გზების კონტროლი. მოხერხებული ნავსადგურების (უმთავრესი ამათგან ცხუმი და ფოთი იყო) წყალობით გააქტიურებულმა სავაჭრო კავშირებმა ტრაპიზონის იმპერიასთან და შავიზღვისპირეთის იტალიურ კოლონიებთან (XIII-XV სს.) სამეგრელოს ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმართა. XVII ს.-ის ოდიში დამოუკიდებელ სამთავროდ და, პრაქტიკულად, ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად გადაიქცა.

ოდიშსა და აფხაზეთს შორის მდებარეობდა აფშილეთი (კოდორის ხეობის ქვემო ნაწილი). აფშილები, აბაზგებთან ერთად, I-II საუკუნეების ბერძნულ-რომაულ წყაროებში იხსენიებიან. II-საუკუნიდან ისინი ლაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ძველი ქართველი ისტორიკოსები ეგრისწყალსა და კლისურას შორის ტერიტორიას

შუა ქვეყანას სახელითაც იხსენებდნენ. ეს ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი ჯუანშერის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაშია დამონმებული. მისი კიდევ უფრო ძველი ვარიანტია შვა სოფელი, რომელიც ადგილობრივ ქართველთა ლექსიკონში ჯერ კიდევ XIX საუკუნეებში იყო შემორჩენილი. შვა სოფელი იმ დროს უნდა გაჩენილიყო, როდესაც ჩვენი წინაპრები ქვეყანას სოფელს უწოდებდნენ (VIII საუკუნემდე). VIII-დან აფშილეთის ხსენება წყაროებიდან ქრება, ის თანდათანობით მეზობლებმა შთანთქმეს, ამავე საუკუნის ბოლოდან ქართულ მატრიანებში დასტურდება ცხუმის საერისთავო, რომელიც მოიცავდა ანაკოფიასა და მთელ კოდორის ხეობას ალანითურთ (ალანი ადრინდელ მისიმიანეთსა და გვიანდელ დალინებელს შეესატყვისება). XIV-XVI სს. ცხუმის საერისთავო ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა, XVI ს-ის ბოლოდან იგი აფხაზეთს შეუერთდა.

ბუნებრივი მრავალფეროვნებით შემკული აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი თვალწარმტაცი მხარეა. ის სამართლიანად ითვლება სამხრეთ კავკასიის სამკაულადაც. სითბოსა და ტენიანობის თანაბარი განაწილება ოდითგანვე ხელს უწყობდა აფხაზეთის მიწების მოსავლიანობას. „ხოლო ესე აფხაზეთი შემკულ არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყვი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. არამედ მთა აქური ფრიად მშვენიერი“. – წერდა ვახუშტი ბატონიშვილი. აფხაზეთის მეცხოველეობის განვითარებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა კოდორ-ლალიძგას შორის არსებულ საზაფხულო საძოვრებს. აფხაზეთა სამეურნეო ცხოვრება (თევზჭერა, ვაჭრობა, მეკობრეობა დიდად იყო დაკავშირებული ზღვასთან).

კავკასიიდან გამომავალი ქედები, მათ მიერ შექმნილი ქვაბურები, ხეობები, რომლებიც ზღვის სანაპიროსა და კავკასიონს შორის მდებარე დაბლობს სერავს, დიდწილად განსაზღვრავდა აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ დაყოფასაც და მის ისტორიულ სვე-ბედსაც. ტერიტორიული ერთეულები განსაკუთრებით თვალნათლივ გვიან შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეებში გამოიკვეთა. მდინარე კოდორის ქვაბური, დაახლოებით ადრინდელი მისიმიანეთისა თუ ალანის ტერიტორია ნებელს, უკეთ, დალი-ნებელს ეკავა. ისევე როგორც ადრე შუა საუკუნეებში, მის მნიშვნელობას სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი გზების კონტროლი განაპირობებდა. ბზიფის ხეობის სათავეები ფსხუს თემს ეკავა. დაბლობში ბზიფის ხეობიდან კელასურამდე, ბზიფის აფხაზეთი მდებარეობდა. კელასურსა და თალიძგას შორის ტერიტორიას აფხაზურად აბჟუ ერქვა, რაც ქართული შუა ქვეყნის თარგმანია. აბჟუში, გუმის-მთასა და კოდორს შორის, გამოიყოფოდა ერთი პატარა თემი, რომელსაც ცხუმის აფხაზეთად მოიხსენიებენ. მას დაახლოებით ცხუმის საერისთავოს ბარის ზონა (ადრინდელ აფშილთა მიწა-წყალი) ეჭირა. აფხაზეთა მთავრების მიერ ლალიძგა-ენგურის ორმდინარეთში დაპყრობილ ტერიტორიაზე (ადრინდელი ბედია) სამურზაყანო (მურ-

ზაყან შარვაშიძის სამფლობელო) შეიქმნა. სამურზაყანოზე ბატონობისთვის ერთმანეთს შარვაშიძეები და დადიანები ეცილებოდნენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის (გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და სოხუმის მუნიციპალიტეტები) ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თავდაპირველად ის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა კუთხეს ერქვა. მისი ეთნიკური და პოლიტიკური საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით ჯიქების ხარჯზე ფართოვდებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – აფშილთა. იმის გამო, რომ აფხაზეთა სამთავრომ დიდი როლი ითამაშა საქართველოს გაერთიანებაში, აფხაზეთის სახელით დასავლეთ საქართველოს ან ერთიანი საქართველოს სამეფოსაც მოიხსენიებდნენ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმოსავლეთი მიწები XVII-XVIII სს. ჩამოყალიბდა – კლისურა-ენგურის მონაკვეთის მიერთებით და XIX საუკუნეში, რუსთა ბატონობის ხანაში, განმტკიცდა. ბზიფსა და ფსოუს შორის მდებარე მინანყალი კი (ჯიქეთი) აფხაზეთს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ძალისხმევით დაუბრუნდა.



მდინარე ენგურის ხეობა

აფხაზეთი ბერძენ-რომაელ და ბიზანტიელ ავტორებთან აბაზგია-აბაზგების სახელით გვხვდება. თავად აფხაზეთი თავიანთ ქვეყანას აფსნის (აფსუების ქვეყანას) ეძახდნენ. აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით ჯიქები (ჩერქეზ-ადიღური ტომები) ცხოვრობდნენ. ერთმანეთისგან მათ მდინარე ფსოუ ჰყოფდა. აფხაზეთა ექსპანსია VI საუკუნიდან იწყება და VIII საუკუნისთვის (ან უფრო ადრე) ჯიქეთის დიდი ნაწილის შემოერთებით მთავრდება. ქართულ წყაროებში ჯიქეთთან ერთად აფხაზეთის ჯიქეთი, ანუ აფხაზეთი გვხვდება. ქართლის ცხოვრების კონცეფციით, ჯიქები ბოლოსა აფხაზეთისასა ყოფილან დაშვიდრებულნი V საუკუნეში; მანამდე ისინი მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში სახლობდნენ. ამგვარი შეხედულება გარკვეული პოლიტიკური თეორიის ნაწილია, რადგან ჯიქთა მოსახლეობას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძველი ბერძენი ავტორები მონიშნებდნენ.

აფხაზეთა, უკეთ, აფხაზეთა სახელით ცნობილ ტომთა ერთი ნაწილისა (ბზიფის აფხაზეთის) და ქაჯთა ურთიერთკავშირს, ნათესაობის გარდა, განაპირობებდა სტრატეგიული ინტერესებიც; ა) ჩრდილოეთის სტეპებისკენ, კერძოდ ყუბანისპირეთისკენ მომავალ გზებზე ბატონობა, ბ) ჯიქთა ბუნებრივი რესურსების მაგალითად ყურეების ათვისება, გ) ჯიქთა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოძრაობის კონტროლი.

ანტიკურ ხანაში ჭოროხის შესართავსა და რიონს შორის მდებარე მიწა-წყალს ლაზეთი ერქვა. VIII საუკუნეებში (შესაძლებელია უფრო ადრეც) ამ მხარეს გურიას ეძახდნენ.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ზაზა აბაშიძე

ბუდეოშდინი



ჯუმბერ ჯიშკარიანი

90-იან წლებში თბილისში რკინიგზის სამმართველოს მშენებელი გაზეთი „ვერაზია ექსპრესი“ იბეჭდებოდა, რომელსაც სათავეში ედგა შესანიშნავი პიროვნება – ანზორ გვარჯალაძე. იგი იმ მძიმე წლებში თანამშრომლებს უშურველად ეხმარებოდა. ის დღეები არასოდეს დამავინწყდება.

გაზეთის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ქეთი ჩემიამ აფხაზეთიდან დევნილი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ინდიკო კვეკვესკირი გამაცნო. სხვათაშორის ბატონმა ანზორმა ბატონ ინდიკოსაც არაერთხელ გაუმართა ხელი.

ბატონი ინდიკო საოცრად საინტერესო პიროვნება გახლდათ, ჭირთამთმენი, ადამიანი, რომელმაც სიკვდილს არაერთხელ ჩახედა თვალებში. ბატონ ინდიკოსთან სხვადასხვა დროს სამჯერ ჩავწერე ინტერვიუ, 90-იან წლების ბოლოს ამერიკაში მომიხდა წასვლა, სადაც ცხრა წელი დავყავი.

უკანასკნელ წლებში მხედველობის პრობლემები შემექმნა. ამას წინათ ახლობლების დახმარებით ბატონ ინდიკოსთან ინტერვიუებს გადავანყდი. გადავწყვიტე, შევხშიანებოდი, მაგრამ მის კვალს ვერ მივაგენი. ბოლოს, აფხაზეთის განათლების სამინისტროს თანამშრომლების დახმარებით ბატონ გენო კალანდიას დაუკავშირდი. ვთხოვე, ბატონი ინდიკოს მოძებნაში დამხმარებოდა.

– ეჰ, ბატონო ჯუმბერ, ჩვენი ინდიკო შარშან გარდაიცვალა. ქალაქ რუსთავში ცხოვრობდა უმწეოთა თავშესაფარში. ძალიან დაუძღურებული იყო. სამწუხაროდ, სანუკვარი ოცნების აღსრულებას – სოხუმში დაბრუნებას ვეღარ მოესწრო...

როგორც საღვთო წიგნში, ბიბლიაში წერია „ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა“...

ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად ჩავთვალე, ბატონ ინდიკოსთან ერთ-ერთი საუბარი სწორედ ახლა, სოხუმის დაცემის დღეებში გამოვაქვეყნო. ეს ინტერვიუ იმიტომ ავირჩიე, მკითხველი თავად დარწმუნდეს, რა მაღალი ზნეობის ყოფილა იგი. წერილის დაბეჭდვა დიდებული ჟურნალის გურია REGION რედაქტორს ლელა სურმაჯას ვთხოვე.

აფხაზეთიდან დევნილი მწერალი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ინდიკო კვეკვესკი-

*მომენატრა ძზე, სინათლისმფენი,
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია...
გალაკტიონ ტაბიძე*

რი მეხუთე წელია, ლერმონტოვის თვრამეტში შეხიზნულა. ადრე ამ შენობაში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი იყო, უფრო ადრე კი მას „ბერიას სახლი“ ერქვა.

უკიდურესად დუხჭირი ყოფის, მრავალი ხელისშემშლელი პირობების მიუხედავად, მწერალი ვერ იქნება მოვლენების მხოლოდ პასიური მჭვრეტელი.

ბატონმა ინდიკომ დაასრულა ორმოცფორმიანი რომანი – „ქიმიური ფანქარი“, რომელიც აფხაზეთში უკანასკნელ წლებში დატრიალებულ მოვლენებს ეხება.

ქვემოთ მოთხრობილი ეპიზოდები ბატონმა ინდიკომ იმ საღამოს მიაგმო...

უიყვან!

27 სექტემბერს 12 საათზე, სოხუმის დაცემის დღეს, ჩემს ბინაში ბოვეიკები შემოცვივდნენ.

– ვოტ, გენერალნი დირექტორ! – ჩემსკენ ხელს იშვერს ერთი მათგანი.

მისაღებ ოთახში სავარძელში ჩამსვეს. ჩემს პირდაპირ ბოვეიკი დაჯდა და კარაბინის ლულა მომიშვირა.

– თქვენი გვარი! – მკითხება.

– კვეკვესკირი.

– ეროვნება!

სავარძელში თავდახრილი ვიჯექი. ახლა ბოვეიკს თვალი გაუფსნორე, წელში გავიმართე და სავარძელის ზურგზე მივესვენე. ვხედავ, ყველაფერი დამთავრდა. წამში მთელმა ცხოვრებამ კინოკადრებივით გამიბრინა თვალწინ. ღმერთს გეფიცებით, ღირსეული სიკვდილისათვის მოვემზადე... ჩემგან ნახევარ მეტრში თოფის ლულა ქანაობს... თვალებამღვრეულ ბოვეიკს თითი სასხლეტზე უდევს... ლულის ღრუდან შავი სიკვდილი იმზირება, რომელიც წამი-წამზე იქუხებს და ყველაფერი დასრულდება.

– ქართველი! – ვპასუხობ ღიმილით და ბოვეიკს თვალს ვუფსნორებ.

ბოვეიკმა ჩახმახს ხელი აჰკრა და გააჩხაკუნა. ლულიდან ვაზნა ამოვარდა. ავად გაზრიალდა პარკეტზე და მაგიდის ქვეშ შეგორდა... ლულაში ახალი ტყვია შესრიალდა...

უცებ კარი გაიღო. ოთახში მეზობელი ქალბატონი შემოვარდა, გვარად მატუა, რომელიც ჩემს ზემოთ ცხოვრობდა, მეოთხე სართულზე. თურმე ბოვეიკები რომ ბინაში შემოცვივდნენ, ჩემი შვილი აფხაზ მეზობელთან გავარდა და „სტუმრების“ მოსვლა შეატყობინა.

ქალი ბოვეიკსა და ჩემს შორის თამამად ჩადგა, ლულაზე ხელი აუკრა და გალიზიანებულმა უთხრა:

– უიყვან! (შეეშვი!).

ბოვეიკმა კარაბინი დაუშვა, თუმცა დაკითხვა გაგრძელდა.

– როდის იყვნენ კვეკვესკირები ქართველები? – მკითხება.

– ექვსასი ოჯახი ცხოვრობს გალის რაიონში.

– შენ აფხაზი კვეკვესკირები არ ჩათვალე?

– როგორ არა, ბევრი კვეკვესკირი ვიცი გუდაუთიდან,

ომამდე შეხვედრის დროს ერთმანეთს ვეხვეოდით.

- კარგი, თქვენ თუნდაც ერთ აფხაზს დაეხმარეთ, ასეთი მაღალი წოდების მქონემ?

- როგორ არა, დავეხმარე.

- მაგალითად!

- კოლონია, ფაჩულია, ოტირბა... და ყოფილი თანამშრომელი ქალების გვარები ჩამოვთვალე.

ბოევიკმა კარისკენ გაიხედა. ჯარისკაცებს რაღაც ანიშნა. ისინი მიუხვდნენ. სადღაც გავარდნენ. ოც წუთში დაბრუნდნენ. თურმე სამსახურში მისულან, ყოფილი თანამშრომლები დაუკითხავთ.

ჯარისკაცებმა უფროსს თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიეს.

- კარგი! გააფორმეთ შინა პატიმრობა! გამოიძიეთ მისი მოქმედებები, შესაძლოა ჰქონდეს „ცოდვები“ – თქვა მან.

ძიება თვენახევარს გრძელდებოდა. ყოველ დღეს მიბარებდნენ იმ შენობაში, სადაც ომამდე ბატონი ავთანდილ იოსელიანი იჯდა.

მსურს, აღვნიშნო! – ფიზიკური შეურაცხყოფა არასოდეს მოუყენებიათ. ალბათ, იმიტომ, რომ 7 წელიწადი შალოდია ავინჯალის მოადგილე ვიყავი (რედ: შალოდია ავინჯალი აფხაზეთის ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს უფროსი იყო).

შალოდიას ძმა შარბეი ავინჯალია ძალიან კარგი კაცი იყო. ადრე შალოდიას შალვა ერქვა, მაგრამ გადაიკეთა. სახელსა და გვარს აფსუური შეფერილობა მისცა. იმ დღიდან შალოდია ავინჯალი გახდა...

დაწყვეთ იარაღი!

დრანდაში, მოედანზე ავტომატიანი ქართველი ჯარისკაცები გამოსულან ამბის გასაგებად. ოცდაათნი არიან. ორი დღეა, არაფერი იციან, რა ხდება ქვეყანაზე. არ იციან, რა ქნან, რა გზას დაადგინენ... მათმა უტვიწნო, მხდელმა მეთაურებმა როგორც კი საფრთხე იგრძნეს, კისრისტეხით მოქუსლეს საკენისაკენ. მზის ამოსვლას აასწრეს უღელტეხილზე... მთელმა საქართველომ იხილა, როგორ ყელყელაობდნენ ოტებულები „მხედართუფროსები“ ტელეკამერის წინ... სრულიად გამოუცდელი, უწვერული ბიჭები კი ღვთის ანაბარად დაყარეს...

მოედანს სოსუმის მხრიდან „ვილისი“ მოადგა. მანქანაში ოთხი ბოევიკი იჯდა. შეირალებული ჯარისკაცების დანახვაზე მანქანა გაჩერდა; ცოტა ხნის შემდეგ ჯგუფისკენ ჯიქურ გაემართა. ბოევიკები მანქანიდან უიარაღოდ გადმოვიდნენ და ჯარისკაცებს ქართულად მიესალმნენ.

- ჩვენ ბრიგადის მეთაურისგან ვართ. ერთ რიგად მოენწყვეთ, რომ გენერლის ბრძანება გაგაცნოთ! – თქვა მათ შორის უფროსმა.

რაღაც სიახლის მოლოდინში ჯარისკაცები გახალისდნენ, რიგში მოენწყვენ.

- სწორდით! სმენა! – გაისმა ბრძანება.

- დაწყვეთ იარაღი ფეხებთან!

- ხუთი ნაბიჯით წინ იარ!



ჯარისკაცებმა უსიტყვოდ შეასრულეს ბრძანება.

ბიჭებს ჯერ მეხუთე ნაბიჯი არ ჰქონდათ გადადგმული, რომ ბოევიკები ჯარისკაცების ავტომატებს დასწვდნენ და ცეცხლი გახსნეს.

რამდენიმე წამში ოცდაათივე ჯარისკაცი ასფალტზე ეგდო...

იმ ოცდაათი, უდანაშაულო და ათასობით სხვა ჯარისკაცის სიცოცხლე ცვედანი, კორუმპირებული „მხედართმთავრების“ სინდისზეა, რომელთა არაკორმპეტენტურობით, ხშირად კი დანაშაულებრივი, მოლალატური ქმედებებით ამდენი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ბედკრულ ქვეყანას. იმედია, მათი განკითხვის დღეც დადგება... ხოლო იმათგან, ვინც 1993 წლის 29 სექტემბერს ქართველი ჭაბუკების სისხლით შეიღება ხელი, – განგებამ ერთს უკვე მიუზღო. იგი საგზაო კატასტროფაში მოჰყვა, ხერხემალი გადაემსხვრა და სამუდამოდ მიეჯაჭვა ლოგინს. სხვების დროც მოვა...

სკრთოუბ!

იმ დღეს რა დამავინწყებს. მოყამული ამინდი იდგა, წვიმიანი. შინა პატიმრობა მქონდა. ყოველ დღე დავყავდი დაკითხვაზე. იძიებდნენ რამე „ცოდვა“ ხომ არ მქონდა... შინიდან მხოლოდ პურის საყიდლად და წყალზე შემეძლო

გავსულიყავი. გამაფრთხილეს – დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა სიცოცხლის ფასად დამიჯდებოდა...

- შეგიძლია გადაუხვიო, თუ ორი თავი გაქვს! ერთ-ერთს წაგაცლით! – „იანგლა“ ბოევიკმა...

იმ დღეს, რატომღაც ახალი კოსტიუმი ჩავიცვი, ჰალსტუხი გავიკეთე, ხელთ ქოლგა დავიჭირე და პურის ქარხანაში წავედი.

სიცოცხლე ჩამკვდარიყო ქალაქში.

რკინიგზის სადგურის მოედანი გადავჭერი.

ვხედავ, ბაქანზე მსუბუქი მანქანა ამოვარდა და ჩემს გვერდით გაჩერდა. საქვსთან წვერგაბურძენილი ჯარისკაცი იჯდა.

- სად არის მილიციის უფროსის კაბინეტი? – მკითხა რუსულად.

- მგონი, აქ ახლოს არის, მეთქი – ხელით ვანიშნე.

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, რომ ჯარისკაცმა მანქანიდან ელვისებურად ისკუპა და თვალეგაფართოებული მომაშტერდა.

- ჩტო, გრუზინ?

ეტყობა ქართულმა აქცენტმა „გამყიდა“.

წამში მანქანიდან სხვებიც გადმოცვივდნენ და გარს შემომერტყნენ. სამხედრო ფორმიანები, ჩანვირულები, თვალეგაფართოებული; ისე მომაშტერებოდნენ, თითქოს უცხოპლანეტელი ვიყავი...

გავუღიმე, მაგრამ კითხვა უპასუხოდ დავტოვე.

- აფხაზეც? – მკითხა მეორემ.

- უაფსუომა? (აფხაზი ხარ?) – მეკითხება მესამე...

ვღუმვარ, თუმცა, ვგრძნობ, ასე დიდხანს ვერ გავაგრ-

ძელებ. გული გამალებით მიცემს...

- სქრთუოჰ! (ქართველი ვარ!) - ვამბობ ღიმილით და ბოევიკებს თვალს ვუსწორებ.

ჩემს ჩასაყლაპად შემართულმა ბოევიკებმა შვებით ამოისუნთქეს; გაიცინეს, მანქანაში ჩასხდნენ და გზა განაგრძეს. ან როგორ წარმოიდგენდნენ. 1993 წლის 7 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, სოხუმის სადგურის ბაქანზე „ჩაგალსტუკებულ“ ქართველის გამოჩენას, როცა ქალაქი 10 დღის დაცემული იყო, სამასი ათასი ქართველი კი აფხაზეთიდან გამოდევნილი?..

ცხადია, შემძლო სიცოცხლე სასწორზე არ შემეგდო და მეთქვა, რომ აფხაზი ვარ, დამიჯერებდნენ, რაკი აფხაზური ვიცი, მაგრამ მაშინ ხომ ნაძირალა ვიქნებოდი, თუ ჩემს ეროვნებას თავიდანვე უარყოფდი.

ასეთ სიცოცხლეს კი სიკვდილი სჯობს...

ჩემი ტანჯული ცხოვრების გზაზე ავიც ბევრი ვნახე და კარგიც. სიჭარმაგის უამს კი უფალმა განსაცდელი მომივლინა.

მაღლი უფალს, რომ ჩემი შვილების წინაშე მართალი ვარ.

მე მაქვს ერთი რომანი - „შეიცან თავი შენი“. მე მართლა შევიცანი ჩემი თავი.

ერთია, როცა რბილ სავარძელში ჩაფლული წერ, იგონებ, თხავ რაღაც სამყაროს და სამშობლოს ერთგულებას უმტიციცბ... მაგრამ მთავარია, ცხოვრებაში გაუძლო განსაცდელს, რომელსაც უფალი მოგივლენს!

გმადლობ, უფალო!

გვირები ჭაგუქვავ ღარჩუნ მარაღ...

ხშირად ხდება ხოლმე, როცა შთაგონება მენწევა, გონების თვალი სივრცეს გადაწვდება... ახლაც ასე ხდება და ჩემს თვალწინ ზღვისპირა ულამაზესი კუთხე დგას მთელი თავისი მშვენიერებით.

...ყელყარყარა მაგნოლიები და მტირალი ტირიფები. სანაპიროს პალმები და მოვლილი გაზონები...

ყვავილები... ყვავილები... ყვავილები...

გლიცინიები, გერბერები, გულყვითელები, ტიტები, მიხაკები...

მწვანეში ჩაფლული კოხტა შენობები!..

ზღვა წყნარია, ტალღები მშვიდად ეხეთქება ნაპირს, სველ ქვიშას კოცნიან.

თეთრი იახტა მისერავს ლურჯ სივრცეს.

თოლიები თავს დასტრიალებენ უკიდევანო ზღვას...

ეს აფხაზეთია! საქართველოს ძირძველი კუთხე.

ოდითგანვე ასე ყოფილა. საქართველოსა და აფხაზეთს ხელიხელჩაკიდებულებს უვლიათ საუკუნეთა ქარტახილებში. ერთმანეთის ჭირი და ლხინი გაუზიარებიათ, ერთმანეთის ტრადიციებისთვის პატივი უციათ, ერთმანეთს დანათესავებიათ, ერთმანეთს შეზრდიან, შერწყმიან და ქართულ-აფხაზური კულტურა განუვითარებიათ. მეფეებიც ერთი ჰყოლიათ. ჩავიხედოთ საქართველოს მატთანეში: საუკუნეთა მიღმა მემატთანე ბატის ფრთას აიღებს, მელანში ჩაანებს და საქართველოს მეფის შესახებ დანერს:

„მეფე ქართველთა და აფხაზთა, რანთა და კახთა“ („მატიანე ქართლისა“).

მემატთანის დანერილი ეს უბრალო, მარტივი ფრაზა ცხადყოფს, რომ ორ ერს, ოდითგანვე ერთი დროშის ქვეშ გაერთიანებულთ, ერთი მეფის მზრუნველობით უშენებია „ესე ქვეყანა საქართველო“.

მაგრამ...

უცაბედად მატლი არეულა,

ბორბალი უკუღმა დატრიალებულა.

მურმან ლებანიძე

...დადგა წელი 1992...

ქართველთა და აფხაზთა ბედის ბორბალი მართლაც უკუღმა დატრიალდა.

...აბორგდა მშვიდი და ლურჯი ზღვა...

შავი ღრუბელი გადაეკრა ავადმომზირალ ცას...

თოლიებმა ხმა გაკმინდეს...

უსიცოცხლოდ ჩამოუშვეს ტოტები პალმებმა...

ტყვია გახდა ქართველთა და აფხაზთა შორის მოციქული...

გაჩაღდა ძმათა მკვლელი ომი.

ომი 13 თვე გაგრძელდა, დაიღუპა 30 ათასამდე ეთნიკური ქართველი, 250 ათასი ლტოლვილი იქნა საკუთარი მიწიდან გამოძევებული. ჩადენილი იქნა უამრავი სამხედრო დანაშაული, განხორციელდა ქართველების ეთნონმენდა...

არანაკლებ დაზარალებენ აფხაზები: მოკლული იქნა 4 ათასამდე აფხაზი, 20 ათასი ლტოლვილი იქნა. (მასალა ამოღებულია მიხეილ ბასილადის დოკუმენტური ფილმიდან - როგორ დაეცა სოხუმი).

დასრულდა ომი, რომელშიც არავის გაუმარჯვია, რომელშიც პატარა საქართველომ დიდი ჭრილობა მიიღო. ეს იარებია: 34 ათასი ქართველის მსხვერპლად შეწირული სიცოცხლე (აქედან 4 ათასამდე აფხაზი, ხოლო 30 ათასამდე საქართველოს სხვა კუთხის შვილები), ცეცხლის ალში გახვეული სოფლები და ქალაქები, დანგრეული ოჯახები, ძაძით შემოსილი დედები...

და ბოლოს, შემზარავი სინამდვილე - საქართველომ თავისი ძირძველი კუთხე - აფხაზეთი დაკარგა!..

სამშობლოს გაუჭირდა და შეიკრიბნენ ქართველი ვაჟკაცები! სამშობლოს ვჭირდებითო და მოიკიდეს ზურგჩანთები, დედასამშობლო გვეძახისო და აფხაზეთისკენ მიმავალ გზას დაადგენენ გრუზათმანი, მხარბეჭიანი ახალგაზრდები.

მათ შორის ჩემი სოფლელი ვახტანგი შათირიშვილიც ერია. ქართველი დედის ძუძუმწოვარი, უღალატო და ალალი ვაჟკაცი მოხალისეთა ჯგუფში ჩაენერა და ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა.



ვახტანგი შათირიშვილი

ლიმილის ბიჭი ვიყავი

მანამდე კი...

მანამდე სოფელში იზრდებოდა ერთი პატარა, მოკლე-პერანგა ბიჭი, თავისი თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. მათთან ერთად თამაშობდა ლახტს და კენჭობანას, მათთან ერთად დარბოდა მთის საცალფეხო ბილიკებზე და მზით გარუჯული მდინარე სუფსის ტალღებში დაცურავდა.

წლები გავიდა და გაიზარდა პატარა სოფლელი ბიჭი. ლამაზი, თავდაჯერებული და გონიერი ჭაბუკი გახდა. სოფლის კრიალა ნაკადულებს, ნამსხვრევი ბროლივით გადმომსკდარ ჩანჩქერებს და ამწვანებულ მთებს დარჩათ მისი ბავშვობა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ვახტანგმა სწავლა განაგრძო და ინჟინერ-მექანიკოსი გახდა. სოფელს დაუბრუნდა ვაჟკაცი. უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი სოფელი, ეოცნებებოდა ნათელი მომავალი, ნასათუთევი და ნალოლიავები ბავშვობის გამო ამავის დაბრუნებას აპირებდა მშობლებისთვის, მაგრამ აღარ დასცალდა ჭაბუკს ნათელი ოცნებების ახდენა. დაიწყო ისტორიაში არნახული სისასტიკის ომი ქართველთა და აფხაზთა შორის და ვახტანგი სამშობლოს ჯარისკაცი გახდა.

მაპატიეთ, ძვირფასო დედა და მამა! არ შემიძლია შორიდან ვუყურო ამ საშინელებას! მივდივარ აფხაზეთში, იქნებ ერთი აგური მაინც დავდო ძმათა შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად!

ასეთი შინაარსის წერილი დაუტოვა ვახტანგმა მშობლებს და მათ დაუკითხავად, მეზობლების და თანატოლების გამოუმშვიდობებლად ომში წავიდა.

სულ მალე ოჯახმა შეტყობინება მიიღო:

თქვენი შვილი ვახტანგი შათირიშვილი, ჩარიცხულია 23-ე მექანიზებული ბრიგადის მე-ნ სატანკო ბატალიონის საავტომობილო ათეულის რიგებში.

სამშობლოს დროშა მეჭირა

აფხაზეთის ომი ხშირად უცნაურ, ბნელ ფიქრებს წამოშლის ხოლმე, როცა ომის თანამდევ ძარცვის, მარადირობის და ათასი სხვა დანაშაულის ფაქტებს გავისხენებთ, გული გვეყინება და სულშიც ვიღაცის ცივი ხელი გვიფათურებს. ჩნდება კითხვა: რისთვის წავიდა მოხალისე ჯარისკაცი ამ ომში? იქნებ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა უნდოდა? იქნებ სააქაო ცხოვრების ამაოება უნდოდა დაეკმაყოფილებინა და გაუბედურებულ ადამიანთა ნაკვალევზე სიმდიდრის მოხვეჭა სურდა? იქნებ საკუთარი საგზლისთვის სულაც არ უზრუნია!

ასეთი მიდგომები შორს დგას ვახტანგი შათირიშვილისგან. სამშობლოს მედროშე ჭაბუკს თავისი სიცოცხლის ფასად გამოჰყავდა ბრძოლის ველიდან დაჭრილები, განურჩევლად იმისა, დაჭრილი ჯარისკაცი აფხაზი იყო თუ ქართველი; თავისი სიცოცხლის გამეტებით გზას უკვალავდა ლტოლვილებს: ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს...

23-ე ბრიგადის, მე-ნ სატანკო ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილის, თადარიგის მაიორის ა. ქარაიას მიერ გამოცემული ერთი ფარატინა ქალაღი, დიდ ინფორმაციას გვანვდის ვახტანგი შათირიშვილის შესახებ:

თადარიგის სერჟანტი – შათირიშვილი ვახტანგი, ქართველი.

მცხოვრები: ჩოხატაურის რაიონი, სოფელი შუასურე-ბში.

მონაწილეობას ღებულობდა ბატალიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო ოპერაციებში.

იგი პირნათლად ასრულებდა მეთაურის დავალებებს.

საკუთარი სიცოცხლის ფასად ბრძოლის ველიდან გა-

მოჰყავდა დაჭრილები. ერთ-ერთი სამუშაოს შესრულების დროს, 1993 წლის 3 ივლისს, მტრის მიერ ნასროლი ჭურვის აფეთქების შედეგად იქნა ჰოსპიტალიზირებული.

ვახტანგი შათირიშვილს ქვეყნისთვის განეული ამაგი სიცოცხლეშივე დაუფასდა მას თავდადების გამო 1993 წლის ივლისში მიენიჭა სერჟანტის წოდება.

ვახტანგი შათირიშვილი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. გათანაბრებული არის დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და მიენიჭა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის წოდება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, სოციალური სამმართველოს მიერ.

ჯანმრთელობა შერყეული ჭაბუკი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. დღეები გადიოდა და ჭრილობები უფრო უმწვავდებოდა ვაჟკაცს, მაგრამ ერთი დღეც არ მიჯაჭვია სარეცელს.

მალე ჩამოდნა მისი ბედის სანთელი და ღმერთთან და სივრცებთან ნაზიარებმა მისმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა.

ცხრა ძმით მეთად მიმიღეს, პირზე მაყარეს ვარდები, დაჭრილს, დამზრალს და გზადაღლილს, დამხურეს მუზარადები.

გიორგი ლეონიძე

ეს ზოგადად შეიძლება ვთქვათ, თორემ იქნებ ოცდამეათე ძმად მიიღეს, ან მეასედ... ვინ იცის, მათი რიცხვი ხომ უამრავია... რომლებიც ჭაბუკებად დარჩნენ მარად!

მარინა ტრაპაიძე

ჯამუში

სიჩუმე და სინყნარე იყო, იმ მომენტში არ მქონდა საქმე და თავისუფალი ვიყავი. მომინდა ბუნებაში გასვლა. უფრო სწორად მომენატრა ჩემი მხარე, გურიის ბუნება, სუფსის ხეობა და წავედი...

ფიქრებში გართულმა საკმაოდ ბევრი ვიარე, თან აფხაზეთის ლამაზ ბუნებასა და ადგილებს ვათვლიერებდი. ბუნებამაც გამიტყუა... თურმე იმდენი მივლია, ლამის წინა ხაზზე აღმოვჩნდი, სანამ დამინახავდნენ და მიზანში ამომიღებდნენ სასწრაფოდ გამოვბრუნდი. ეს ჩემი ეგრეთ წოდებული „გასიერება“ ჯერ უსაფრთხო, შემდეგ კი უშედეგო არ აღმოჩნდა. მოკლედ არც მეტი და არც ნაკლები დავიჭირე ჯამუში. ის საკმაოდ ძლიერი გამოდგა, მაგრამ არც მე დავრჩი ვალში, რადგან ყველაზე მეტად იმან გამაბრაზა, რომ ის იყო სპეციალურად დაქირავებული კაზაკი ჯამუში საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. რისი დამამტკიცებელი საბუთი – ნომერი დაჭერის დროს... ჯიბიდან გადმოუვარდა... მივიყვანე შტაბში. ვუყვირე, როგორ გაბედე, როგორ იბრძვი ჩვენს წინააღმდეგ-თქო. რომ ეკუთვნოდა, ისე კარგად ვერ ვუთავაზე, თან ჩემმა უფროსმაც გამაჩერა, და თან ვიცოდი, ამ კაცის საშუალებით ტყვის გამოსხნა შეგვეძლო.

ჩემი მეთაურის სიტყვები: გაჩერდი ვახტანგ, ყოჩაღ, გეყოფა, ახლა მოვუფთხილდეთ, არ იცი, მაგ კაზაკის სანაცვლოდ ორი ჩვენი ტყვის დახსნა შეგვიძლია მტრისგანო.

(ერთ კაზაკში ორ ტყვეს ცვლიდნენ).

შემდეგ წავიდა პროცედურები, მოლაპარაკებები...

იმედია, ეს ორი ტყვე, უფრო სწორად ტყვედყოფილი ადამიანები თავს კარგად გრძნობენ და მშვიდად არიან...

Teimuraz Rionti _ qvevris ideologi



დე ბენარი - ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის O.I.V. პრეზიდენტი (2010 წ.); თეიმურაზ ღლონტი ფედერაციო კასტელუჩი - ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის O.I.V. აღმასრულებელი დირექტორი (2010 წ.);

უძველესი ქართული საღვინე ჭურჭელი - ქვევრი პოზიციებს ისევ იმყარებს. მასთან ერთად მეღვინეობას უბრუნდება ვაზის მივიწყებული ქართული ჯიშები. შეიძლება გაგვიკვირდეთ, მაგრამ ამ პროცესის უკან სულ რამდენიმე ადამიანი დგას - ენთუზიასტები, რომლებსაც თავიდან უწევთ აუხსნან კოლეგებს და საზოგადოებას როგორც ქვევრის სიკეთე, ისე მივიწყებული ჯიშების სარგებლიანობა. ეს კი არც ისე იოლი საქმეა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ათწლეულების განმავლობაში ქვევრის მიმართ გაუმართლებელი ნიჰილიზმი ინერგებოდა და ამავდროულად, ვაზის მრავალი ჯიშები ერთი ხელის მოსმით მოკვეთეს მეღვინეობიდან.

ამ ენთუზიასტებს შორის არიან როგორც პრაქტიკოსი მეღვინეები, ისე დარგის გამოჩენილი მეცნიერები. თეიმურაზ ღლონტი ორივე მიმართულებით აღიარებული ავტორიტეტია. გასულ წელს მის მიერ დაყენებულმა ქვევრის ღვინომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კონკურსის - „დეკანტერის“ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, თბილისის ღვინის კონკურსში - ოქროს მედალი, ხოლო მევენახეობისა და მეღვინეობის 33-ე მსოფლიო კონგრესზე წარდგენილი მოხსენება - „ქართული ღვინის ისტორია და ტრადიციული ტექნოლოგიები“ გამოქვეყნდა მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის ბიულეტენში - მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სამეცნიერო გამოცემაში.


თავს სერიოზული, მკაცრი გამოხედვით და პრინციპულობით დაგამახსოვრებთ. გამოირჩევა მრავალმხრივი განათლებით - უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტის გარდა, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მოსკოვის უცხო ენების 4-წლიანი სახელმწიფო კურსები გერმანული ენის განხრით. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი; მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, წიგნისა და პუბლიკაციის ავტორი; ჟურნალ „ვაზი და ღვინოს“ აღმდგენელი და მთავარი რედაქტორი 1992 წლიდან.

მაინც საიდან იღებს სათავეს ქვევრისადმი აუცილებელი მოკიდებულება დარგის სპეციალისტებსა თუ საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში? „ქვევრისადმი ნიჰილიზმი მხოლოდ დღეს არ გაჩენილა“, - გვპასუხობს თეიმურაზ ღლონტი, - „იგი მე-19 საუკუნის 20-იან წლებში აღმოცენ-

და. 1828 წელს საფრანგეთის კონსული შ. გამბა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მიზანდასახულებას ახმთანებდა და წერდა, რომ საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი ტრადიციული წეს-ჩვეულებები უნდა შეცვლილიყო. მიუხედავად იმისა, რომ გამბა აღიარებდა კახური ღვინოების მაღალ ხარისხს, აღნიშნავდა, რომ ქვევრები სამომავლოდ უნდა შეცვლილიყო ევროპული მუხის კასრებით და ბუტებით. საზოგადოდ, ადგილობრივის სანაცვლოდ უნდა დამკვიდრებულიყო ევროპული ტექნოლოგიები. ამ პოლიტიკის გამტარებელი მოხელე-სპეციალისტი გ. ლენცი იძულებული გახდა, 1846 წელს ელიარებინა ქართული ქვევრის აშკარა უპირატესობა ევროპულ მუხის კასრებსა და ჩანებთან შედარებით. ამგვარი პოლიტიკა ქვევრის მიმართ არც მე-20 საუკუნეში, საბჭოთა წყობის პირობებში, შეცვლილა. განსაკუთრებით ეს პროცესი 60-იან წლებში გაძლიერდა“.

იმ პერიოდში თეიმურაზ ღლონტი მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი იყო. ბედნიერი შემთხვევის წყალობით იგი მოხვდა მაღალი დონის თათბირზე, სადაც მეღვინეობიდან ქვევრის განდევნის საკითხი წყდებოდა. თათბირზე მან ვრცლად ისაუბრა ქვევრის დადებით მხარეებზე და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ამ უნიკალური საღვინე ჭურჭლის უარყოფა მეღვინეობას მხოლოდ დაზარალებდა. ქვევრის შენარჩუნებას მხარი დაუჭირეს კახური ღვინისა და ქვევრის ქომაგებმა, პროფესორმა გიორგი ბერიძემ და ცნობილმა სპეციალისტმა გივი მესხიშვილმა. მართალია, თათბირზე ისინი უმცირესობაში იყვნენ, მაგრამ მყარი არგუმენტებით ქვევრის წინააღმდეგ მიმართული ეს ერთი მცდელობა ჩაშალეს.

თეიმურაზ ღლონტის თქმით, ქვევრისადმი ნიჰილიზმს წლების განმავლობაში ზოგადად ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აძლიერებდა. ამგვარი დამოკიდებულების გამო, წარმოებიდან და ყოფა-ცხოვრებიდან თანდათან განიდეგნა და დიდწილად დავიწყებას მიეცა კახური ტიპის ღვინო. მას შეენაცვლა არატრადიციული ტექნოლოგიით დამზადებული არატიპური ღვინო, ანუ სუროგატი, რომელმაც სახელი გაუტეხა კახურ ტრადიციულ ღვინოს: „ყოველივე ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ კახეთში ქვევრები მინით ამოავსეს. ინერგებოდა აზრი, რომ ვითომდა ქვე-



ღვინის მწერალთა თეიმურაზ ღლონტი და მისი ცოლი, მსოფლიოს ნამყვანი ღვინის მაგისტრი, ლიზა გრანკი

ვრი ანტისანიტარიის წყაროა. ხალხმაც თანდათან ქვევრში ღვინის დაყენებაზე ხელი აიღო“.


ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიებისა და ქვევრის დაბრუნება მეღვინეობასა და ყოფა-ცხოვრებაში არც ისე ადვილი საქმეა. გარდა იმისა, რომ ხალხს უმეტესწილად დაავინყდა ქვევრში ღვინის დაყენება და ყველაფრის თავიდან შესწავლას წლები სჭირდება, თვითონ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიაც დაკნინდა. თანამედროვე მეთუნეების მიერ გაკეთებული ქვევრების დიდი ნაწილი უხარისხოა. დავიწყებულია ქვევრის მოვლა-პატრონობის ტრადიციებიც. არადა, თუკი ქვევრს დაავადება ერთხელ გაუჩნდა, მერე მისი გადარჩენაჭირს.

„ჩვენი მევენახე-მეღვინე გლეხობის ნაწილი ქვევრში უხარისხო ღვინოს თუ აყენებს, ეს უნდა ავხსნათ ქვევრის მოუვლელობით და ღვინის დაყენების წესების დარღვევით. კერძოდ – ფალსიფიცირებული ღვინოების მავნე ჩვევის დანერგვითა და დამკვიდრებით. მოუვლელობის მიზეზით დამშორებული, დამძალეული, ობმოკიდებული ქვევრის აღდგენა და გამოსწორება რთულია, ვინაიდან დაავადების გამომწვევი ბაქტერიები იბუდებენ ქვევრის კედლის ფორებში და მათი იქ გაუფრთხილებლობა ძალიან ძნელია. დაავადებული ქვევრის აღდგენა-გაჯანსაღება თუ არ ხერხდება, რჩება ერთადერთი გზა – იგი უნდა შეიცვალოს ახლით“, – ამბობს თეიმურაზ ლლონტი.

ქვევრისა და კახური ღვინის აღორძინების საქმეში აქტიურად ჩაერთო საქართველოს საპატრიარქო და მართლმადიდებლური ეკლესია. ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი და ალავერდის მონასტრის მარანი. აქ თეიმურაზ ლლონტი მეღვინე კონსულტანტად არის მიწვეული. მისი ხელმძღვანელობით მონასტრის ბერების მიერ ქვევრებში დაყენებული კახური ღვინო ერთბაშად ამსხვრევს ყველა უარყოფით სტერეოტიპს, რაც კი წლების განმავლობაში ქვევრის ღვინოს დაავადებასავით გაუჩნდა.

2010 წელს თეიმურაზ ლლონტის მრავალწლიანი შრომა და სამეცნიერო მოღვაწეობა მსოფლიო აღიარებით აღინიშნა – მისი ხელმძღვანელობით დაყენებულმა ღვინომ „ალავერდის ტრადიციები, 2007 წ.“ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა ჟურნალ „დეკანტერის“ ღვინის საერთაშორისო კონკურსზე. ეს არის ყველაზე მაღალი ჯილდო, რაც კი აქამდე თანამედროვე ქვევრის ღვინოს მიუღია. ამ გამარჯვების სიხარულს თეიმურაზ ლლონტი მონასტრის მარანთან ერთად იზიარებს და აღნიშნავს: „თვით ის ფაქტი, რომ ალავერდის მონასტერი გახდა ტრადიციული მეღვინეობის აღდგენისა და აღორძინების ცენტრი, მეტყველებს სამონასტრო მარნების განსაკუთრებულ როლზე მეღვინეობის განვითარების საქმეში. ალავერდის მონასტრის მარანი უძველესი ტრადიციებისა და ახალი ტექნოლოგიების ჰარმონიულად შერწყმის კარგი ნიმუშია. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ამ მარნის მნიშვნელობას და ფუნქციას. ამავე დროს, კარგ მაგალითს აძლევს სხვა ეპარქიებს და მთლიანად საზოგადოებას“.

რა თქმა უნდა, კარგი ქვევრის ღვინო მარტო ამ უნიკალური ჭურჭლის დამსახურება არ არის. ამავდროულად, იგი გულისხმობს კარგად მოვლილ ვენახს, კარგ ყურძნის ჯიშს, მიკროზონის კეთილისმყოფელ გავლენას, კარგ მეღვინეს და ბევრ სხვა ფაქტორს. კარგმა მეღვინემ ეს ყველაფერი კარგად იცის.



იზაბელ ლეჟერონი – ცნობილი ფრანგი ღვინის მწერალი თეიმურაზ ლლონტი

თეიმურაზ ლლონტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ვაზის ადგილობრივ ჯიშებს, რომელთა ნაწილი უსამართლოდ არის მივიწყებული. 2007 წლიდან იგი ინტენსიურად იკვლევს დაკარგვის პირას მისული ჯიშის – „კახური მცვივანის“ პოტენციურ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. ექსპერიმენტულად დაყენებული აქვს უმაღლესი ხარისხის ევროპული და კახური ტიპის ღვინოები, რომელსაც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია მცირე მონოგრაფია ზურაბ ლლონტის თანაავტორობით: „ყურძნის კლერტის როლი კახური ტიპის ღვინის ჩამოყალიბების პროცესში“. მისივე ხელმძღვანელობით „კახური მცვივანის“ ნერგები გამოჰყავთ და რგავენ ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, ქართლის მიკროზონებში. არანაკლები ყურადღება დაუთმო მან ვაზის ჯიშის – ხიხვის ტექნოლოგიური პოტენციალის შესწავლას. 2003-06 წლებში თეიმურაზ ლლონტის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ასპირანტმა გ. ბუიშვილმა ხიხვისგან დააყენა ევროპული, კახური და ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოები; შეისწავლეს მათი ქიმიურ-ტექნოლოგიური და ორგანოლექტიკური მახასიათებლები. ამ კვლევის მიხედვით 2009 წელს გამოიცა მონოგრაფია.

ბოლო დროს თეიმურაზ ლლონტს ხშირად ნახავენ ბახტრიონის ქუჩაზე „ქართული ღვინის კულტურის ცენტრში“, რომელიც დააარსა აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის – დავითის, სამთავისისა და გორის მიტროპოლიტის – ანდრიას და ჭყონდიდის მიტროპოლიტის – პეტრეს მიერ დაფუძნებულმა „ქართული ტრადიციული ღვინის ფონდმა“. ცენტრში დაგეგმილია შემეცნებითი საუბრების, სემინარებისა დეგუსტაციების ჩატარება. ქვევრი და ქვევრის ღვინო, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, ერთგვარი იდეოლოგიაა, რომლის შესახებაც თეიმურაზ ლლონტი არაერთხელ ისაუბრებს „ქართული ღვინის კულტურის ცენტრის“ სტუმრებთან. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა ენთუზიასტი ზურაბ ლლონტიც, რომელიც მამის გეზს აგრძელებს.

„ქართულ მეღვინეობას დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს“, – აღნიშნავს თეიმურაზ ლლონტი, – „ამის თქმის უფლებას გვაძლევს საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი, მაღალი ღირსების ღვინოების მომცემი ვაზის ჯიშები, ღვინის დაყენების უნიკალური ტექნოლოგიები, როგორც ცალკეული რეგიონის, ისე ცალკეული მიკროზონებისა და მიკროუბნების მიხედვითაც კი. ჩვენი მეღვინეობის მთავარი მიმართულება



თეიმურაზ და ზურაბ ლლონტიძე ალავერდის მონასტრის ეზოში

რადიქსიოსაგან:

ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული ქართული (კახური) მეთოდი ქართული მეღვინეობის თვალისჩინია, ამავე დროს ის მსოფლიო მეღვინეობის უნიკალური მოვლენაა, სწორედ ამის გამო მიანიჭა იუნესკომ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციულ ქართულ წესს არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი.

ჩვენდა სამწუხაროდ, XXI საუკუნის პირველ ნახევარში ქვევრის და ქვევრის ღვინო „კანონგარეშე“ შერაცხეს, ღვინის სანარშობებში ქვევრები მინით ამოვსეს. საზოგადოებაში ხელოვნურად მკვიდრდებოდა აზრი, რომ ქვევრის ღვინო უვარგისია და თავად ქვევრზე საუბარიც კი ჩამორჩენილობის ნიშანია, მავანსა და მავანს მიაჩნდა, რომ მტკიცება ქვევრის ღვინის გამორჩეულობისა მხოლოდ სუბიექტური აღქმისა და გემოვნების საფუძველზე იგებოდა. ამგვარ ნიშილიზმს ისიც აძლიერებდა, რომ არ არსებობდა ქვევრის გამორჩეულობის დამადასტურებელი მეცნიერული დასკვნა, რის საჭიროებასაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღიარებდა წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) და მოითხოვდა ამას ქართველი მეცნიერებისაგან. როგორც ვხედავთ, ეს საკითხი იმ ხანადაც პრობლემატური იყო.

უკანასკნელ წლებში ბატონ თეიმურაზ ლლონტის მიერ ჩატარებულმა ქვევრისა და ქვევრის ღვინის მრავალმხრივმა კვლევამ მეცნიერულად დაასაბუთა ქვევრის ღვინის გამორჩეულობის საკითხი და ნერტილი დაუსვა ორაზროვან მითქმა-მოთქმას ამ მიმართულებაში.

ბატონ თეიმურაზ ლლონტის სამეცნიერო საქმიანობის პრაქტიკული რეალიზების შესანიშნავი შედეგია 2013 და 2014 წლებში ბატონ ზურაბ ლლონტის თანაავტორობით გამოცემული ორი მონოგრაფია: „ქვევრის ღვინის გამორჩეულობა, ანუ რითი სჯობს ქვევრში დაყენებული ღვინო არაქვევრში დაყენებულს“ და „კახური მცვივანი – უნიკალური ღვინის მომცემი ვაზის ქართული ჯიში“.

მონოგრაფიამ – „ქვევრის ღვინის გამორჩეულობა, ანუ რითი სჯობს ქვევრში დაყენებული ღვინო არაქვევრში დაყენებულს“ გაფანტა ორჭოფი და ნიშილისტური დამოკიდებულების ბურუსი, ქვევრის კახური ღვინის ღირსების თაობაზე. ფიზიკურ-ქიმიური გამოკვლევების საფუძველზე დადასტურდა ხარისხობრივი უპირატესობა ქვევრში დაყენებული ღვინისა სხვა ჭურჭელში დაყენებულ ღვინოებთან შედარებით. ამ ხასიათისა და მნიშვნელობის ნაშრომი დღემდე არ გამოცემულა.

მეორე ნაშრომი – „კახური მცვივანი – უნიკალური ღვინის მომცემი ვაზის ქართული ჯიში“ ეძღვნება დაკარგვის პირას მისული ვაზის ქართული ჯიშის ტექნოლოგიური პოტენციალის გამოკვლევასა და კახური მცვივანის ღვინის მაღალხარისხოვნების დასაბუთებას 2007-2011 წლებში. სამწუხაროა, რომ კახური მცვივანი XX საუკუნეში არათუ ამოვარდა ვაზის საღვინე ჯი-

უნდა იყოს სხვადასხვა რეგიონში მაღალხარისხოვანი ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი ღვინოების წარმოება. ეს საკვებით რეალურია, თუკი აღვადგენთ ტრადიციულ ტექნოლოგიებს და გავამდიდრებთ საღვინე ვაზის ჯიშების სორტიმენტს, ძირითადად – ვაზის ქართული გენოფონდის შესწავლით და გამოყენებით“.

თეიმურაზ ლლონტი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ქართული ვაზის ჯიშებისგან დაყენებული, ორიგინალური, სხვათაგან განსხვავებული ღვინოები უფრო აინტერესებს. ხოლო ის ფაქტი, რომ „დეკანტერის“ კონკურსზე ქვევრებში დაყენებულმა ტრადიციული კახური ტიპის ღვინომ საერთაშორისო მასშტაბით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ცხადყოფს, რომ ეს ღვინო მსოფლიოსთვის მისაღებია.

ალეკო ციციტიშვილი

შების სორტიმენტიდან, არამედ საზოგადოებაშიც დაინყებას მიეცა.

ბატონ თეიმურაზ ლლონტის მიერ ჩატარებულმა მრავალმხრივმა საქმიანობამ გააცოცხლა თითქმის დაკარგული, ვაზის შესანიშნავი ქართული ჯიში, რომელიც XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ წლებში კახეთის საუკეთესო ვაზის ჯიშების ოთხეულში შედიოდა. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ დღეს უკვე დიდია ინტერესი კახური მცვივანისადმი, ის უკვე კახეთის ზვრებში იმკვიდრებს ღირსეულ ადგილს.

მონოგრაფია „კახური მცვივანი“ საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს მეცნიერულად ვაზის ქართული გენოფონდი, რომელშიც არაერთი მარგალიტია გაბნეული. ჩვენს ოქროს საგანძურს – ვაზის ქართულ გენოფონდს სწორედ ამგვარი მზრუნველი ხელი და პატრონი სჭირდება.

მონოგრაფია – „კახური მცვივანი – უნიკალური ღვინის მომცემი ვაზის ქართული ჯიში“ პირველი მცდელობაა ამ ჯიშის ტექნოლოგიური პოტენციალის მრავალმხრივი შესწავლის მიმართულებით და კიდევ ერთი დადასტურებაა ქართული არამატერიალური კულტურის უნიკალურობისა და თავისთავადობისა.

ბატონი თეიმურაზ ლლონტი აქტიური მონაწილეა „ქვევრის ფონდის“ დაარსებისა, ქვევრის ღვინის I (2011 წ.), II (2013 წ.), III (2015 წ.) საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმისა და ქვევრის ღვინის I საერთაშორისო ფესტივალისა – „ალავერდობა“ (2014 წ.).

2012 წელს კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თეიმურაზ ლლონტის აქტიური თანამშრომლობით მომზადდა ნომინაცია იუნესკოსათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოსაპოვებლად.

ბატონი თეიმურაზ ლლონტი არის თანარედაქტორი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ხელმოწერულ გამოცემული წიგნისა „საქართველოს ამპელოგრაფია“.



ყველაფრისგან ფულის კომპარკას ცლიობა

ჩოხატაურელების უკმაყოფილება ამჟამად შუქის დავალიანების გადახდისას აღრიცხულ თანხაზე დამატებითი 75თ.-ის მატებამ გამოიწვია. ბანკებში გადახდის შემთხვევაში საკომისიო 75თ. ემატება, სალარო-აპარატებზე გადახდისას 50თ. ჩვენ დავინტერესდით, თუ რას ფიქრობს ხალხი.

ცენტრადე გიული – არ ვიცი, ვისი გამოგონილია ეს, ვის მოუვიდა აზრად ადამიანების დამძიმებული ყოფის კიდევ მეტად გართულება. იტყვიან ალბათ, არსებობს აპარატი, სადაც შესაძლებელია თანხის საკომისიოს გარეშე გადახდა, თავად ენერგო-პრო ჯორჯიას დაწესებულებები მაქვს მხედველობაში, თუმცა იქაც აწყდებიან პრობლემებს, მაგრამ ყველას არ აქვს მითითებულ ადგილზე მისვლის საშუალება, არსებობს ამის უამრავი მიზეზი, ზოგი ავად არის, ზოგს გზის ფული არ აქვს და კიდევ რა და რა. ალბათ იმასაც იტყვიან, ხალხის აზრი არ გვავინტერესებსო, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. ყველაზე მეტად ხალხის აზრია გასათვალისწინებელი.

თავაძე ზაზა – ასე როგორ შეიძლება, მხოლოდ იმას ფიქრობენ, საიდან ამოქაჩონ ფული. ეს არის ყოველად გაუაზრებელი ნაბიჯი. თუ აქამდე ისე მოვედით, რომ მსგავსი არ ყოფილა, ახლა რა მოხდა. ალბათ ჯარიმების საშემოსავლო არ ეყოთ და ეს მოიფიქრეს. ბოლოს და ბოლოს ამოუვა ხალხს ყელში და იფეთქებს ნაღმივით წყრომა და ჯავრი.

გოგაძე ვერა – აბა რა გითხრათ, რასაც იხდი, დაუმატე იმას 50 იქნება თუ 75თ. ეს არც დაგაქცევს და არც აგაშენებს. დანესდა ასე და რა ვქნათ.

დოლიძე ნორა – ეს რა უსამართლობაა, ერთი დღით გადააშორებ და გაჯარიმებენ, ვერ ვიხდი იმიტომ, რომ არ

არის საშუალება, თუნდაც ეს ორი ლარი იყოს. ორს ზემოდან კიდევ ორ ლარს მიმატებ, ამას პლიუს საკომისიო და თუ ორ ლარს ვერ ვიხდი, მეტს საიდან გადავიხდი?!

ზამბახიძე თედო – მე მაგალითად ყოველ ღონეს ვხმარობ იმისთვის, რომ გადასახადმა 5ლ. არ გადააჭარბოს, ვიკლებ ყოველგვარ სიამოვნებას და კომფორტს. მით უფრო, რომ არც ბუნებრივი აირი მაქვს შემოყვანილი. ამ შუა ზაფხულში ცეცხლის ალზე ვიხრუკები, რომ რაც შეიძლება ნაკლები მომივიდეს გადასახადი თვიდან თვემდე. დამატებითი საკომისიო, თუნდაც 75თ. დამატებითი პრობლემაა ჩემთვის.

საბუთაძე ავთანდილი – საინტერესოა, უახლოეს მომავალში კიდევ რას მოიფიქრებენ, კიდევ რით გაგვაკვირებენ, ისედაც გალატაკებული ხალხის ჯიბეებზე გავლით. ჩემი აზრით შემდეგი ნაბიჯი დენის ტარიფის მატება იქნება. ეს აშკარად მოსალოდნელია. ვითომდა დამაიმედებელი განცხადება იმის თაობაზე, რომ ამ ეტაპზე არ მოხდება ტარიფის საფასურის მატება, აშკარად მიუთითებს, რომ თუ ამ ეტაპზე არა, სამომავლოდ მაინც მოსალოდნელია, და საერთოდ ეს რა სისტემაა. იმისთვის რომ აბონენტი შუქის საფასურს ვერ იხდის, კიდევ ზემოდან ჯარიმას აკისრებ და შუქსაც უჭრი. აღნიშნული სისტემის თანამშრომელმა გულმონყალება გამოიჩინა, გაჭირვებულ და ავადმყოფ ადამიანს დავალიანების გამო შუქი არ ჩაუჭრა, ამიტომ აჯარიმებ?! ერთი სიტყვით, ეს სისტემა ისე როგორც სხვა უამრავი რამ, ქვეყანაში დასახვეწია.

ირინა რამიშვილი

ჩოხატაურის საკრებულოს მორიგი სხდომა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელზეც განსახილველად გამოვიდა 17 საკითხი.

საკითხი, რომელიც შეეხო – **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების ძაღლები და კატები მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**, – საკითხი ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებული. ცხოველთა დაცვის დეპარტამენტის უფროსისგან შემოსულია რიგი შენიშვნები, რის გამოც გაუქმდა ძველი და ახალი დადგენილება. შესაბამისობაში მოვიდა მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით.

კამათი გამოიწვია საკითხმა, რომელიც შეეხო **დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში და კურორტ ბახმაროში არსებულ პარკებში, სკვერებში და საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**. აღინიშნა, რომ გასატარებელ ღონისძიებებში შედის პირუტყვის აყვანა და გადაყვანა მათთვის განკუთვნილ სპეციალურ

სადგომში. მეპატრონის ვალდებულებაში შევა კვების საფასურის გადახდა. არსებულ საკითხთან დაკავშირებით ლოგიკური კითხვა წამოიჭრა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარისგან, – ვინ იქნება პასუხისმგებელი საქონლის დაზიანების შემთხვევაში და არის თუ არა საქონლის სადგომისთვის ტერიტორია გამოყოფილი? ირაკლი ახობაძემ თავისი მოსაზრება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გამოხატა, – ჯარიმებით საქმეს არ მოვევლება, ჩვენ მოსახლეობის შესაძლებლობის დონედან გამომდინარე უნდა მივუდგეთ ამ საკითხს.

– ის არ შედის მოსახლეობის ინტერესებში, ოცი ძროხა რომ წევს ქუჩაში? – მიმართა მას საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ მაია პაიჭაძემ.

– ყველამ თავის ძროხას მიხედოს, გამოცხადდეს დაბმულობა, სხვანაირად გამოსავალს ვერ ვხედავ, – ასეთი გადაწყვეტა მოუძებნა საკითხს ფრაქცია – „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ თავმჯდომარემ გოჩა ჯიქიამ.

რაც შეეხება საკითხს, – **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების ძაღლები და კატები მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე** – საკითხი ადმინისტრაციული წარმოებაზე დაყე-

ნებული. ცხოველთა დაცვის დეპარტამენტის უფროსისგან მოვიდა შენიშვნები, გაუქმდა ძველი დადგენილება და მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით შესაბამისობაში მოვიდა ახალი დადგენილება.

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დავით შარაშიძემ განმარტა საკითხი, – **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წ. ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. 2015 წ. 16 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე – 0-დან 18 წლამდე შშმ ბავშვებს სამედიცინო მედიკამენტებით მომარაგება, დაავადების ხარისხიდან გამომდინარე, როგორც ბატონმა დავითმა აღნიშნა მუნიციპალიტეტში ასეთი 70 ბავშვია და საკრებულო ყველანაირად მხარს უჭერს.

საკითხი, რომელიც შეეხო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, გამგეობის ბალანსზე რიცხულ და არასამეწარმეო იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ ქონების განკარგვის, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსა-

ცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, – საკითხთან დაკავშირებით წამოიჭრა კითხვა, – შევიძინე მინა აუქციონის წესით, რის თაობაზეც მოგმართეთ თქვენ, რომ არსებულ ტერიტორიაზე დემონტაჟის უფლება, მიმელო თქვენ მიპასუხეთ, – უნდა წარმოვადგინო მეპატრონის თანხმობა. როგორ მივალნიო, ეს უფლება რომ მოვიპოვო?

გაურკვეველ ვითარებაში დასრულდა მსჯელობა წყლის საკითხთან დაკავშირებით, დავით შარაშიძემ განაცხადა, – **წყალი არის სასმელად უვარგისი, ჭიქაში ნალექს იყენებს, იატაკის მოსაწმენდადაც უვარგისია, ამაზე მეტი რა უნდა ვთქვა.** საკრებულოს დეპუტატთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ორად გაიყო. ნაწილს სჯერა, რომ წყალი სასმელად ვარგისია, ნაწილი კი აღიარებს, რომ მისი სასმელად მოხმარება არ შეიძლება. სასმელი წყლის ვარგისიანობა-არავარგისიანობის შესახებ საბოლოო დასკვნა ჯერ არ დევს. აღინიშნა, რომ დასკვნა მალე იქნება და ჩოხატაურელები სასმელად ხარისხიან წყალს მიიღებენ.

ირინა რამიშვილი

ჩვენ სერიალების სასონარკვეთილი მაყურებლები ვართ

ამ ბოლო დროს ლამის ნაგვლეკოს თურქულმა სერიალებმა ჩვენს სტუმრებთან ერთად შევეცადეთ, გაგვერკვია ისე როგორც ბრაზილიური, ასევე თურქული სერიალების დადებითი და უარყოფითი მხარეები. ის თუ რა აგიტაცია-პროპაგანდის მატარებელია სერიალების ბუმის შემოჭრა ქვეყანაში და ამჟამად რატომ მაინცადამაინც თურქული? ჩვენი სტუმრები არიან: ანთიქ დარეჯან, ქორიქ დავით, სტურუა ავთო, ცენტერაძე ლალი.

შ.გ. – დავსვით კითხვა და ერთად გავარკვიოთ, რატომ იზიდავს საზოგადოების უმეტეს ნაწილს სერიალები და რა ინვესტს ქვეყანაში მათი ასეთი მასშტაბით შემოდინებას?

ა.დ. – დავიწყეთ თუნდაც იმით, რომ გასულ წლებში პოპულარობით ბრაზილიური სერიალები სარგებლობდნენ. იმდენად დიდი იყო დაინტერესება, მახსოვს მოსამსახურე პერსონალიც კი ტოვებდა ადრე სამსახურს, რომ სახლში მისთვის სასურველი სერიალისთვის მიესწრო.სამინელი წლები იყო, უშუქობა, უგაზობა, წყალიც კი გრაფიკით მოგვეწოდებოდა. რჩებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანები სერიალებით სულმდგმულობდნენ.მათი ემოციური ფონი პირდაპირი გაგებით „დაპყრობილი“ ჰქონდა ბრაზილიას და როგორც თავად ამბობდნენ, სერიალების ყურებით უბრალოდ ყოფას იმსუბუქებდნენ, რამდენიმე ხნით მაინც სხვისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და საკუთარ პრობლემებს ივიწყებდნენ.

ც.ლ. – სწორედ ეს მომენტია მნიშვნელოვანი. არ იყო შუქი, გაზი, წყალიც კი, ე.წ. კუპონობის პერიოდი და წარმოიდგინეთ ადამიანები რა პირობებში იყვნენ...

ა.ლდ. – მაგრამ საერთო ფონი სოციალური ფონის თითქმის არ შეცვლილა და ისინი, ვინც ისევ და ისევ სხვისი ხელის შემყურეა, განსხვავებას ვერ ხედავენ მაშინდელ და ახლანდელ ყოფას შორის...

ც.ლ. – კარგი რა, ახლა ისეთ თემას, როგორც სერიალების თემა, გვერდს ნუ ავუვლით და ყველაფერს ნუ განვიხი-

ლავთ ნურც სოციალურ და ნურც პოლიტიკურ ჭრილში.

ა.ლ. – როგორც არ უნდა იყოს, სამწუხაროდ, ვერც ამჟამად ავცდებით პოლიტიკურ მოსაზრებებს...

შ.გ. – ფიქრობთ, რომ სერიალები თავის მხრივ პოლიტიკას უკავშირდება, თუ ერთგვარი ბიზნესია, რომლითაც ხეირს მხოლოდ მისი გადამღები ქვეყანა იღებს?

ქ.დ. – სიტყვასიტყვით... ეს არის ერთგვარი ბიზნესი და ასევე პოლიტიკის ნაწილიც. თუნდაც ის, რომ ითქვას აქ, ადამიანებს სერიალები გაუსაძლის ყოფას უმსუბუქებსო... თავად მცნება „გაუსაძლისი ყოფა“ ქვეყნის შიდა საქმეებს უკავშირდება. დალხინებულ ქვეყანაში პოლიტიკაც ჯანსაღია, ბიზნესიც მონესრიგებული და სერიალებსაც იღებენ. გამომდინარე აქედან, თუ კარგად დაეუკვირდებით, ეს ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ჩვენ ვართ დალხინებული ქვეყნიდან შემოსული სერიალების გაჭირვებული ქვეყნის სასონარკვეთილი მაყურებლები. იმაზე მეტი ტრაგიკული რა უნდა იყოს, ჩვენს ზომბირებას რომ ცდილობენ მონაცვლეობითი და დაუსრულებელი სერიალების ჩვენებით.

ს.ა. – ჯერ იყო და არსებობდა სტერეოტიპი იმისი, რომ სერიალებს მხოლოდ ცხოვრებისგან სასონარკვეთილი დიასახლისები უყურებდნენ. შემდგომ და შემდგომ, ისინიც კი, ვისაც საჯაროდ ნანახი ფილმების განხილვაც კი აღიზიანებდათ, ამ შემთხვევაში მამაკაცებს ვგულისხმობ, აღმოჩნდა რომ მათი ერთგული მაყურებლები გახდნენ და ისინიც აქტიურად ჩაებნენ ე.წ. სერიალების გარჩევებში.

ც.ლ. – მერე რა მოხდა, ამაში უარყოფითი არაფერია. იმ დროს, რა დროსაც ზოგიერთები ბნელი და ბინძური საქმეებითა დაკავებული, სერიალზე შეყვარებული ადამიანი სერიალის ყურებაზე თუ დახარჯავს დროს, ვფიქრობ, არაფერი შევდება.

ა.დ. – ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი მოუთმენლად ელის სერიალების დაწყების დროს, არ აქვს

მნიშვნელობა ეს დილით ხდება, პიკის საათის დროს თუ საღამოს. ამ მხრივ არც საჯარო დაწესებულებებია გამო-
ნაკლისი, ტელევიზორი ყველგან აქვთ და თუ კი არის დრო
და შესაძლებლობა უყურონ სერიალს, რა თქმა უნდა, უყუ-
რებენ.

**- ჟ.გ. - რა პოზიტივისა და ნეგატივის შემცველი შეიძლე-
ბა იყოს სერიალების ჩვენება?**

ც.ლ. - რა თქმა უნდა, ბევრი უარყოფითი და მიუღე-
ბელი სცენებია სერიალის მსვლელობის დროს, მაგრამ არ
შეიძლება გვერდი ავუაროთ...

**ა.დ. - მაინც რას... იმას რომ დეიდაშვილებს, ბიძაშვილ-
მამიდაშვილებს შორის შესაძლებელია ქორწინება... ის რომ
დები ერთი კაცის გულისთვის მტრობენ ერთმანეთს... ძმას
ძმა ვერ გაუტანია და მამას-შვილი?..**

ს.ა. - ეს, რა თქმა უნდა, უარყოფითი მხარეა, რასაც
მეც ვიზიარებ. ამიტომ ვსაუბრობთ სერიალების საერთო
მნიშვნელობაზე, ვიმეორებ, ეს არის ის ნეგატივი, რაც
მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის. ახლა ვაღიაროთ
დადებითი მხარე. რატომღაც ასეთი ზნე გვჭირს ქართვე-
ლებს, ყველაფერში უარყო-
ფითს ვხედავთ, გვიჭირს
კარგის წარმოჩენა. ვფი-
ქრობ, ყველა ასე არ იქნება
და ნაწილი მაინც მიიჩნევს,
რომ სერიალსაც შეიძლება
დადებითი კუთხით მივუღ-
გეთ.

**- ჟ.გ. - რა არის ეს დადე-
ბითი?**

ც.ლ. - ერთი წუთით
შევადაროთ ერთმანეთს
ქართული და თურქული
ფილმები. მე ვერ მოვყვები
იმის მტკიცებას ხდება სი-
ნამდვილეში თუ არა იქ ასე,
მაგრამ რასაც ვუყურებთ
ფაქტია, რომ თურქი ქალების
უნდა შეგვშურდეს და არა
მარტო ქალების...

**ქ.დ. - ვისი უნდა შეგვშურდეს დედა შვილს ზურგს უკან
რალაც მაქინაც იყოს რომ უწყობს...**

ც.ლ. - მე დადებითზე ვსაუბრობ... თუ როგორი კულ-
ტურის მატარებელი არიან, როგორ მიმართავენ ერთმა-
ნეთს, როგორი სიყვარული იციან...

ს.ა. - ასეა თუ ისე, მათ უფრო მეტად ღირსეულად
ჰყავთ თავიანთი ქალები წარმოჩენილი, ვიდრე ალბათ
სინამდვილეში არიან. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თი-
თქოს ამით გვაჯავრებენ, - ესეც თქვენ და თქვენი ქარ-
თველი ქალებიო. ვინც თვალს ადევნებს მათი სიყვარუ-
ლის ისტორიას, დამეთანხმება, ალბათ მსგავსი მხოლოდ
მართლაც ფილმებში და ზღაპარში თუ ხდება. შეყვარებუ-
ლი მამაკაცი თავის სათაყვანებელ ქალს მხოლოდ თმებზე
ეხება ფრთხილად ან საერთოდ არ ეხება და მათი სასიყვა-
რულო ურთიერთობა მხოლოდ შეხვედრებით და საუბრე-
ბით შემოიფარგლება. ქორწინების შემდეგაც კი. მათ შო-
რის ფიზიკური კავშირი, თუ ეს ქალის სურვილია მანამ არ
ხდება, - სანამ თავად არ გამოხატავს ნებას...

**ქ.დ. - და თქვენ ფიქრობთ, რომ ასეთი რამ ჩვენთან არ ხდე-
ბა. ახლა ყველაფერს ისე ნუ გამოვიყვანთ, როგორც შინაურ**

მღვდელზეა ნათქვამი.

ს.ა. - ხდება, ამას არც უარყოფ, მაგრამ მსგავსს
ნაკლებად შევხვდებით. ჩვენ თითქოს რალაც ევროპულს
ვირჩევთ და ასეთი მიდგომით ვცდილობთ ევროპელები
გავხდეთ. თუ როგორ გამოგვდის, ფაქტი სახეზეა, რალაც
ევროპულის და აზიურის ნაზავითაა ჩვენი ბოლო წლებში
გადაღებული ფილმები გაჯერებული.

**- ჟ.გ. - მაგრამ ვაღიაროთ, რომ ფილმში, ისე როგორც
ცხოვრებაში ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება. კინო ხე-
ლოვნების ნიმუშია, ცხოვრება ცხოვრებაა თავისი პლიუს-
მინუსებით.**

ქ.დ. - ხელოვნების საშუალებით ხდება ამა თუ იმ ქვეყ-
ნის ტრადიციის წარმოჩენა, ამიტომ, რომ ჩვენ არ უნდა
ვიღებდეთ: იდიოტიზმს „და კიდევ მეტი იდიოტიზმს“.

- ჟ.გ. - მაგრამ თუ ამ იდიოტიზმით მართლა არის
ქვეყანა და არსებული ყოფა გაჯერებული? ამ შემთხვევა-
ში ჩვენი სცენარისტები უბრალოდ მის მაყურებლამდე და
მსმენელამდე მიტანას ცდილობენ.

**ქ.დ. - დავიჯეროთ, თურქეთში რადგან თურქულ სერია-
ლებზეა საუბარი, ყველაფე-
რი იდეალურადაა?**

ჟ.გ. - გამოდის, თურ-
ქები მოხერხებულად ცდი-
ლობენ მის ჩარჩოებში მო-
ქცევას.

ც.ლ. - თუ ეს მოხერხე-
ბაზეა, ჩვენც მოვახერხოთ...
ჩვენც ვუჩვენოთ რა კულ-
ტურისა და ტრადიციის მა-
ტარებელი ერი ვართ, რომ
ჩვენც გვყავს ღირსეული
ქალები და მამაკაცები.

ქ.დ. - სერიალების ჩვე-
ნებას პოზიტივზე მეტად
ნეგატივი ახასიათებს, ამი-
ტომ ის საერთოდ არ უნდა

ვაყურებინოთ ბავშვებს, რადგან ეს არის ძირითად შემ-
თხვევაში გეებისა და მსუბუქი ყოფაქცევის პერსონაჟთა
ატრაქციონი. ქვეყანაში არსებულ მთავრობას და ხელისუ-
ფლებას მისი გამუდმებული ჩვენება იმიტომ არის ხელ-
საყრელი ადამიანებმა ძირითადი აქცენტი, დრო და ენერ-
გია სერიალების ყურებაში დახარჯოს და რაც შეიძლება
ნაკლებად გამოხატონ დაგროვილი ნეგატივი.

**ა.დ. - სერიალები დამამშვიდებელი საშუალებაა, ტკობა
სხვისი ცხოვრებით, რომელსაც მეტად და მეტად შეყავხარ
აზარტში, დღითიდღე უფრო გაინტერესებს შენი საყვარელი
ფილმის გმირის ბედი.**

ც.ლ. - ის, რომ ბავშვებს არ უნდა ვაყურებინოთ, არ
მიმაჩნია სწორ მიდგომა. სწორედ უცხოურ სერიალებში
ხდება ოჯახური გარჩევებისა და ძალადობების ფაქტი ისე,
რომ ამ ყველაფერს ბავშვებს არ აყურებინებენ. ნამდვი-
ლად არ გვანყენს გადმოვილოთ ეს რეალურ ცხოვრებაში
და უფროსების დამძიმებული პრობლემების გამო ბავშვებს
ფსიქიკას ნუ დავუმახინჯებთ.

ქ.დ. - და ამისთვის მაინცდამაინც სერიალის მაგალი-
თია საჭირო?.. ამისთვის თავად უნდა ვიზრუნოთ. ტელე-
ვიზიამ გახრწნა ქვეყანა. მიმბძველობის თუ მიზიდულობის
ძალით, ძირითადად ახალგაზრდებში ისეთივე ქცევები და



სიტყვა-პასუხი ვლინდება, როგორცაა ეკრანის საშუალებით იღებენ.

ჟ.გ. – დღევანდელი ახალგაზრდების საქციელი, კარგიც და ცუდიც, ფიქრობთ, რომ ტელევიზიითაა გამოწვეული?

ს.ა. – არა მგონია საღად მოაზროვნე ადამიანი, ტელე-ეკრანის ანკესზე წამოეგოს. მყარი ფსიქიკის ადამიანზე მსგავსი სისუსტეები არ მოქმედებს. ფილმი აღქმული უნდა იყოს, როგორც ფილმი და არავითარ შემთხვევაში მიმბაძველობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. არ მესმის, როგორ უნდა შეგცვალოს რაღაცამ ან ვიღაცამ.

ა.დ. – ასე ნუ ვიტყვით, არსებობს გარდატეხის ასაკი, რა დროსაც გაუცნობიერებლად ხდება ქცევისა და აზროვნების შეცვლა.

ც.ლ. – არა მარტო სერიალებში, ჩვეულებრივ ფილმებთანაც მშვენივრად შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ შე-

ვალნიოთ დაკეტილ ბინაში, როგორ ვიმოქმედოთ ძარცვის დროს, რა გზითა და საშუალებით შეიძლება ადამიანის გატაცება, ციხიდან გაქცევა და ათასი რამ.

– ჟ.გ. – ფაქტია, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდები, კარგსაც და ცუდაც ერთნაირად ისრუტავს, მთავარია, როგორ გაატარებს მას ცხოვრებაში. ტელევიზორ-ცეს ყველაფერს ვერ დავაბრალეთ, ნურც იმას დავიჯერებთ, სადაც მატარებელს გაუვლია, ყველაფერი ნაბილწულია. სიბილწეს იმ ადგილებშიც ვხვდებით, სადაც მატარებელს დღემდე არ გაუვლია. ამ ადგილების მცხოვრებლებიც შეიძლება იმავე მატარებლის მგზავრები აღმოჩნდნენ თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ვეცადოთ, დავიცვათ ქრისტეს ათი მცნება და ნაკლები შეცდომა დაუშვათ ცხოვრებაში. გმადლობთ.

ირინა რამიშვილი

საქართველო ტურიზმის პერსპექტივა და პოპულარი

საქართველოში 103 კურორტი და 185 საკურორტო ადგილია. სამედიცინო ტურიზმი და კურორტოლოგია სწრაფ რენამირებას საჭიროებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციას – საკურორტო ზონებში ინფრასტრუქტურის აღდგენა და ინვესტიციების მოზიდვა. ჟურნალმა გურია REGION გურიაში გაბნეული მარგალიტების თავმოყრა დავისახეთ მიზნად.

ბახმარო თითოეული გურულის იდენტობას უკავშირდება. საქართველოში ერთადერთი კურორტია, სადაც ყოველ საღამოს კოცონს ანთებენ, მის ირგვლივ ოჯახის წევრები, ახალგაზრდები იკრიბებიან. ურთიერთობის ეს ფორმა დღემდე გრძელდება. ამბობენ, ბახმაროში დამეგობრებულები მთელი სოცოცხლის მანძილზე მეგობრებად რჩებიან.

გურულს ყველაზე მეტად ესაჭიროება მდიდარი მატერიალური ყოფა – წერს გრიგოლ რობაქიძე. გურიის ტურიზმის დიდ ინდუსტრიაში ჩართვა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა.

ბახმარო საქართველოში ერთ-ერთი მაღალი კურორტია, ბახმარო კურორტებშიც რანგირებულია, ალბათ საკრალური სიტყვაა, რომელშიც გურულების მომავალი აისახება.

კურორტის სამკურნალო თვისებებია – დიდ გავლენას ახდენს ფილტვების, პერიტონიტებით, მალარია, მეორადი ანემიის დაავადებებზე, აქ დიდი რაოდენობით მატულობს სისხლის ნითელი ბურთულების რიცხვი და ჰემოგლობინის რაოდენობა. საუკეთესო კლიმატურ პირობებს უნიკალური რელიქტური ფიჭვი ქმნის.

2014 წელს მსოფლიოს ყველა ზამთრის კურორტზე სეზონი ჩაიშალა. წელს ბახმაროში თოვლის საფარი ნ მეტრი იყო. სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებას დიდი პერსპექტივა აქვს.

მომავლის კურორტები – ურეკი და ბახმარო იერსახეს იცვლის.

მაგნიტური სილა ბევრ ქვეყანაშია – არგენტინაში, ბულგარეთში, სლოვენიაში, რუსეთში, უკრაინაში და იაპონიაში და სხვა. თუმცა მაგნიტიტის შემცველობა მხოლოდ ურეკში აღწევს 70%-ს, რაც ერთიორად მაღალია, ვიდრე სხვა ადგილებში. გეოლოგიური გარემოებების უნიკალური თანხვედრის შედეგად, ურეკის პლაჟი მსოფლიოში შავი მაგნიტური სილის ერთადერთი სანაპიროა.

მაგნიტური სილა ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს, იცვლება ქიმიური პროცესები შიგნით, ორგანიზმში წყალბადი უფრო კონცენტრირებული ხდება, სისხლი სწრაფად დედდება, ხოლო სხვა ბიოლოგიური პროცესები შესამჩნევად ჩქარდება. მაგნიტური სილა ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა, საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვული სისტემების დაავადებების მკურნალობას. ასევე ბავშვთა დაავადებების, როგორცაა ცერებრალური დამბლა, დამბლა, რაქიტი და სამშობიარო ტრავმები, ქრონიკული უროგენიტალური დაავადებების მკურნალობას, რომელიც არცთუ იშვიათად ხდება უნაყოფობის მიზეზი. ეს სილა ეხმარება ადამიანს სწრაფად გამოჯანმრთელდეს მძიმე ოპერაციების, რთული მოტეხილობების, თუ სხვა ტრავმების შემდეგ.

თამამად შეიძლება ითქვას – ურეკი და ბახმარო მომავლის კურორტებია, რომლებსაც კიდევ ბევრი სასწაულის მოხდენა შეუძლიათ.

ორივე კურორტის ცნობადობის გაზრდაში აქტიური მონაწილეობა დავისახეთ მიზნად. მეთხველებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ყველა ქმედით ნაბიჯს გავაცნობთ. ჩვენ პირველები ვახმოვანებთ კურორტების პოპულარიზაციის მიზნით დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებიც ურეკში და ბახმაროში გაიმართება. ჟურნალი გურია REGION ღონისძიებების ერთ-ერთი ორგანიზატორი იქნება.

ლელა სურმავა



სახსრები აპარატურის დანერგვა საქართველოში ზურაბ ქვეანიშვილს უკავშირდება



ზურაბ ქვეანიშვილი

საქართველოში იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ წარმატებულ ექიმს, რომელმაც მეოცე საუკუნეში კომუნისტური წყობილების ბიუროკრატიულ სისტემას თამამად გაუწია წინააღმდეგობა და დასძლია კიდეც ის. აკადემიკოს სიმონ ხინინაშვილის ხელშეწყობით ზურაბ ქვეანიშვილმა 1971 წელს მოსკოვში საბჭოთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში გასაუბრება გაიარა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაემგზავრა. თვეების განმავლობაში ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის აუდიოლოგიის ლაბორატორიაში მუშაობდა. მას შემდეგ პრაქტიკულად ყოველ წელს სტუმრობს გერმანიას. ორი ქვეყნის აუდიოლოგებს შორის მჭიდრო ურთიერთობები დღემდე გრძელდება.

ზურაბ ქვეანიშვილი 1941 წლის 15 მარტს დაიბადა თბილისში. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა, 1965 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1965-1968 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტურის კურსი გაიარა. 1969 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრში ამჟამად შპს **აუდიოლოგიის ეროვნული ცენტრი** როგორც მეცნიერი მუშაკი, ელექტროფიზიოლოგიური განყოფილების გამგე (1975), დირექტორი (1989). პარალელურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის (ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი), ოტორინოლარინგოლოგიის კათედრაზე როგორც დოცენტი (1979), პროფესორი (1983), ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კურსზე როგორც პროფესორი (1996). 1969 წელს ზურაბ ქვეანიშვილმა დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდი-

დატის, 1982 წელს – დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1985 წელს მიენიჭა პროფესორის ტიტული. 1991-2010 წლებში ხანგრძლივი დროით სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა გერმანიაში, კერძოდ, ქალაქებში – მაგდებურგი, ერლანგენი, ბერლინი, ერფურტი, მიუნხენი, დრეზდენი. განსაკუთრებით ხშირად სტუმრობდა მაგდებურგის და დრეზდენის აუდიოლოგიის პროფილის საუნივერსიტეტო დაწესებულებებს. მაგდებურგელი და დრეზდენელი აუდიოლოგებიც სისტემატურად იმყოფებოდნენ სამეცნიერო-სამუშაო ვიზიტებით თბილისში.

ზურაბ ქვეანიშვილი 2009 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. წარმატებული სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური მუშაობისთვის 1986 წელს საპატიო ნიშნის, 2001 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. სამი მონოგრაფიის, ერთი ბუკლეტის და 360-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი/თანაავტორია. ნაშრომთაგან 171 სტატია ინგლისურ ენაზე, ძირითადად საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში აქვს გამოქვეყნებული, რაც საქართველოს მასშტაბით გარკვეულწილად რეკორდულ მაჩვენებელს წარმოადგენს. 1985 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია – **ადამიანის სმენის გამოწვეული პოტენციალები** ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რეგიონის მასშტაბით ერთადერთ სისტემურ ნაშრომს წარმოადგენდა პროფილის ფარგლებში. რუსულენოვან მკითხველებში ის პოპულარობით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს. ზურაბ ქვეანიშვილის ერთ-ერთ მონოგრაფიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია აქვს მინიჭებული, მეორეს – სხვა ნაშრომებთან ერთად – საქართველოს ეროვნული პრემია. საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომებისათვის ჯორჯ სოროსის საერთაშორისო პრემიითაც არის დაჯილდოვებული. მისი ხელმძღვანელობით, უშუალო მონაწილეობით და რედაქტორობით ითარგმნა და დაიბეჭდა ნიგნი **ბავშვის ცხოვრების პირველი 365 დღე**. მასში ახალშობილის ევოლუციის, სმენის ფუნქციის განვითარების სტადიებია აღწერილი. ნიგნი საქართველოში ბესტსელერად იქცა. 34 სხვადასხვა ენაზე ნიგნის ნათარგმნთა გამოფენაზე მიუნხენში ქართული გამოცემა ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა აღიარებული. ზურაბ ქვეანიშვილი იყო 13 დისერტაციის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი ან კონსულტანტი. მათ შორის ოთხი – გერმანელების მიერ იყო შესრულებული და გერმანიაშივე დაცული. ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს და აქტიურად მონაწილეობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდით მიმდინარე პროექტში, რომელიც ახალშობილთა და პირველკლასელთა სმენის მასობრივ სკრინინგულ გამოკვლევებს ითვალისწინებს.

აუდიოლოგიის ცენტრის, უშუალოდ ზურაბ ქევანიშვილის საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, გერმანელმა და ჰოლანდიელმა კოლეგებმა სმენის სკრინინგის ქართულ მხარეს საჩუქრად ჯაშში შვიდი ძვირადღირებული აპარატი გადმოსცეს, შედეგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში დაიწყო და დღემდე უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სმენის მასობრივი სკრინინგული გამოკვლევები ბავშვებში. 2006 წლიდან დღემდე 250.000-ზე მეტ ახალშობილს და პირველკლასელს აქვს სმენა სკრინინგულად გამოკვლეული საქართველოში.

90-იანი წლების შუა პერიოდიდან სასმენი აპარატების სერვისის ტრადიცია საქართველოში არ არსებობდა. აპარატების სისტემატური დანერგვა ქვეყანაში ზურაბ ქევანიშვილს უკავშირდება. გერმანელ აუდიოლოგებთან ხანგრძლივი და წარამტებული ურთიერთობის საფუძველზე მათთან თანაავტორობით ზურაბ ქევანიშვილს 127 ნაშრომი აქვს შესრულებული, მეტწილად გერმანულ და ინგლისურ ენაზე. ასევე აუდიოლოგიის ცენტრის მაღალი რეპუტაციიდან გამომდინარე, სასმენი აპარატების უმსხვილესი კომპანიის **კინდ-ჰორგერტეს** პრეზიდენტი მარტინ კინდი მაგდებურგში ესტუმრა ზურაბ ქევანიშვილს, მასთან გამართა მოლაპარაკებები და საქართველოში დააფუძნა ფილიალი **კინდ-სმენა**, სადაც სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, გერმანიასთანაც შედარებით სასმენ აპარატებზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. **კინდ-სმენას** დირექტორი ზურაბ ქევანიშვილის შვილი – ივა ქევანიშვილია. მან ელექტრულად გამოწვეული სმენის პოტენციალების თემაზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. პარალელურად ის **ჯაფარიძე-ქევანიშვილის** ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის

გენერალური დირექტორია.

ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკა ამიერკავკასიის მასშტაბით შესაბამისი კლინიკური დისციპლინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია, სადაც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სხვა მეზობელი ქვეყნებიდანაც ჩამოდიან და სათანადო მკურნალობას გადიან ავადმყოფები. კლინიკა ექიმთა მაღალი პროფესიული დონით გამოირჩევა.

ზურაბ ქევანიშვილის ხელმძღვანელობით კლინიკაში აუდიო-ვესტიბულოლოგიური დიაგნოსტიკური და სამკურნალო პროცედურები მაღალ საერთაშორისო დონეზე ტარდება. აუდიოლოგიის ცენტრმა მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა პრაქტიკაში ობიექტური აუდიომეტრია – სმენის ფუნქციის გამოკვლევა სმენის გამოწვეული პოტენციალების კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით. საქართველოში პირველმა, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ტვინის ღეროს სმენის პასუხის კომპიუტერული რეგისტრაციის მეთოდით სმენის ინტრა – და რეტროკოხლეარული პათოლოგიების დიფერენცირება. აქ ყურის შუილის, სმენის უეცარი დაქვეითების სპეციფიკური, ხშირად წარმატებული მკურნალობა ხორციელდება.

აღსანიშნავია ზურაბ ქევანიშვილის პიროვნული თვისებები. ის უშუალო, კომუნიკაბელური და თავმდაბალი ადამიანია. მეცნიერის მიღწევები საზღვარგარეთ საქართველოს წარმოჩენას უკავშირდება. აუდიოლოგიის ცენტრის, **ჯაფარიძე-ქევანიშვილის** კლინიკის თანამშრომელთა ძლიერი კოჰორტა ის მთავარი ბაზაა, რომლის შედეგს რეაბილიტირებული და განკურნებული პაციენტები წარმოადგენენ.

ლელა სურმავა

საქველმოქმედო ფონდ ლირას მუსიკალური ფესტივალი



30 აგვისტოს, სასტუმროში „Radisson Blu Iveria“-ში ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას ცნობილი პიანისტი, იუნესკოს მშვიდობის არტისტი ელისო ბოლქვაძე უძღვებოდა, რომელმაც სტუმრებს ფესტივალის პროგრამა და მონაწილეები გააცნო. ბათუმის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

ტრი მიხეილ გიორგაძე ესწრებოდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, 10-15 სექტემბერს ბათუმში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი გაიმართება. „BATUMI MUSIC FEST“ მსოფლიოში ცნობილი პიანისტის, იუნესკოს მშვიდობის არტისტის ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო ფონდ „ლირას“ ორგანიზებით, უკვე მესამე წელია ტარდება.

წელს ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსები საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, აშშ-დან, ისრაელიდან, იაპონიიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან.

ფესტივალში მონაწილეობას ასევე იღებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრი, შესრულდება კლასიკური მუსიკის შედეგები. დასკვნითი საღამო 15 სექტემბერს ბათუმის პიაცაზე გაიმართება. კონცერტში მონაწილეობას თავად ელისო ბოლქვაძე მიიღებს.

სპეციალურად ფესტივალისთვის საქართველოში ჩამოდის ცნობილი ტენორი ზურაბ სოტკილავა. ფესტივალის ფარგლებში, ქართული ფოლკლორული მუსიკაც გაიჟღერებს – ანსამბლი „ქართული ხმები“ ქართულ ხალხურ სიმღერებს შეასრულებს. ფესტივალის დასკვნითი საღამო იუნესკოს 70 წლის იუბილეს მიეძღვნება.

ფესტივალის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მასტერ-კლასების ჩატარება ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის.

სმენადაქვეითებული ბავშვები და მათი ინტელექტი



თეონა დევდარიანი

2013 წელს ინგებორგ ჰობმაიერს, გრეჰემ კლარკს და ბლეიკ უილსონს კობლერული იმპლანტის განვითარებაში მიღწეული სიახლეებისა და წარმატებისათვის ლასკერის პრემია გადაეცათ. კობლერული იმპლანტაცია საშუალებაა, რომელსაც ყრუ ადამიანისთვის სმენა მოაქვს. იმპლანტმა გამორჩეული სარგებელი სმენადაქვეითებულ ბავშვებს მოუტანა. თუ ადამიანს ცხოვრების პირველ წლებშივე აქვს სმენა შეზღუდული, თავის ტვინი სიტყვათა გაშიფრვას და მეტყველების ჩამოყალიბებას ვერ უზრუნველყოფს. სმენის ჰაბილიტაციისა თუ რეჰაბილიტაციის პროცესებში დროული ჩარევა გადამწყვეტად მნიშვნელოვანია ინდივიდის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ, იმპლანტის დახმარებით ბევრ ბავშვს/ახალგაზრდას ჩვეულებრივ ბაღში თუ ჩვეულებრივ სკოლაში წასვლა უადვილდება. ზოგიერთი ორმხრივ იმპლანტს ღებულობს, რაც სასარგებლოა არა მარტო სმენითი პოტენციის ასამაღლებლად, არამედ ბგერების ზუსტი ლოკალიზაციისათვის სივრცეში და მეტყველების უკეთესად აღქმისათვის, განსაკუთრებით აუდიოლოგიურად რთულ, მაგალითად, ხმაურიან გარემოში. ასევე ეფექტურია იმპლანტისა და სასმენი აპარატის სინერჯიზმი. დაულალავმა სწრაფად და აპარატურულმა სრულყოფებმა კობლერული იმპლანტაციის წარმატება განაპირობა. არც ისე დიდი ხნის წინ ყრუ ადამიანებს სმენის ჰაბილიტაციისა თუ რეჰაბილიტაციის არანაირი იმედი არ ჰქონდათ. კობლერულმა იმპლანტაციამ ბგერითი საყაროსთან უამრავი სმენადაქვეითებულის იზოლირების ბარიერები დაამსხვრია. უამრავმა სმენადაქვეითებულმა ცხოვრება ახლიდან დაიწყო.

ექიმმა-პედიატრმა, მედიცინის დოქტორმა თეონა დევდარიანმა სადოქტორო დისერტაცია სმენადაქვეითებული ბავშვების პრობლემებზე დაიცვა. კვლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ სმენადაქვეითებული ბავშვების ინტელექტუალური პოტენციალი ჯანმრთელებისას უტოლდება. ტოლობის გათვალისწინებით, ამ კატეგორიის ბავშვების მიკუთვნებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად თეონა დევდარიანი მხოლოდ პირობითად მიიჩნევს. სმენის ჰაბილიტაციისა თუ რეჰაბილიტაციისათვის და საზოგადოებაში ნორმალური ინტეგრაციისათვის სმენადაქვეითებულს, როგორც წესი, რეალური შესაძლებლობები გააჩნია. თანამედროვე მედიცინის მიღწევები – კობლერული იმპლანტი და სასმენი აპარატი – სმენადაქვეითებულებს სრულფასოვანი ცხოვრების რეალურ შესაძლებლობებს აძლევს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში სწავლისას სმენადაქვეითებული ბა-

ვშვების თემა ჩემმა ხელმძღვანელმა ექიმმა-პედიატრმა, პროფესორმა ნინო მანჯავიძემ შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. სადისერტაციო ნაშრომი სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ციტომეგალოვირუსის მატარებელ ბავშვებში სენსონევრალური სმენაჩლუნგობის პრობლემებს ეხებოდა.

– თუ ჰქონდა თქვენამდე ამ თემაზე ვინმე სხვას დისერტაცია დაცული?

– სმენადაქვეითებული ბავშვების ინტელექტუალური ფუნქცია პირველად მე შევისწავლე. დიდი დახმარება გამინია აუდიოლოგიის ეროვნულმა ცენტრმა და მისმა დირექტორმა, ჩემმა კონსულტანტმა, პროფესორმა ზურაბ ქევანიშვილმა. სმენადაქვეითებულ ბავშვებთან და მათ მშობლებთან ინტენსიურად ოთხი წლის განმავლობაში ვიმუშავე.

– როგორ მიმდინარეობდა ბავშვებზე დაკვირვების პროცესი?

– სხვადასხვა პოპულაცია შეირჩა. პირველი ჯგუფი ჯანმრთელი ბავშვებისა, ანუ საკონტროლო იყო. მეორე ჯგუფი ციტომეგალოვირუსის მატარებელმა სმენადაქვეითებულმა ბავშვებმა შეადგინეს. მესამე ჯგუფში გაერთიანდნენ ბავშვები, რომლებსაც ასევე სმენის დაქვეითება აღენიშნებოდათ, მაგრამ ციტომეგალოვირუსით არ იყვნენ დასნებულები. მეოთხე ჯგუფის სმენადაქვეითებულ ბავშვებს კობლერული იმპლანტაცია ჰქონდათ ჩატარებული. სმენადაქვეითებულთა სამივე ჯგუფის ინტელექტის მაჩვენებლებს ჯანმრთელებისას ვუპირისპირებდით. ყველა ბავშვს რავენის ფერადი მატრიცის ტესტს, ანუ ინტელექტუალური კოეფიციენტის განსაზღვრელ ფსიქოლოგიურ გამოკვლევას ვუტარებდით. სხვადასხვა ჯგუფში მიღებული მონაცემებს სტატისტიკურად ვადარებდით ერთმანეთს.

– როგორი შედეგები მიიღეთ?

– გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმპლანტირებული და ჯანმრთელი ბავშვების ინტელექტუალური მაჩვენებლები ძალიან უახლოვდება ერთმანეთს. არაიმპლანტირებული, სმენადაქვეითებული ბავშვების შესაბამისი მაჩვენებლები, პირიქით, მნიშვნელოვნად ჩამორჩება საკონტროლო, ანუ ნორმალური სმენის ჯგუფისას. შესაბამისად, დადასტურდა, რომ კობლერული იმპლანტაცია უაღრესად არსებითია ბავშვის ნორმალური ინტელექტუალური განვითარებისათვის. ყველა მშობელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას აუდიოლოგიურ-ვერბალური თერაპიის და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, თუკი სურს, რომ მისი სმენადაქვეითებული შვილის სმენისა და მეტყველების პრობლემები დროზე და ოპტიმალურად იქნეს დაძლეული. თუ მშობელმა დროულად არ მიაქცია ყურადღება ბავშვის სმენის პრობლემებს და სპეციალისტ-აუდიოლოგთან არ მიიყვანა ის, სმენადაქვეითებული თავის თანატოლებს ინტელექტუალურადაც ჩამორჩება, დეფიციტის აღმოფხვრა კი მომავალში სულ უფრო და უფრო ძნელი ან შეუძლებელი იქნება.

– რა არის განხილული სფეროს მთავარი პრობლემა?

– სამწუხაროდ, რაც დრო გადის, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რიცხვი საქართველოში მატულობს. მთავარი პრობლემა ის არის, რომ დროულად მოხდეს სმენადაქვეითებული ბავშვების იდენტიფიკაცია. როცა ბავშვს რომელიმე დაავადებას აღმოვუჩინთ, თვალები არ უნდა დავხუჭოთ, ექიმთან დროულად უნდა მივიყვანოთ. საბედნიეროდ, 2006 წლიდან სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, თბილისის,

ასევე ბათუმის ყველა სამშობიაროში ყველა ახალშობილს დაბადებიდან მეორე-მესამე დღეს სმენის სკრინინგი უტარდება უფასოდ. როცა ახალშობილში აუდიოსკრინინგზე უარყოფითი პასუხი რეგისტრირდება, მშობელმა შემდეგ აუდიოლოგიის ეროვნულ ცენტრს უნდა მიმართოს. აქ განმეორებითი სმენის სკრინინგი ტარდება. უარყოფითი პასუხის დადასტურების შემთხვევაში საბოლოო დიაგნოზის დადგენის მიზნით კომპიუტერული სისტემების გამოყენებით უფრო ღრმა, ობიექტური აუდიომეტრიული კვლევა მოიხმობა. თუ მშობელი კვლევის რგოლს ეტაპობრივად მიჰყვება, შვილის სმენის პრობლემებს დროულად წარმოაჩენს. უყურადღებობის შემთხვევაში პათოლოგია უკვე სკოლის ასაკში, ამასთან, ჩვეულებრივ, უფრო მძიმე ფორმით იჩენს თავს, დაგვიანებებს კი არასასურველ შედეგებამდე მივყავართ.

– როდის არის შაბილიტაციის ოპტიმალური დრო?

– ყველაზე კარგი დროა, სანამ ბავშვი ამეტყველდება. ერთ წლამდე ასაკის ბავშვში უნდა აღმოაჩინოს მშობელმა, რომ შვილს სმენის პრობლემა აქვს. უნდა ჩატარდეს სათანადო აუდიოლოგიური გამოკვლევა. სმენის დაქვეითების დადასტურების შემთხვევაში დაუხანებლად უნდა იქნეს მოხმობილი სასმენი აპარატი ან კოხლეარული იმპლანტი. განვითარებულ ქვეყნებში კოხლეარული იმპლანტაცია ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში და, როგორც წესი, სახელმწიფო დაფინანსებით ტარდება. დროული და ეფექტური ჩარევები მეტყველების ნორმალურ განვითარებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მაღალია სწავლა-განათლების შედეგები და ოპტიმალურია სმენადაქვეითებული ბავშვის ცხოვრების ფორმირება. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სმენის დაქვეითების ხარისხი. სმენის მეოთხე ხარისხის დაქვეითება ყველაზე მძიმე ფორმაა, რომელიც, ამასთან, ხშირად პროგრესირებს. რა თქმა უნდა, სმენის დაქვეითების მიზეზსაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

– სმენის დაქვეითების რა მიზეზები არსებობს?

– ძირითადად ეს სხვადასხვა თანდაყოლილი ინფექციაა. მათ შორის ერთ-ერთს ციტომეგალოვირუსი წარმოადგენს. ინფექცია ჰერპესის ვირუსების ჯგუფს განეკუთვნება. თუ ქალს ციტომეგალოვირუსის აქტიური ფორმა აქვს და არ იმკურნალა, ორსულობის დროს ინფექცია ნაყოფზე გადადის და ხშირად სმენის რეცეპტორულ აპარატს აზიანებს. თუ დროულად არ მიექცა ყურადღება, პათოლოგია, შესაძლოა, გონებრივი ჩამორჩენილობით დამთავრდეს. საქართველოში ანტიბიოტიკები ხშირად ზომიერად იმეტირება. დადასტურებულია, რომ სმენის დაქვეითება ამინოგლიკოზიდების ჯგუფის ანტიბიოტიკების ხშირმა გამოყენებამაც შეიძლება გამოიწვიოს. არსებობს დაავადებები, მაგალითად, ტუბერკულოზი, რომლის სამკურნალოდ ძირითადად ამინოგლიკოზიდებს, კერძოდ, სტრეპტომიცინს და გენტამიცინს გამოიყენებენ, მათ კი გამოხატული ოტოტოქსიური მოქმედება გააჩნიათ. ტუბერკულოზის სანინალმდეგო მოქმედების ეფექტურობიდან გამომდინარე, მითითებულ ანტიბიოტიკებზე უარის თქმა ხშირად ჭირს. იმედია, მეცნიერი-ფარმაკოლოგები მათ შემცველებს მოგვანოდებენ, რომლებიც ოტოტოქსიურ პრეპარატებს ჩაანაცვლებენ. ამგვარად, თანდაყოლილი ინფექციები და ამინოგლიკოზიდები სმენის დაქვეითების ძირითად გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენენ ბავშვებში. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს ყველა მშობელს ვეკითხებოდი, მიიღეს თუ არა ორსულობისას ან მანამდე ანტიბიოტიკები, კონკრეტულად რა ანტიბიოტიკები მიიღეს და რა ხასიათის ინფექციები გადაიტანეს. სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენთანაც და სხვაგანაც დღენაკულულ ახალშობილთა რიცხვიც პრო-

გრესირებს სისტემატურად. დღენაკულულობის გამომწვევ მნიშვნელოვან ფაქტორს ასევე თანდაყოლილი ინფექცია წარმოადგენს. დღენაკულულობას გონებრივი ჩამორჩენა, მხედველობის, სმენის დაქვეითება, სხვა სისტემური პათოლოგიები სდევს ხშირად თან. დღენაკულულ ახალშობილთა ორგანოები ხშირად ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებული. ორსული ქალი ინფექციებს უნდა ერიდოს და სისტემატური კლინიკური გამოკვლევები ჩაიტაროს, რათა თავადაც ჯანმრთელი იყოს და შვილიც ჯანმრთელი ჰყავდეს.

– სმენადაქვეითებულ ბავშვებთან მიმართებით, მშობლების გარდა, როგორ ყურადღებას და სიფხიზლეს იჩენენ ექიმები?

– სამწუხაროდ, როცა მშობელი ბავშვს პედიატრთან მიიყვანს და ეუბნება, 2-3 წლისაა ჩემი შვილი და ჯერ არ ლაპარაკობს, მარტო ცალკეულ ბგერებს და სიტყვებს გამოთქვამსო, ექიმი ხშირად ამშვიდებს მას, ნერვიულობა არ არის საჭირო, ალაპარაკდებო. რამდენიმე წლის შემდეგ მშობელი რწმუნდება, რომ მეტყველების პროცესი კვლავ იგვიანებს და უკვე სერიოზულად, თუმცა, სამწუხაროდ, უკვე დაგვიანებით განიხილავს საკითხს. მშობლებიც და ექიმი-პედიატრიც ყოველთვის ყურადღებით უნდა იყვნენ, რათა ბავშვის სმენასთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში დაუხანებლად მოახდინონ რეაგირება და ბავშვი სპეციალისტ-აუდიოლოგს წარუდგინონ. თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ადრე ლოგოპედიური ფაკულტეტი მოქმედებდა. ფაკულტეტზე ერთ-ერთ განხრას დეფექტოლოგია წარმოადგენდა, აქ კი ერთ-ერთი დომინანტური სასწავლო საგანი სურდოპედაგოგიკა იყო. სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზით ფაკულტეტი გაუქმდა. ამჟამად, სმენადაქვეითებულობასთან დაკავშირებულ საქველმოქმედო ფონდ აურეს დამფუძნებლებს სურთ, მსგავსი სასწავლებელი კვლავ გაიხსნას და სმენადაქვეითებული ბავშვების მშობლებმა მიიღონ დარგის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა. საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, მაგალითად, გერმანიაში, ძლიერი აუდიოლოგიური სკოლები არსებობენ. სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ახალგაზრდები საზღვარგარეთ მიავლინოს, რათა დასპეციალიზებულბმა სმენადაქვეითებულ ბავშვებზე პროფესიული თვალსაზრისით სრულყოფილად იზრუნონ. სმენა და მეტყველება ერთმანეთზე არიან გადაჯაჭვულნი, ორივესთან კი ინტელექტი ასოცირდება. კოხლეარული იმპლანტის თუ სასმენი აპარატის გამოყენების საწყის ეტაპებზე სმენადაქვეითებულ ბავშვს ესმის, მაგრამ სიტყვების არსს ვერ წვდება და საერთოდ ან კორექტულად ვერ მეტყველებს. სპეციალური მიდგომებით სწორედ სურდოპედაგოგი ასწავლის სმენადაქვეითებულ ბავშვს სიტყვათა სწორად გამოთქმას. სასმენი აპარატის, კოხლეარული იმპლანტის, სურდოპედაგოგიური სერვისის, მშობლების უშუალო და ინტენსიური ჩართულობით ბავშვი დროზე იწყებს მეტყველებას. ზოგადად, პროცესი რთული და შრომატევადი, მაგრამ საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად ბავშვის ჩამოყალიბებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი და უაღტერნატივოა.

– ჩამოთვლილების კომპლექსი ძვირადღირებული სერვისია. ამიტომაც ხომ არ ხდება ჩვენთან სმენადაქვეითებულებში შესტიკულაციური ენის პოპულარიზაცია?

– შესტიკულაციური ენის დანერგვა ფინანსურ ხარჯებს არ მოითხოვს. ოფიციალურ სტრუქტურებს პროცესში თანხა პრაქტიკულად არ ეხარჯებათ. კოხლეარული იმპლანტის ღირებულება 35 ათასი ლარიდან იწყება და, იმპლანტის ხარისხზე დამოკიდებულებით, მაღალ ციფრებს აღწევს. პრეცესიული სასმენი აპარატი, მეორე მხრივ,


500, 1000, 2000 ლარი ფასობს. ხაზგასასმელია, რომ ჩვენს ბაზარზე ოფიციალურად არსებული გერმანული პროდუქციის როგორც კოხლერული იმპლანტები, ისე სასმენი აპარატები საქართველოში ბევრად უფრო იაფი ღირს, ვიდრე თავად გერმანიაშიც კი, რაც მწარმოებელი ფირმების – შესაბამისად MedEl Company-ს და Kind-Hörgeräte-ს – დიდი ჰუმანიტარულობის მანიშნებელია. ფინანსებში მნიშვნელოვან სხვაობათა გამო, ბუნებრივია, სათანადო ოფიციალური სტრუქტურები ჩვენთან გაცილებით უფრო მეტად შესტიკულაციურ ენას ფავორიტობენ, თუმცა არ ითვალისწინებენ, რომ სმენადაქვეითებულ ბავშვებს უნიკალური პერსპექტივა აქვთ, ნორმალურად მოისმინონ და ნორმალურად გაიგონ ნათქვამი, ნორმალურადვე ამეტყველდნენ, საჯარო სკოლაში და საჯარო უნივერსიტეტში ჩვეულებრივ ისწავლონ და საზოგადოების სრულფასოვანი წევრები გახდნენ. სმენადაქვეითებული ბავშვები სულაც არ არიან გარიყული კონტინგენტის წევრები. აუტიზმის, ბავშვთა ცერებრალური დაავადების შემთხვევებში, დაუნის სინდრომისას სიტუაცია ბევრად უფრო სერიოზულია, რამეთუ ამ დროს ხშირად ღრმა და გამოუსწორებელ მენტალურ პრობლემებს აქვთ ადგილი. სმენადაქვეითებულე-ბში სიტუაცია მნიშვნელოვნად უკეთესია. მშობელთა და ლოგოპედთა ჩართულობის პარალელურად, კოხლერული იმპლანტის თუ სასმენი აპარატის გამოყენების ოპტიმის-

ტური პერსპექტივები არსებობს მათში. დიდი ტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ სმენადაქვეითებულ ბევრ ბავშვს საქართველოში მოქმედი რეალიების გათვალისწინებით ჩვენთან მომავალი არ გააჩნია. ბევრი მათგანის სმენა და მეტყველება სავალალო მდგომარეობაშია. ბევრი მათგანი სათანადო დონეზე სავალდებულო განათლებასაც ვერ იღებს. შესაბამისად, ბევრი მათგანი საკუთარი თავის რეალიზაციას საზოგადოებაში ვერ ახერხებს. სმენადაქვეითებული ბავშვების მშობელთა უმეტესობა შვილების მდგომარეობის და მათი განვითარების შესაძლებლობების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ ფლობს. საზოგადოების, მათ შორის, ექიმების ინფორმაციულობაც ხშირად ასევე დაბალია. მხოლოდ ჩვენთან თუ გაიგონებთ, ზოგჯერ, დიდად სამწუხაროდ, ექიმებისგანაც პროფესიულ ნონსენსს: ხშირად ან საერთოდ ნუ ახმართ ბავშვს სასმენ აპარატს, ნუ გაუზარმაცებთ ყურსო. რეალობა აბსოლუტურად საპირისპიროა: რაც უფრო ინტენსიურად არის ჩართული სმენის ორგანო, როგორც ნებისმიერი სხვა ფუნქციური სისტემა ფუნქციურ პროცესებში, მით უფრო ინარჩუნებს ის აქტივობას და მოქმედების მაღალ სტატუსს. სმენის ორგანოს, სხვა სენსორული სისტემების, კუნთების, თავის ტვინის სიზარმაცე, პირიქით, უმოქმედობის შედეგია.

ლელა სურმავა

სტრესი და მასთან ბრძოლა

კვალიფიციური ექიმის ძირითადი ფუნქცია პაციენტის ორგანიზმში განვითარებული ამა თუ იმ პათოლოგიური პროცესის ნორმაში დაბრუნებაა. აღნიშნულ დისციპლინას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ომარ ახმეტელაშვილი კითხულობს. მისი მეცნიერული კვლევის საგანს ადამიანის თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების, სოციალური და გარემო ფაქტორებით გამოწვეულ სტრესსა და პოსტსტრესული რეაბილიტაციის საშუალებების ძიებას, თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიღებული სამკურნალო საშუალებების კლინიკაში დანერგვას. აღნიშნული საკითხების თანამედროვე დონეზე შესწავლის მიზნით ბატონი ომარი მუშაობდა იტალიის (რომი, ბოლონია, პარმა), გერმანიის (იენა, ერფურტი), რუსეთის (პეტერბურგი, მოსკოვი), უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში. იგი მრავალი რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმების მონაწილე და 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. ომარ ახმეტელაშვილის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი.



– ბატონო ომარ, რა არის სტრესი?
 – სტრესი ეს არის ორგანიზმის გადაძაბვა, რომლის შედეგადაც ყველა ორგანოთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობა უარესდება და ამასთან დაკავშირებით მისი წარმმართველი-ნერვული სისტემა. დღეს დიდ ქალაქებში მაგალითად თბილისში მოსახლეობის რიცხვი სწრაფი ტემპით იზრდება. შესაბამისად იზრდება ავტომანქანების რიცხვი, მისგან გამოწვეული ხმაური კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე და ინვევს სტრესს, რაც განსაკუთრებით ინვევს მეხსიერების გაუარესებას.
 როცა ნერვული სისტემა ბრძოლის უნარიანია, მანამ სტრესი არ ვითარდება, ხოლო როცა ბრძოლის უნარს

დაკარგავს და გამოიფიტება, მაშინ უკვე სტრესი ვითარდება.
 სტრესი შეიძლება განვითარდეს შენგან დამოუკიდებლადაც. შეიძლება ცხოვრობდე მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი, მაგრამ ის გარემო, რომელშიც ცხოვრობ ინვევდეს სტრესს.
 – როგორც ცნობილია თქვენ ატარებთ ექსპერიმენტებს ამ საკითხთან დაკავშირებით.
 – დიას, ჩვენ სხვადასხვა ცდების შედეგად ვიკვლევთ თუ როგორ მოქმედებს სტრესი მეხსიერებაზე. 2006 წელს ფიზიოლოგიის საერთაშორისო მასშტაბით გაიგზავნა ჩვენი მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღეთ პატენტი. უნდა აღინიშნოს, რომ სტრესის გავლენა მეხსიერების გაუარესებაზე თითქმის არსად არ ჩატარებულა. შემდეგ კი ვატარებთ ცდებს სტრესიდან გამოყვანაზე. მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ყურძნის ნიჰნაში და ქონდარში არის დიდი რაოდენობით ფლამონოიდები, სპეციალური ქიმიური შემადგენლობის ნივთიერება, რომელიც კარგად მოქმედებს სტრესიდან გამოყვანაში. ჩვენ შევქმენით ეს პრეპარატი, რომელიც ამჟამად არის წინაკლინიკურ

გამოცდაში. პრეპარატი სარწმუნო რომ იყოს წელიწადში 100-მა ადამიანმა უნდა მიიღოს, რის შემდეგაც დამზადდება აბების სახით და მიიღებს მოსახლეობა.

- თქვენ ასევე ფიზიოლოგიის კურსს უკითხავთ სტუდენტებს, თითქმის 5 ათეული წელია ენვეით პედაგოგიურ მოღვაწეობას.

- დიახ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მომავალ მედიკებს ვასწავლი ყველა სასიცოცხლო ორგანოთა სისტემის ნორმალური ფიზიოლოგიის პარამეტრებს. მაგალითად სისხლის ანალიზს როცა იკეთებთ ადამიანი, იქ წერია როგორია მისი მონაცემები და ასევე აღნიშნულია რომელია ნორმა. რის შედეგადაც ვგებულობთ რამდენადაა გადახრილი პაციენტის მონაცემები ნორმას. შემდეგ კი ექიმი მედიკამენტური მკურნალობით დააბრუნებს პარამეტრებს ნორმამდე.

- როგორ ვებრძობოთ სტრესს?

- პირველ რიგში უნდა მოხდეს პრევენცია იმ სიტუაციის, რაც სტრესს იწვევს. წელიწადში 2-3 კვირა, ან თუნდაც რამდენიმე დღე, აუცილებელია ადამიანი არსებულ

გარემოს მოწყდეს, ესაა პრევენცია, ანუ თავის დაზღვევა, რომ არ განვითარდეს სტრესი. მაგალითად მე თბილისურ სტრესს გამოვექეცი, ყოველ წელს ჩამოვდივარ ჩემს დედუღეთში ჩოხატაურში. აქ მშვიდ გარემოში მიწასთან ვმუშაობ, მყავს არაჩვეულებრივი მეზობლები, ბავშვების მეგობრები, მათთან ყოფნა ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

დღეს ჩვენი ქვეყანა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ გადავლახავთ ამ დაბრკოლებებს და საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა იქნება.

გურულები ზოგადად ძალიან ნიჭიერი, სალი და სხარტი აზროვნების ადამიანები არიან, რომლებიც აუცილებლად შეიტანენ მნიშვნელოვან წვლილს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში. ასე რომ გისურვებთ წარმატებებს ჩემო საყვარელო გურულებო, გავაძლიეროთ სულიერი და ფიზიკური რესურსები, ერთმანეთისადმი უფრო ლოიალური და მზრუნველები გავხდეთ და ყველაფერი კარგად იქნება.

ქეთევან კუკულავა

რასომ პირის პრობლემური სიბრძნის კბილი



პირის ღრუს მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუ მოწესრიგებული არ არის კბილები, ამან შეიძლება სხვადასხვა ორგანო დააზიანოს. თანამედროვე სტომატოლოგია აღჭურვილია უახლესი მეთოდებით, რომელიც საშუალებას იძლევა ძალიან მცირე დროში ჩატარდეს კბილების მკურნალობა და რესტავრაცია. თანამედროვე სარესტავრაციო მეთოდიკამ შეცვალა კბილების მკურნალობის ძველებური რთული მეთოდები და შესაძლებელი გახდა დაშლილი კბილების თითქმის არაფრისაგან აღდგენა, მათი განლაგებისა და ფორმის შეცვლა.

დღეს ხშირად საუბრობენ სიბრძნის კბილის შესახებ. ზოგი ამტკიცებს, რომ ის პრობლემას წარმოადგენს და აუცილებელია მისი მოშორება. თუ რატომ არის სიბრძნის კბილი პრობლემური, გვესაუბრება ექიმი, სტომატოლოგი მანანა ზაუტაშვილი

- ქალბატონო მანანა, რა დანიშნულება აქვს სიბრძნის კბილს და რომელ ასაკში ხდება მისი ამოჭრა?

- სიბრძნის კბილი მესამე ძირითადი კბილია და პირის ღრუში ყველაზე ღრმად მდებარეობს. ადამიანს 4 სიბრძნის კბილი აქვს. ისინი ძირითადად 17-30 წლის ასაკში ამოდის. თუმცა, შეიძლება 70 წლის ასაკშიც ამოიჭრას. სი-

ბრძნის კბილის განვითარება-ამოჭრა განსხვავდება სხვა კბილების განვითარება-ამოჭრისაგან და ხშირ შემთხვევაში პრობლემატურიცაა. რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გააჩნია წინამორბედი სარძევე კბილი, რომელიც მას მოუმზადებს კბილბუდეს, არ ყავს „უკანა მეზობელი“, რომელიც ამოჭრისას დაიცავს მას გადახრა-ცდომილებისაგან. სიბრძნის კბილმა უნდა გადალახოს უკვე ფორმირებული და კალციფიცირებული ქვედა ყბის გარკვეული წნაარმდგობა, ამიტომაც არის ასეთი პრობლემატური და სხვადასხვა გართულებებით დატვირთული მისი ამოჭრა.

- სიბრძნის კბილის კარიესის დროს, გაძნელებულია მისი დაბუენა, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

- დიახ, სიბრძნის კბილის კარიესი საკმაოდ ხშირი მოვლენაა. განსაკუთრებით მისი არასწორი მდებარეობისას. პათოლოგიური პროცესი კბილის მიუწვდომელ უბნებს მოიცავს, და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელია მისი დაბუენაც. (მიუდგომელია მანიპულირებისათვის). ამიტომ ხშირ შემთხვევაში რეკომენდაციას ვუწვევთ მის ექსტრაქციას (ამოღებას). მაგრამ თუ მას აქვს სწორი დგობა, ასეთ შემთხვევაში მკურნალობა შესაძლებელია.

- მკითხველის უმეტესობას აინტერესებს, არის თუ არა ზედმეტი სიბრძნის კბილი?

- სიბრძნის კბილებს ხშირად რუდიმენტებს უწოდებენ და დაუფიქრებლად იღებენ. ეს შეცდომაა. ადამიანის ორგანიზმში ზედმეტი არაფერია, მისი საშუალებით საკვები თანაბრად ნაწილდება. ასევე მისი გამოყენება სამომავლოდ შეიძლება პროთეზირების დროს დაგჭირდეთ... ჩვენ ხომ არ ვიცით, რა გველოდება.

აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება სიბრძნის კბილის შემუშუბასა და ტკივილს. კბილთა რიგში ადგილის უკმარისობის მიზეზი ადამიანის ევოლუციის პროცესში სალექტი აპარატის შეცვლაა, ყბების ზომა შესამჩნევად შემცირდა, ამიტომ ძნელდება მისი ამოჭრა. ღრძილი სივდება იწყება მისი ტრავმირება, უჭირთ პირის გაღება, ყლაპვა, ზოგჯერ იმატებს ტემპერატურა. ნებისმიერი ჩივილის დროს კი აუცილებელია დროულად მიმართონ სპეციალისტს.

ქეთევან კუკულავა

ქართული გოგონა ჟურნალ Life-ის პარეკანზე

ჯუმბერ ჯიშკარიანი

გაზეთ „ახალი ეპოქის“ საკუთარი კორ. აშშ-ში

იმ დღეს ჩემს მეგობარ ვიტალი სინიციანთან ერთად ოჰაიოს შტატის ქალაქ გრინვილის ცენტრალურ პარკში ნავედით ფარშევანგების გადასაღებად. პარკიდან გამოსვლისას ქუჩის მეორე მხარეს ძველ, გაცრეცილ შენობას შევავლე თვალი; აბრამ მიმიზიდა – Antiquary.

კარი რომ შევალეთ, ზარმა გაინკარუნა, თეჯირს იქით ჭაღარა, ლუარსაბის დარეჯანივით ფაშფაშა ქალბატონმა გადმოიხედა, ღიმილით მოგვესალმა.

ძველებური ავეჯი, ფაიფურის ჭურჭელი, ფერწერული ტილოები, საქორწინო კაბა, სმოკინგი, კოვბოის ჩექმა, ვერცხლისბალთიანი ქაშკაშები, უნაგირი, ძველებური ლამფები – ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული. სიძველის მძაფრი, სპეციფიკური სუნი იდგა მეორე, მესამე ოთახშიც. მეოთხე, ყველაზე მომცროში კი, მაგიდაზე „ნეშლ ჯეოგრაფიკის“ სხვადასხვა წლების შვიდი ნომერი იდო. შვიდივე შევიძინე გეოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის.

იყო დრო, ამ ჟურნალს ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკა სისტემატურად იღებდა ამერიკიდან. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები უცხოური ჟურნალების გამოწერას კი არა, კომუნალური გადასახადების გასტუმრებას ძლივს ახერხებენ.

იქვე LIFE-ის ძველი ნომრები ენყო.

1963 წლის 13 სექტემბრის ნომერი მთლიანად საბჭოთა კავშირს ეძღვნებოდა:

– როგორ ვენვიოთ საბჭოთა კავშირს?

– რისი ნახვა შეიძლება 10.000 მილის მანძილზე?

ჟურნალი მკითხველს სთავაზობს საბჭოთა კავშირის ტურისტულ რუქას, რომელზეც მხატვარს რეგიონების ძირითადი ღირსშესანიშნაობები აღუბეჭდავს...

სპეცნომერი იხსნება ვრცელი ნარკვევით – ცვლილებების წელი; ხანგრძლივი შეხვედრა საბჭოთა ხალხთან. გაშლილ გვერდზე დასტამბული ცნობილი „ხრუშჩოვკების“ მასობრივი მშენებლობის პანორამა ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მიდამოებში; ასევე ფოტორეპორტაჟი – ახალსახლობა ზარინოვების ოჯახში; ფოტოკორესპონდენტს მახვილგონივრულად დაუფიქსირებია საინტერესო დეტალი – 1963 წელს წითელ მოედანზე ჯერ კიდევ დადიოდნენ სატვირთო მანქანები. მანქანა ნეტარი ვასილის ტაძრის ფონზეა აღბეჭდილი.

ჟურნალში დასტამბულია საბჭოთა კავშირის მაშინდელი ელიტის – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის

ლეონიდ ბრეჟნევის, სოფლის მეურნეობის მინისტრის გენადი ვორონოვის, თავდაცვის მინისტრის, მარშალ როდიონ მალინოვსკის, მხატვარ პაველ კოხინის, მწერალ კონსტანტინ სიმონოვის, კულტურის მინისტრის ლეონიდ ილიჩევის, მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის დირექტორის ივან კონდაკოვის, მინისტრთა საბჭოს გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის ალექსეი აჯუბეის ფოტოსურათები.

ჟურნალში მეტ-ნაკლებად ყველა „მოკავშირე რესპუბლიკაზე“ მასალა, მაგრამ ყველაზე უხვად საქართველოა წარმოდგენილი.

LIFE-ის ფოტოკორესპონდენტს სტან ვაიმანს ოსტატურად აღუბეჭდავს შეჯიბრი ისინდში.

მთელ გვერდზეა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანის ფერადი ფოტო.

ოთხ გვერდზეა მასალა კიკეთის პიონერთა ბანაკის ცხოვრებაზე; ასევე საუბარი თბილისის მერთან მელაძესთან; ცნობები ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, განათლებაზე; ერთ ფოტოზე აღბეჭდილია პიონერხელმძღვანელი კოტე მარკოზაშვილი ბავშვებთან. მეორეზე კი ბატონი ნოდარ ჯორბენაძე ემშვიდობება ამერიკელ ბიჭუნებს, 9 წლის ჯოს და 6 წლის მარკს, რომლებიც ბანაკში ცხოვრობდნენ...

108-ე გვერდზეა ჟურნალისტის საუბარი ქართველ სტუდენტებთან – მედეა სურგულაძესთან, ნუნუ კვესელავასთან, ვლადიმერ აბულაძესთან და ნოდარ მითავარიასთან.

123-125-ე გვერდებიც მთლიანად საქართველოს ეძღვნება. მთელ გვერდზეა შრომის გმირის, ვლადიმერ მაქაცარიას კოლორიტული ფოტო; ჩოხა-ახალუხიან ჭარმაგ მამაკაცს ხელთ ლიტრიანი ყანწები უჭყრია და ღიმილით მიემართება

მორიგი „მსხვერპლისკენ“... მეორე გვერზე აღბეჭდილია, როგორ ცლის იგი ვახტანგურად ყანწს ამერიკელ ჟურნალისტ რობერტ ბრიგამთან ერთად.

უარის თქმა არ შეიძლება, – წერს იქვე ჟურნალისტი.

ჟურნალის ბოლო გვერდზე აღბეჭდილია სუფრა ოჯახში; ვიოლეტა სახვაძე და ვახტანგ კუპრეიშვილი კი ჩარლსტონს ცეკვავენ...

ერთი სიტყვით, მასალები საქართველოზე ჟურნალის თხუთმეტ გვერდზეა გაბნეული...

მთავარი სათქმელი ბოლოსთვის შემოვიწინაზე!

ჟურნალის გარეკანს ქართულ ეროვნულ კაბაში გამოკვანწული, შავთვალწარბა, სახენათელი, მაჯისსიმსხონანწავებიანი გოგონას, ვაზისუბნელი მოსწავლის ნათელა გუგულაშვილის ფოტოსურათი ამშვენებს!

თბილისში გაზეთ „ახალი ეპოქის“ რედაქტორთან, თემურ მეტრეველთან ვრეკავ და LIFE-ის შესახებ ვუამბობ.

– ბატონო თემურ! ვინ იცის, ჟურნალის ეს ნომერი



ნათელა გუგულაშვილი

თქვენი ჭეშმის მანაში

იქნებ, რიგით მოქალაქეებს არც უნახავთ საქართველოში... სამოციან წლებში, ამერიკის ერთ-ერთი უპირველესი ჟურნალის LIFE-ის კი არა, უწყინარი სპორტული გაზეთების მიღებაც ჭირდა.

მშვენიერი თემაა თქვენი გაზეთისთვის, - სად არიან, რას აკეთებენ იმ დღეს ჟურნალში მოხსენიებული ადამიანები, როგორ წარიმართა მათი ცხოვრება...

თქვენი გულისხმიერების ამბავი რომ ვიცი, ალბათ, მიაველნთ ყოჩაღ ჟურნალისტს კახეთში. თუ ადრესატს მოძებნით, მზად ვარ ჟურნალი გამოგიგზავნოთ ქალბატონ ნათელასათვის გადასაცემად, რათა ერთგვარი სიხარული მიანიჭოთ გუგულაშვილების ოჯახს.

...შვილები ამ დიდებული ჟურნალის გარეკანს რომ დახედავენ, უთუოდ იტყვიან - დედი, რა კარგი ყოფილხარ მაშინაც...

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

კვლავ თბილისში ვრეკავ.

- საოცრება მოხდა, - მითხრა გახარებულმა ბატონმა თემურმა. რედაქციაში თავად ქალბატონი ნათელა გუგულაშვილი გვეწვია. ძალიან გავიხარეთ. მეტად საინტერესო ბიოგრაფიის პიროვნება აღმოჩნდა, - ბრძანა მან. რამდენიმე დღეში გაზეთ „ახალი ეპოქაში“ დაიბეჭდა თეა ყიფშიძის შესანიშნავი წერილი „თამაში ჭვავის ყანაში“. მეუღლემ თბილისიდან „ახალი ეპოქა“ გამოგიგზავნა, რომელშიც ნათელა გუგულაშვილთან ინტერვიუ იყო დაბეჭდილი. წერილი იმდენად მომეწონა და იმდენ ძვირფას ინფორმაციას შეიცავს, რომ აქვე უცვლელად გადავაზობთ.



ნათელა გუგულაშვილი

თეა ყიფშიძე

სელინჯერის ნაწარმოები თავისთავად ამოტივტივდა გონების რომელიღაც კუთხე-კუნჭულიდან მას შემდეგ, რაც ერთი ქალბატონის თავგადასავალი მოვისმინე. ამიტომაც გადავწყვიტე, მისი მონათხრობი თქვენთვის სწორედ ამ სახელწოდებით გადმომეცა. მისი ცხოვრება მართლაც წააგავს თამაშს ჭვავის ყანაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს შტატის ქალაქ გრინვილის რომელიღაც მიყრუებულ ანტიკვარიატის მაღაზიაში საგულდაგულოდ შეუნახავთ ძველი ჟურნალ-გაზეთები, რომელთა შორისაც ქართველმა ჟურნალისტმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა 39 წლის წინანდელ ამერიკულ ჟურნალს LIFE-ს მიაკვლია. გარეკანზე ქართველი გოგონა იყო აღბეჭდილი. 39 წლის შემდეგ 1963 წლის 13 სექტემბრის LIFE-ის გარეკანი „ახალი ეპოქის“ მკითხველებმაც იხილეს. 39 წლის შემდეგ ჩვენ ვიპოვეთ ის გოგონა.

ნათელა გუგულაშვილი - სუბიმილების ანსამბლის ყოფილი წევრი, ჩვენი სასიკადაულო მომღერლის, ზურიკო იაშვილის მეუღლე. დღეს „ახალი ეპოქის“ სტუმარია.

ქართველთათვის უცხო ხილი - უცხოელი სტუმრები

თქვენ ბავშვობა მომაგონეთ, მიმაბრუნეთ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდთან, არაჩვეულებრივ, ლამაზ წლებთან. მართალი გითხრათ, გამიკვირდა კიდევ, როგორ მომაგენით, გამისხენით, მიპოვეთ...

ალბათ, 12-13 წლისა ვიქნებოდი, გურჯაანს უცხოელი

სტუმრები რომ ეწვივნენ. ვიცოდით, რომ ამერიკელ ჟურნალისტსა და ფოტოკორესპონდენტს ლამის მთელი საბჭოთა კავშირი უკვე მოვლილი ჰქონდათ, თუმცა საბოლოოდ, ამ ჟურნალისთვის ყველაზე ვრცელი მასალა საქართველოზე მომზადდა. ესწავლობდი გურჯაანის პირველ საშუალო სკოლაში. გაგვაფრთხილეს, რომ უცხოელებთან შესახვედრად უნდა მოემზადოთ, ჩაგვეცვა ქართული კაბა და შაბათ-კვირას ასე გამოწყობილები კოლმეურნეობას ვწვეოდით, სადაც მუშაობაში გართულ ქართველებს სურათებს გადაუღებდნენ და გაესაუბრებოდნენ. ახლდათ თარჯიმანი (რა თქმა უნდა, მოსკოვიდან). მახსოვს, ... დედა წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ჩემთვის სურათი გადაეღოთ და, საერთოდ, ამ ღონისძიებაში მიმელო მონაწილეობა, რადგან სახეზე ფუტკარმა მიკბინა და მთელი ლოყა დასიებული მქონდა. თუმცა საბოლოოდ, მაინც მოვლენების ცენტრში აღმოვჩნდი. მოგესხენებათ ქართველების სტუმართმოყვარეობის ამბავი, დიდი სუფრა გაიშალა, ხან სად დაფრიალებდი, ხან - სად. მესმოდა ფოტოაპარატის ჩხაკუნი, მაგრამ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ამერიკული ჟურნალის გარეკანზე აღმოვჩნდებოდი. ამერიკელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ფოტოკორესპონდენტი - ახოვანი, ცისფერთვალა, ქერათმიანი ახალგაზრდა, კომპლიმენტებით მავსებდა, მე კი უდარდელად ვცეკვავდი...

უპასუხოდ დარჩენილი წერილის ბედი

როცა ჟურნალი ამერიკაში გამოვიდა, თანატოლი გოგონასგან წერილი მივიღე. თავის ფიტოსურათსაც მიგზავნიდა და მეგობრობას მთავაზობდა. ძალიან მინდოდა, პასუხი მიმეწერა, მაგრამ კარგად მოგესხენებათ, რა პოლიტიკური ვითარებაც გახლდათ. წერილი ჩამომართვეს. ჩემი არავის ესმოდა - რა მნიშვნელობა ჰქონდა საზღვრებს, ბავშვებს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთთან დაახლება და მეგობრობა გვსურდა. ასე რომ, წერილი უპასუხოდ დარჩა... დღესაც გული მწყდება, რომ ამერიკელ გოგონას, რომელიც გატაცებით მომითხრობდა თავის თავზე და იმავს ელოდა ჩემგანაც, ვერ შევეხმიანე...

ავტობიოგრაფიული შტრიხები

დიდი ბიოგრაფიის პატრონი არ ვარ. გურჯაანში დავამთავრე პირველი საშუალო სკოლა, ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მოგესხენებათ, მაშინ მხოლოდ ერთადერთი უნივერსიტეტი არსებობდა და იქ მოხვედრა მართლაც დიდი პატივი იყო. ალბათ, ამიტომაც გვაქვს, იმდროინდელ უნივერსიტეტებს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა. ბავშვობიდან ვცეკვავდი. პირველივე კურსიდან უნივერსიტეტის ცეკვის ანსამბლში მოვხვდი ცხონებულ რომან ჭოხონელიძესთან. იმხანად უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ ბატონი ილია ვეკუა, რომელიც ახლადდარბუნებული იყო სამშობლოში ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტიდან, სადაც ასევე რექტორობდა. პირველი გასტროლიც სწორედ ამ უნივერსიტეტში გვექონდა. ვმოგზაურობდით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში. ის არაჩვეულებრივი წლები სიამოვნებით მაგონდება.

პირველ კურსზე ვიყავი, კონკურსი გაიმართა. რომან ქოხონელიძის დაფინანსებული თხოვნის შედეგად რამდენიმე წევილმა მივიღეთ მონაწილეობა. ორ გოგონასთან ერთად სამაიას ვასრულებდი. ჟიურს თავმჯდომარეობდა ბატონი ილიკო სუხიშვილი. ვერცხის მედლები მოვიპოვეთ, ილიკო სუხიშვილმა კი თავის ანსამბლში მიმიპატიჟა – მოდი, გნახოს რამიშვილის ქალმა და თუ მოეწონები, მეც არაფერი მაქვს სანინალმდეგო, ახლა ესპანეთში მივდივართ და ბარემ ნაგეყოლივით.

მახსოვს, გაზაფხული იყო (სხვათაშორის ყველა ჩემი განცდა გაზაფხულთან არის დაკავშირებული, თავადაც აპრილში ვარ დაბადებული). ძველი ფილარმონიის ბაღში სუხიშვილების ანსამბლს სარეკლამო გადაღებები ჰქონდა, მე ქალბატონ ნინო რამიშვილს ველოდებოდი, როდის გათავისუფლდებოდა. მოგვიანებით მნახა კიდეც, ლოყაზე მომეფერა და ერთადერთი კითხვით მომმართა, აინტერესებდა, შეყვარებული ხო მარ მყავდა. უარყოფითი პასუხი რომ მიიღო, მითხრა: ჩვენთან რომ გაითვალისწინო, გვიან თხოვდებიანო. მოკლედ, ოცნება ამიხდა და სუხიშვილების ანსამბლის წევრი გავხდი. სხვათა შორის, ოჯახის წევრებმა ეს ამბავი ტელევიზიით შეიტყვეს. ნინო რამიშვილთან იყო ინტერვიუ, ჩვენ რეპეტიცია გვქონდა, ქალბატონმა ნინომ ოპერატორი ჩვენსკენ გამოახედა, რათა მას ანსამბლში ახალმისულ მოცეკვავეთა სახეები გადაეღო. ოჯახმაც ამ დროს მიხილა.

ქალი – ლეგენდა, ცხოვრებისეული სკოლის მასწავლებელი

რას არ ჰყვებოდნენ ქალბატონ ნინო რამიშვილზე, თამამად გეტყვით, ეს იყო ქალი – ლეგენდა, საოცრად თბილიც, მკაცრიც, ლოიალურიცა და მიუტყეველიც. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ამხელა ანსამბლს ეარსება. იგი თავისი შრომის ნაყოფს ითხოვდა და მართალიც გახლდათ. სუხიშვილების ანსამბლი თითოეული წევრისთვის იყო სკოლა. იქ გვასწავლეს, როგორები უნდა ვყოფილიყავით მომავალში, ვისწავლეთ შრომის ფასი. რამდენიმე ქვეყანა მოვიარეთ და არავის აზრადაც არ მოსვლია, საზღვარგარეთ დარჩენილიყო. მაშინ პატარები ვიყავით და ვერ ვაცნობიერებდით, რა სკოლა გავიარეთ. დღეს ხშირად მაგონდება ქალბატონი ნინო, მისი დედაშვილური დარიგებები და პროფესიული რჩევები. იგი ცხოვრებისეული სკოლის დიდი მასწავლებელი იყო, რომელიც არასდროს ცდებოდა.

„ბედის ირონია, ანუ გაამოთ“...

აღბათ, ისე მოხდა, რომ გავითვალისწინე ქალბატონი ნინოს რჩევა და უკვე შეგნებულ ასაკში, 28 წლისა გავთხოვედი. ზურიკო იაშვილს კარგა ხანს ვიცნობდი. ხშირად ერთად ვმოგზაურობდით სუხიშვილების ანსამბლი და „ორერა“. შეყვარებულობანას თამაშიც ვერ მოვასწარით, ისე დავექორწინდით. ჩაუფუჯეკი მანქანაში, მივხვდი, რომ სხვა მიმართულებით წავიდა. შინ მიმიყვანა, სადაც ოჯახის წევრები და ახლობლები დაგვხვდნენ. ზურიკო მომიბრუნდა და მითხრა – აბა, ამხელა კაცი სულელი ხომ არ გგონივარო? ასაკით ჩემზე უფროსი იყო და ამას ყოველთვის ვგრძნობდი, ცხოვრებისადმიც სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა და ჩემსავით ცაში არ დაფრინავდა.

ზურიკო იყო ნამდვილი პროფესიონალი. 25 წლის განმავლობაში სწორედ ის აგვარებდა „ორერას“ ადმინისტრაციულ საკითხებს. ვერასდროს საზღვარავედა დროს და ამიტომ ვცდილობდი, რაც მე მევალებოდა, დროულად მომეგვარებინა. ერთ ამბავს გიამბობთ.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივემგზავრებოდი. ზურიკოს პასპორტში ახალი ვიზისთვის ადგილი

ალარ იყო, დროც არ ჰქონდა სურათის გადასაღებად და ამიტომ ძველი პასპორტის ფოტო გამოიყენეს. „ორერას“ ვახლდით რამდენიმე სუხიშვილი და მედიკო ძიძიგური, რადგან ნანიმ ვერ შეძლო წამოსვლა. მე და სუხიშვილის ანსამბლის რამდენიმე ბიჭს „ორერას“ სიმღერების თანხლებით უნდა გვეცეკვა. შერემეტევოს აეროპორტში ვართ. მე და მედიკო საუბარში გავერთეთ და წინ წავედით, საბაჟო გამოიარეს დანარჩენებმაც, ზურიკო დელეგაციის ხელმძღვანელი იყო და ბოლოსკენ უნდა გამოსულიყო. უკვე სალონში ვართ, თვითმფრინავი ასაფრენად ემზადება, ზურიკო კი არა და არ ჩანს. სტიუარდესებმა გვითხრეს, - თქვენს ხელმძღვანელს რაღაც პრობლემები შეექმნა და არ უშვებენო. ავფორიაქდით. მაშინ სხვა დრო იყო და ყოველი ამგვარი შეფერხება კარგს არაფერს ნიშნავდა. ბერლინში ზურას გარემე გავფრინდით, არადა, წარმოიდგინეთ, არის მასშტაბური ღონისძიება, რომელსაც ესწრებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური ერიხ ჰონეკერი და საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრები, ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი კი არ ჩანს და არც ვიცით, სად ვექებთ. აეროპორტში ავტობუსი დაგვავხედრეს, რომლითაც ლაიფციგში უნდა გავმგზავრებულიყავით, სადაც იხსნებოდა ეს ღონისძიება. ვიცოდი, ზურიკოს ფული არ ჰქონდა, რადგან ის 30 მანეთი, რომელსაც იმხანად გვატანდნენ, მე მქონდა. თარჯიმანს ვთხოვე, თანხა გადაეხურდავებინა და აეროპორტში ზურიკოს სახელზე დატოვებულ ბარათთან ერთად რომელიმე სანდო პირისთვის გადაეცა. ვთხოვეთ, საბჭოთა კავშირიდან ჩაფრენილი თითოეული თვითმფრინავის მგზავრებისთვის გამოეცხადებინათ, რომ ვექებთ ზურიკო იაშვილს, რომლის სახელზეც ბარათია დატოვებული. მედიკო ძიძიგური ნერვიულობისგან ადგილს ვერ პოულობდა, მეც არ ვიცოდი, სად მომექებნა ზურიკო.

თურმე ზურიკოს პასპორტში რომ ჩაუხედავთ, აღმოუჩენიათ ორი ბეჭედი და ახალი პასპორტის აღება უბრძანებიათ. შაბათი დღე იყო. წარმოუდგენელი იქნებოდა, უქმე დღეს ვინმეს რაიმე ეღონა, მაგრამ ზურიკოს ფარ-ხმალი არ დაუყრია, წასულა საპასპორტო განყოფილებაში, სადაც, ბედად, თავისი კურსელი დახვედრია მორიგედ. ვილაც გენერალი შინიდან მიუყვანიათ, სპეციალური საში და ცნობა დაუწერიანებიათ და კვლავ შერემეტევოს აეროპორტში დაბრუნებულა. ბერლინისკენ იმ დღეს სამგზავრო რეისი აღარ იყო. გაურკვევიათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო თვითმფრინავი მიფრინავდა სამხედრო აეროპორტიდან. სწორედ ამ თვითმფრინავით ჩამოაღწია, ბერლინიდან, იქ კი მისთვის ჩემს მიერ დატოვებული ბარათი და ფული გადაუციათ. ზურიკო იაშვილმა წარმოუდგენელი შეძლო. რამდენიმე საათში იგი ლაიფციგში გამოგვეცხადა. ეს მხოლოდ ზურიკო იაშვილს შეიძლებოდა დამართნოდა.

პროფესია – იურისტი?!

ძალიან ძნელი იყო ხელოვნების ამ სფეროდან, სადაც წლების მანძილზე ვმოღვაწეობდი. უამრავი შთაბეჭდილებით დახუნძლული მოხვედე წინასწარ პატიმრობის საკანსა თუ ციხეში. გამიჭირდა დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლების მოსმენაც, მაგრამ ადვოკატი ვიყავი და მხოლოდ და მხოლოდ ის მევალებოდა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანისთვის სასჯელი შემემსუბუქებინა.

იურიდიულ სამყაროში მოგვიანებით, ასაკოვანი მოხვედი, რა თქმა უნდა, თუ გიყვარს ეს საქმე, მას ადრინად უნდა მოეკიდო. გჭირდება უსაზღვრო ენერჯია, დრო. ყველაფრისთვის მორალურადაც უნდა იყო მზად. სამწუხაროდ, ქართველთა უმრავლესობას გვარიანად არ აქვს გაცნობიერებული, რა არის ადვოკატის ინსტიტუტი. არადა,

პროცესს, ფაქტობრივად ადვოკატი უნდა წარმართავდეს. მჯერა, დადგება დრო, ეს ინსტიტუტი საქართველოშიც სათანადოდ განვითარდება. სხვაგვარად არ შეიძლება. შეუძლებელია სამართალდამცავი ორგანიზაციები კვლავ ძალდატანებით იღებდნენ ჩვენებებსა და საჭირო ინფორმაციას. როცა ექვმიტანილის გვერდით ადვოკატი იდგება, ასე ველარ მოიქცევიან.

რამდენიმე საქმე წარმატებით წარვმართე. იყო შემთხვევა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანი სასამართლო დარბაზიდანაც კი გაუშვეს. ბევრ რამეს ვერ დავიკვივნი, მაგრამ ვიტყვი, რომ სისხლის სამართლის საქმეებშიც შემძლო მუშაობა. ერთ ხანს ინტენსიურადაც კი ვიყავი ჩაფლული. თუმცა პირადი ცხოვრება არ მაძლევს ამის საშუალებას. შვილების უყურადღებოდ დატოვების უფლება არ მაქვს. ოჯახს უნდა მივხედო. მე ხომ ორ ვაჟსაც მართო ვზრდი.

ძალიან დიდი სხვაობაა ხელოვნებასა და ამ დარგს შორის. ვფიქრობ, ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში პატარა წვლილი მეც შევიტანე. ცეკვა მორევს ჰგავს, რომელშიც მოქცეულს უკან გამოვსვლა გიჭირს. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი სცენაზე გავატარე, თანაც კარგ პერიოდში. მართალია, დღესაც არსებობს ანსამბლი, რომელსაც ჩინებული ხელმძღვანელობა ჰყავს, მაგრამ მაინც მემამყება, რომ ვცეკვავდი მაშინ, როცა ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი მოღვაწეობდნენ. დღეს, ამ ანსამბლის ერთ პატარა ჯგუფს, 12-13 წლის გოგონებს ვამეცადინებ, რომელთათვისაც ვცდილობ, უპირველესად, მეგობარი ვიყო და არა – პედაგოგი. ასე რომ, ხელოვნებასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. რაც მახარებს და ცხოვრებას მიმსუბუქებს.

უღმრთელი რეალიზმი – მკაცრი განაჩენი

ცეკვას თავი მაშინ დავანებე, როცა ბავშვს ველოდი. რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სუხიშვილების ანსამბლში გავატარე, აქ გავიზარდე, ჩამოვყალიბდი ადამიანად. ერთი ხელის მოსმით ამაზე უარის თქმა, ბუნებრივია, ძნელია, მაგრამ ოჯახი

თავისას ითხოვს. შვილის სიყვარულმა გარკვეულწილად შეამსუბუქა ჩემი განცდა.

ჩემი ცხოვრება ორი დიდი პერიოდისგან შედგება. პირველი ძალიან სუფთა, წმინდაა. ამ წლებით მე დღესაც ვსულდგმულობ, მეორე კი... ძალიან დიდი რამ დავკარგე ცხოვრებაში – ზურიკო იაშვილი. დავკარგე არა როგორც ოჯახის მამა, არამედ რაღაც უფრო მეტი. ძალიან მიყვარდა. სულიერად ბევრი მომაკლდა. ამას დაერთო ჩვენი საერთო მდგომარეობა. ხშირად მიფიქრია, რომ ზურიკო იაშვილი ბედნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან მას არ უნახავს თბილისში ტანკი, სამხედროები, სამოქალაქო ომი, გადამწვარი ქალაქი, რამაც ძალიან დიდი დაღი დაასვა თითოეულ ჩვენგანს. დავრჩი მარტო ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად. ასე მოვიღვივარ დღემდე – ყველას გაჭირვება, ჩემი გაჭირვება, ყველა ქართველს, რომელსაც ხელი აქვს განვიდო, ვცდილობ, რაღაცნაირად დავეხმარო. ასეთი დავიბადე და ასეთად მოვკვდები.

ოცნებების კვალდაკვალ

ბედნიერი ქალი ვარ იმით, რომ მყავს ორი შესანიშნავი შვილი. უფროსი დავითი და უმცროსი – ზურაბი.

ბედნიერი ქალი ვარ იმითაც, რომ მქონდა პატივი, ვყოფილიყავი სუხიშვილების დიდი ოჯახის წევრი.

უბედური მხოლოდ იმით ვარ, რომ ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ღმერთმა არ მომცა შესაძლებლობა, გვერდით მყოლოდა ზურიკო იაშვილი. ეს ძალიან დიდი ტკივილია ჩემთვის, სადაც უნდა ვიყო, რასაც უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ვფიქრობ მასზე. მე ამ ადამიანის მოგონებით ვცხოვრობ.

რედ: ქართველმა ჟურნალისტმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა 39 წლის წინანდელ ამერიკულ ჟურნალ LIFE-ს მიაკვლია. 1963 წლის 13 სექტემბერს LIFE-ის გარეკანი „ახალი ეპოქის“ მკითხველებმაც იხილეს. 52 წლის შემდეგ ჟურნალი გურია REGION ქალბატონ ნათელა გუგუშვილის თავგადასავალი გაიმბეთ. მისი ცხოვრება მართლაც ნაგავს თამაშს ქვავის ყანაში.

სიღამაზის კონკურსის გამარჯვებული



თურქეთში ქალაქ ფინგიკლში ხელოვნების კონკურს ფესტივალი გაიმართა. სხვადასხვა ნომინაციაში – საუკეთესო სიმღერა და ცეკვა, სიღამაზის კონკურსი, 6 ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას – საქართველო (ოსეთი), თურქეთი, აზერბაიჯანი, ალბანეთი და სხვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცეკვის ანსამბლი „მხედრები“ საცეკვაო მუსიკის შესრულებაში პირველ ადგილზე, ხოლო ჩაის სმაში მეორე ადგილზე გავიდა. სიღამაზის კონკურსში ანსამბლის წევრმა მარიამ ზენაიშვილმა პირველი ადგილი მოიპოვა. ჟურნალი გურია REGION მარიამს ულოცავს წარმატებას და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს.



მხაჭვარ ურთა დარჩიას პერსონალური გამოშენა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში ცნობილი მხატვრის შოთა დარჩიას ნამუშევრების პერსონალური გამოშენა გაიმართა. გამოშენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი სპექტაკლების ესკიზებს.

შოთა დარჩია დაიბადა 1922 წლის 17 ოქტომბერს ოზურგეთში. ხატვისადმი სიყვარული და მიდრეკილება ბავშვობიდან გამოამჟღავნა.

ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში სწავლის დროს ვეფხისტყაოსნის გმირები ფუნჯით გაუცოცხლებია. შემდეგ ეს ნახატები თბილისში ბავშვთა ნამუშევრების გამოშენაზე გაუგზავნიათ, სადაც მას პირველი ადგილი მოუპოვებია. ბავშვობაში თიხაზე მუშაობითაც იყო გატაცებული. სკოლაში კედლის გაზეთებს მხატვრულად აფორმებდა. განსაკუთრებით კი მის მიერ შესრულებული კარიკატურები მოსწონდათ პედაგოგებს და მოსწავლეებს. კლასელები ამყობდნენ, რომ ასეთი ნიჭიერი და წარმატებული მეგობარი ჰყავდათ.

სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, ფერწერის ფაკულტეტზე. აკადემიაში სისტემატურად მონაწილეობდა სტუდენტურ გამოფენებში. მის პროფესიულ დაოსტატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ცნობილ ხელოვანებს: მოსე თოიძეს, იაკობ ნიკოლაძეს, ნიკოლოზ კანდელაკს, დავით კაკაბაძეს, უჩა ჯაფარიძეს, სილევან კაკაბაძეს, შოთა მიქაბაძეს, იორამ მამალაძეს, კორნელი სანაძეს. მის ჯგუფში სწავლობდნენ ალ. ბანძე-ლაძე, კ. მახარაძე, ფ. ლაპიაშვილი, ს. კაშიანი და სხვ.

შემდეგ კი დიდი სამამულო ომი. ფაშისტურ გერმანიასთან საბრძოლველად ჯარში განწვევა და ავადმყოფობის გამო უკან დაბრუნება. 1944 წლიდან კი მშობლიურ ოზურგეთშია. სადაც მუშაობდა კინო-თეატრის მხატვარ-რეკლამიორად, 1947 წლიდან სამხატვრო სახელოსნოს გამგეობაში, 1952 წლიდან მახარაძის პედაგოგიურ სასწავლებელში ხატვის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1956

წლიდან კი თავისი მოღვაწეობა თეატრს დაუკავშირა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

შოთა დარჩია ოთხი ათეული წლის მანძილზე მუშაობდა ისეთ შესანიშნავ რეჟისორებთან, როგორც იყვნენ: გ. ლორთქიფანიძე, თ. წეროძე, ო. თალაკვაძე, ბ. ნაკაიძე, გ. ლალიძე, ს. ახალაძე, ლ. პაქსაშვილი, ი. მაცხოვრისაშვილი, გ. აბესაძე, გ. აბრამიშვილი, ლ. დეისაძე, ვ. ჩიგოგიძე და სხვ.

შოთა დარჩიამ ოზურგეთის თეატრში 120-მდე სპექტაკლი გააფორმა. მაცურებელი და სპეციალისტები მუდამ აღფრთოვანებული იყვნენ მისი სცენოგრაფიით. მის სახელს უკავშირდება სპექტაკლები: კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“ და „ეზოში ავი ძაღლია“, ვ. კანდელაკის „სარეველა“ და „დრო 24 საათი“, ვ. დარასელის „კიკვიძე“, სმ. ბერძენიშვილის „ლერწამი ქარში“ და დაჭრილი არწივი“, გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, გ. ნახუცრიშვილის „აჩაკუნე“, „ალი-ბაბა“, ი. ვაკელის „აპრაკუნე ჭიჭიქმელი“, ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მზიანი ღამე“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, რ. ებრაღიძის „ნანა“, „მოგზაურობა ზღაპარში“, თ. ჭილაძის „სურათები საოჯახო ალბომიდან“, ალ. ჩხაიძის „ხიდი“, რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, აკ. გენაძის „ყარამან ყანთელაძე“, კ. გოლდონის „საპატარძლო აფიშით“, იბსენის „მოჩვენებანი“, ჯ. პლეტჩერის „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“, დიუმას „მარგარიტა გოტიე“ და სხვ.

შოთა დარჩია ასევე სპექტაკლებს აფორმებდა ბათუმის, ფოთის, ზუგდიდის თეატრებშიც.

გამოშენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები იყო დასტური იმისა, თუ როგორი თავდადებითა და სიყვარულით ემსახურა თავის პროფესიას.

ქეთევან კუკულავა



„ხასანბეგურას“ წარმატება



ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით გაიმართა დასავლეთ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველი ეროვნული კონკურსი. სადაც მონაწილეობდნენ: რუსთავის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, სამტრედიის, წყალტუბოს, ფოთის შემოქმედებითი კოლექტივები. მათ შორის იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული სტუდია „ხასანბეგურა“, ხელმძღვანელი ნათელა მეგრელიშვილი. კონკურსზე გურული ხალხური სიმღერები შესრულდა ტრიოს ლონდა ჭკუასელის, ნოდარ ყენიას და ალექო ფოცხიშვილის შემადგენლობით. ჟიურის წევრები აღფრთოვანდა გურული სიმღერების მაღალ დონეზე შესრულებით. ქალბატონ ნათელა მეგრელიშვილს მადლობა გადაუხადეს ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობისთვის. „ხასანბეგურას“ კი პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მიენიჭა ნომინაციაში: „ქართული ხალხური სიმღერა.“ ჩვენი ჟურნალი ულოცავს ანსამბლს ამ გამარჯვებას და შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

ბათუმის მარგალიტი-2015 წელი

ქალაქ ბათუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ბათუმის მარგალიტი 2015 მონაწილეობდნენ: ლატვიის, პოლონეთის, რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, სერბეთის, თურქეთის, ბოსნიასა და საქართველოს კონკურსანტები. ფესტივალზე მეორე ასაკობრივ კატეგორიაში, 12-17 წლამდე მონაწილეობდა ჩოხატაურის კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის „ჯინსების თაობა“ სოლისტი – ლილიანა ლომინეიშვილი (პედაგოგი ლარისა დოლიძე). რომელმაც ქართული და ინგლისურ ენოვანი სიმღერა შეასრულა. ლილიანას ქართულ ნომინაციაში მიენიჭა პირველი საპრიზო ადგილი, უცხოურ სიმღერაში კი მესამე საპრიზო ადგილი. მას ასევე გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

სასიხარულოა, რომ ლილიანა ლომინეიშვილი მოხვდა იმ ოთხეულში, რომლებიც მინვეულ იქნა რიგაში საერთაშორისო ფესტივალის ფინალში, პედაგოგთან ერთად.

ჩვენი ჟურნალი ულოცავს ლილიანა ლომინეიშვილს ამ გამარჯვებას და მრავალ წარმატებას უსურვებს.

ქეთევან კუკულავა



დღიური ჩემთვის აღსარებაა

„თავისუფლებას“ დღიურები, 2012, პრაღა – თბილისი
რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება არის კერძო საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია, რომელიც მაუწყებლობს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებისთვის.

მას, მაუწყებლობის მმართველთა საბჭოს მეშვეობით, აშშ-ის კონგრესი აფინანსებს.

რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლების მისიაა, ფაქტობრივი ინფორმაციისა თუ იდეების გავრცელებით ხელი შეუწყოს დემოკრატიული ფასეულობების და ინსტიტუტების განმტკიცებას.

ცენტრალური ევროპიდან ვიდრე წყნარ ოკეანემდე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რუსეთიდან შუა აზიამდე თუ სპარსეთის ყურემდე, ცალკეულ ქვეყნებში ხალხი ცდილობს გაუმკლავდეს ავტოკრატიულ სტრუქტურებს, ადამიანის უფლებათა დარღვევებს, ეკონომიკის ცენტრალიზებულ სისტემებს, ეთნიკურსა თუ რელიგიურ დევნას, რეგიონალურ კონფლიქტებსა და კონტროლს დაქვემდებარებულ მედიას. მთელი ამ რეგიონის სტაბილურობა – დამყარებული დემოკრატია და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსოფლიო მშვიდობისათვის.

ეფუძნება რა ამ რწმენას, რომ დემოკრატიის უპირველესი მოთხოვნა კარგად ინფორმირებული საზოგადოების ყოლაა, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება მრავალი სახელმწიფოს მოქალაქეს სთავაზობს ახალ ამბებს, ანალიტიკურ გადაცემებსა და მიუკერძოებელ ინფორმაციას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოვლენებზე.


რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება ამჟამად არსებობის სამოცლიანი ტრადიციით და ამჟამად 21 ქვეყანაში, 28 ენაზე მაუწყებლობს, მათ შორის 1953 წლის 3 მარტიდან – ქართულად.

ლუიზა ბოჩკოვა-ხეჩია – ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი, დაიბადა 1947 წლის 26 მარტს თბილისში. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორად; პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ქართული ლიტერატურის კაბინეტის გამგედ; უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების გამგედ; ამავე ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ; ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვან მეცნიერთანამშრომლად. ამჟამად მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და არის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წევრი. გამოცემული აქვს ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომი და რამდენიმე წიგნი.

13 მაისი, კვირა

შეიძლება ყოველთვის არა, შეიძლება მხოლოდ დღეს, მაგრამ ასე დაემთხვა და აღსარებით ვიწყებ...

„გათენება ხარ ჩემი!“ – დღესაც, ჩვეულებრივ, ასე მივმართე. პასუხსაც მივაცურადე. შვიდი წელია, აღარ არის ამქვეყნად და ისევ მესმის: „ჩემი ღმერთი ხარ!“ დილის ასეთი დასაწყისი მაძლებინებს, ძალას მაძლევს, მავსებს.



ლუიზა ბოჩკოვა-ხეჩია და დათო სვინია

და მაინც... მის გარეშე ჩემთვის დღე არ დღეობს! დღესაც ქედს ვუხრი და მადლობას ვუხდი იმ სიყვარულით საგნულ ნივთებისათვის, რაც მაჩუქა. ცხოვრებას ორივემ ბრწყინვალედ ჩავაბარეთ სიყვარულის გამოცდა! უერთმანეთოდ ცოდონი ვართ: ის იქ, მე – აქ! ის, ალბათ, სამოთხეშია... ტარიელ ქანტურიამ თქვა: სიყვარული – აი, პაროლი სამოთხეში შესასვლელად. ერთად ყოფნისასაც სულ მენატრებოდა, ადვილი წარმოსადგენია, ახლა როგორ ვცხოვრობ! არ ვწუნუნებ, რადგან გამუდმებით ისევ ერთად ვართ! ვიცი, ჩემი სიყვარული იქაც ნათელში ამყოფებს.

ერთი რამ მახსენდება ახლა. ერთ-ერთი სტუმრიანობისას სადღეგრძელოში სახალხოდ ამისხნა სიყვარული. მე ცალი ყური მისკენ მქონდა, რასაკვირველია, მაგრამ სტუმრებსაც ვერ მოვაკლებდი ყურადღებას. ბატონმა ელგუჯა მალრაძემ, გაკვირვებულმა, შენიშვნასავით მითხრა: ლუიზა, მოუსმინე, დათო რა სიტყვებს გეუბნებაო! მე ღიმილით და ამყადაც ვუპასუხე: ბატონო ელგუჯა, ამ სიტყვებს ყოველდღე, დილა-სალამოს ვისმენ-მეთქი. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ! „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“... ჩემთვის დღესაც არსებობს მზე...

14 მაისი, ორშაბათი

დღეს თამარობაა, ჩემთვის თამარა პაპავას სახელობის დღე! ეკლესიაში წავალ, სანთელს დავუწებ, მოგვიანებით სასაფლაოზეც ავალ. გული მტკივა, ისე ხშირად ვეღარ დავდივარ, ასაკი მახსენებს თავს, მაგრამ სულ მახსოვს, მენატრება. 50 წლის სხვაობის მიუხედავად, ისევ ჩემი საუკეთესო მეგობარია და არა მხოლოდ კარის კარგი მეზობელი.

თამარა დეიდა... მაკლია მისი კეთილი სურვილები, ლოცვა-კურთხევა, ახალ წელს მეკვლევ შემოსვლა!

დღეს საჯარო ბიბლიოთეკა დაკეტილია. არ მახსოვდა და წასასვლელად ვემზადებოდი. მუშაობას ვერ გავაგრძელებ. არადა, სასწრაფო წერილი მაქვს დასამთავრებელი.

15 მაისი, სამშაბათი

უცნაურად დამთხვა – კვლავ სიყვარულის მოგონებით უნდა დავინწყო.

დღეს მამას გარდაცვალებიდან 20 წელი შესრულდა.

ისევე მტკივა უმისობა, როგორც 20 წლის წინათ. დრო მკურნალი არა ყოფილა. ყველამ იცოდა ჩვენი გამორჩეული სიყვარული. მეამაყებოდა. დღესაც თავანული ვარ, მისი შვილი რომ მქვია.

ბაბუაჩემი, კირილ ბოჩკოვი, ოფიცერი იყო. საქართველოში რკინიგზის ერთ-ერთი სადგურის უფროსად დანიშნეს და მაშინ ჩამოვიდა რიაზანიდან. შემდეგ მისი ერთ-ერთი მეგობრის, ასევე რკინიგზელის და – ლუბა ალასანია შეუყვარდა. იქორწინეს, ერთ ხანს საქართველოში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი ბაბუა მიუღწესთან ერთად რიაზანში დაბრუნდა, სოფელ პესოჩნაიაში. ორი ვაჟი შეეძინათ. მამა 7 წლისა იყო, როცა ბაბუაჩემი გარდაიცვალა. ბებია, შვილებთან ერთად, საქართველოში დაბრუნდა. სამეგრელოში ცხოვრობდნენ ახლობლებთან. ნათესავები იხსენებენ, როგორ სხაპასხუპით ლაპარაკობდა პატარა ვოვა ბოჩკოვი რუსულად და მეგრულად... ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ მოგვიანებით მისი ქართული მეტყველება გამორჩეული იყო, ამას ყველა განსაკუთრებულად აღნიშნავდა.

სულ მალე ბებიაც გარდაიცვალა. მაშინ მამა 11 წლისა იყო. დედის ძმის ოჯახში იზრდებოდა. არაჩვეულებრივი ხალხი იყო, კეთილშობილი და გამორჩეული. შემდეგ მამამ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და მთელი ცხოვრება ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში მუშაობდა.

რიაზანისაკენ არც არასოდეს გაუხედავს. ამიტომაც არ ვიცნობდი ჩემს რიაზანელ ნათესავებს.

ერთხელაც მე და ჩემი მეუღლე, დათო, იუგოსლავიაში მანქანით მივდიოდით. ჩემთვის არც არაფერი უთქვამს, ისე გადაუხვია რიაზანისკენ. ასე აღმოვჩნდი პირველად სოფელ პესოჩნაიაში. ბოჩკოვები მოვიკითხეთ, მაგრამ ვერავინ ვნახეთ. ტელეფონის ნომერი და მისამართი გამოგვართვეს და დაგვიპირდნენ, აუცილებლად დაგიკავშირდებითო.

მოგზაურობიდან რომ დავბრუნდით, უკვე დაგვახვედრეს სახლში ამბავი – რიაზანიდან დარეკეს, ვოვას ბიძაშვილები გეძებენო.

ჰოდა წავედით... დათო საგანგებოდ ეშხადებოდა. მე ვეუბნები: ეს სამეგრელო არ გეგონოს, განსაკუთრებულს ნურაფერს ელი-მეთქი. მაგრამ იქ ისე დაგვხვდნენ, სამეგრელო მონაგონი იყო! იმდენი სითბო, იმდენი სიყვარული... ან როგორ იხსენებდნენ ბებიაჩემს, როგორ ახასიათებდნენ! მამას ბიძაშვილებმა მთელი ნათესაობა მოგვატარეს, ყველგან ხელგაშლილები გვხვდებოდნენ.

მამა უკვე შეუძლოდ იყო, როცა დათომ რიაზანში მისი ჩაყვანა გადანწყვიტა. მამას ექიმმა აუკრძალა ზედმეტი მგზავრობა და ემოციები. ბიჭვინთაში ვისვენებდით, როცა დათომ თქვა, უნდა წავიდეთო. ჩაგვისვა მამაჩემი, დედა, ლალი და მე მანქანაში და, ფაქტობრივად, გაგვიტაცა... საოცარი შეხვედრა იყო! მიჭირს გახსენება – არც ემოცია მყოფნის და ისედაც ყველაფერი გასაგებია...

სოფელ პესოჩნაიაში მინის ნაკვეთი იყიდებოდა. დათომ მამას შესთავაზა: „გინდა გიყიდო?“ მაშინ ეს იოლი იყო. მამა არც დაფიქრებულა, უპასუხა: არა, არ მინდა, ჩემი სამშობლო საქართველოაო...

შემდეგ მამას ბიძაშვილები საქართველოში გვესტუმრნენ. სამოვარი ჩამოგვიტანეს საჩუქრად. ის სამოვარი მამამ პიანინოზე დაგვადგმევინა და დღეში რამდენჯერმე შედიოდა სანახავად.

საოცარი კაცი იყო მამაჩემი, ობლობამ და გაჭირვებამ მის სულს ვერაფერი დააკლო, სახლიდან სამსახურში მიჰქონდა ყველაფერი. ვებუშრებოდი: ხალხმა სამუშაოდან წამოღებული ნივთებით აივსო სახლები და შენ იქით მიგაქვს-მეთქი. ამ სამსახურმა გაგზარდათო – ჩაილაპარაკებდა და ძველებურად ქცევას აგრძელებდა.

მისთვის არასოდეს მითქვამს და დღეს მინდა ვუთხრა მადლობა იმაზეც, რუსული გვარის მიუხედავად, ქართული განათლება რომ მიგვაღებინა. მაშინ, როცა რუსულ სკოლებში სიარული მოდაში იყო და პრესტიჟულად ითვლებოდა. ქართული სიტყვის მადლს რუსული სკოლა ვერ გაგრძნობინებთო, გვეუბნებოდა.

გამორჩეული სიყვარული ჰქონდათ დედას და მამას. „ჯერ დედათქვენი და შემდეგ თქვენო“, – ხშირად უთქვამს. თუმცა, განუმეორებელი მამა იყო. მე და ლალის არც არასოდეს გვწყინდა, ყველაფერი გვესმოდა...

16 მაისი, ოთხშაბათი

კარგი სიზმარი ვნახე – ბატონი ალექსანდრე კალანდაძე! ისევე ჭარმაგი, ისევე ახალგაზრდა სულითა და შემართებით, ასპირანტებისა და მონაფეების გარემოცვაში. გუშინ საღამოს ვფიქრობდი, მისი დაბადების დღე რა ფორმით აღგვენიშნა მის შვილობილებს და, ეტყობა, ძილშიც ჩამყვა.

მამობილ-შვილობილი გვერქვა, თორემ ყველა ასპირანტისათვის ისეთივე თავდადებული იყო, როგორც ჩემთვის. იშვიათად მესიზმრება, მაგრამ როცა ვნახავ, სიზმარშიც მასწავლებელია, სულ რაღაცას მასწავლის, მარიგებს, მირჩევს. 1 ივნისს, მის დაბადების დღეზე, ისევე ყვავილებით შევამკობთ მის საფლავს...

საფრანგეთიდან ჩამოსულ მის უცნობ ვაჟიშვილს – თამაზ კალანდაძეს ჩვენ ვუმასპინძლეთ. სამწუხაროა, რომ ვერ მოესწრო. პირველად რომ დავინახეთ, გავოგნდით – თითქოს ბატონი ალექსანდრე დაგვიბრუნდაო, იმდენად ჰგავდა მამას ჰაბიტუსით, მიხრა-მოხრით, ინტელექტით. 60 წელს გადაცილებული პროფესორი თამაზ კალანდაძე კი აღფრთოვანებას და გაოცებას ვერ მალავდა, ამდენი ხნის წინ გარდაცვლილ სახელოვან მამას სიყვარულითა და დანანებით როგორ აცნობდნენ არასისხლისმიერი „შვილები“. გული სტკიოდა, ცრემლებს ვერ მალავდა.

მამას არ იცნობდა. დაბადებული არ იყო, როცა ბატონი ალექსანდრე საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. სულ რამდენიმე წელია, რაც გაიგო ასეთი მამა რომ ჰყავდა... გახსუნებული ფოტოსურათი ვუჩვენეთ, რომელიც არასოდეს ენახა – საყვარელი დედა და უცნობი მამა ერთად გადაღებული ტულუზაში.

ალექსანდრე კალანდაძის „მაკიზარები“ საფრანგეთში გამოსაცემად მზადდება. სასწრაფოდ დაწერეთ წინასიტყვაობა, ვთარგმნეთ და გავატანეთ. გვევალბოდა კიდევ მთელი ცხოვრება ვალში ვართ მისი ნათელი ხსოვნის წინაშე. 17 ასპირანტიდან თუ ვინმემ რაიმე სასიკეთო შევძელით, ეს ხომ დიდწილად მისი დამსახურებაა...

ლექციებზე წასვლის დროც მოსულა. დღევანდელ ჯგუფთან შეხვედრა მიხარია!

17 მაისი, ხუთშაბათი

შაკომ დარეკა, სახლში თუ ხართ, კესო მომყავსო! დავფაცურდით. ყველაფერი მის მოსვლამდე უნდა მოვასწროთ. ისეთი მოუსვენარია, ერთი წუთით თვალს ვერ მოაშორებ. თვითონაც ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს. გამორჩეულად ლამაზი და აზრიანია. მთელი დღე შეუძლია მიკროფონში იმღეროს. ყველა იბრალებს, მე მგავსო.

გუშინ წიგნი ვუყიდე – „ჩემი პირველი ანბანი“. ჯერ სამი წლისაც არაა, მაგრამ სიმბოლურად მიხდა, მე ვასწავლო სახელისა და გვარის კითხვა. იცინიან, რა დროს მაგის კითხვაო, მაგრამ ისეთი ჭკვიანია, თავს გაართმევს. თუ კომპიუტერში პოულობს თავის მულტიფილმებს, ამას რატომ ვერ შეძლებს? წიგნის კარგად გაფორმებული სურათებიც ხელს შეუწყობს. გამორჩეულად მიყვარს, ხმამაღლა ვერ ვამბობ, სხვები იეჭვიანებიან.

ზარია, მგონი მოვიდნენ.

სალამოს 10 საათი

კესომ დაგვალა, მაგრამ სასიამოვნო დალლა. თბილია, ერთს რომ მოგეხვევა და გაკოცებს, მზად ხარ, ისევ დაიხარჯო.

ხვალ მარის კონცერტია ფილარმონიაში. გამოსვლა აქვს, ლამაზად ცეკვავს, ძალიან უხდება, საოცრად სცენურია და დახვეწილი. ვფიქრობ, ყვავილების კალათა ვაჩუქო. დარწმუნებული ვარ, წარმატებული გოგო იქნება.

18 მაისი, პარასკევი

დამირეკეს, ვაკო შიუკაშვილის სოლო-კონცერტზე დამპატიყეს. არასოდეს გამომტოვებენ. ჩემი ნათლულია, მაგრამ დიდ ვერაფერ ნათლიობას ვუნევ. სურვილი დიდი მაქვს, შესაძლებლობები – ნაკლები. სულ დროის დეფიციტს განვიცდი. ვაკო ძალიან მიყვარს. უნიჭიერესია, მშრომელი, თბილი, მიზანსწრაფული. გული დამწყდა, თიკო რომ ვერ დაესწრო. ვაკოს შესრულების მანერა მოსწონს.

სალამოს 11 საათი. თიკოს, ჩემს დისშვილს, დავურეკე ამერიკაში. იმდენად დაკავებულია, ვცდილობ, ზედმეტად

არ გავაცდინო და არ დავალაო. ნოსტალგია უკვე დაენყო. წვრილმანებიც აინტერესებს. ღმერთო, ხელი მოუშართე, გეგმები ბოლომდე მიაყვანინე! წარმატებები არც აქ აკლდა, მაგრამ უკეთესს იმსახურებს!

19 მაისი, შაბათი

დღეს სალამოს სხვა გეგმები მქონდა, მაგრამ ზუკას ხათრი ვერ გაუტეხე, მეცხრედ დაესწრო მარჯანიშვილში „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“. მეორე რიგში ვისხედით და ლამის სუფლიორის როლი შეითავსა, წინასწარ ჩურჩულებდა მსახიობთა სათქმელს. მიყვარს ზუკასკენ თვალის გაპარება, როცა სპექტაკლს უყურებს. ახლა 10 წლისაა, 7 წლიდან ესწრება ამ სპექტაკლს, საოცრად მოსწონს. რამდენჯერმე ჩოხით ნავიყვანე. ახლა დაუპატარავდა და ვეღარ იცმევს. გვთხოვა, ნითელი ჩოხა შემიკერეთო. ჯერ ვერ ავუსრულეთ სურვილი.

თეატრის ყველა ბილეთსა და პროგრამას ვუნახავ. მისი უცნაური კითხვებიც ჩაწერილი მაქვს. დროდადრო ვკითხულობთ და ვიცინით. დათოს ამბავიც ამან გადამატანინა. მისი დღიურის პირველ გვერდად ვთვლი ნაკარნახებ ტექსტს, რომელიც მომწონს და მიყვარს: „დავიბადე 2001 წლის ნოემბერში. 19 რიცხვი იყო და მაგარი ამინდი... ახლა 6 წლის ვარ. უკვე სკოლაშიც წავედი და ვნახოთ, რა გამოვა. ვკითხულობ, ვწერ და, საერთოდ, ვმეცადინებო ოჯახის ხათრით. სამაგიეროდ, საკუთარი სურვილით ღრმა ბავშვობიდან ვესწრები სპექტაკლებს, წიგნებს გამომცემლობების მიხედვით ვირჩევ, არ ვტოვებ „კარუსელის“ ნომერს... ხშირად მნახავთ თეთრ ჩოხაში... სხვათა შორის, მიხდება!

ზუკა გავაშელი

ვარძიის გაგებების ეს გათვლილი საქართველოში პირველია

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ვარძიაში ივლისის თვეში კიდევ ერთი ახალი უბანი გამოჩნდა. პირველ ეტაპზე ორი ახალი იარუსი და მასში არსებული 10 ქვაბული გამოვლინდა. ახალი აღმოჩენის შემდეგ კლდის გამაგრებითი სამუშაოები დაიწყო. დამონტაჟდა აპარატურა, რომელიც ძეგლზე სეისმურ დაკვირვებას ახორციელებს. წინასწარ შერჩეულ, ყველაზე კრიტიკულ ადგილებში კლდის გამაგრების სამუშაოებს ქართველი სპეციალისტები იტალიელ და ინგლისელ კოლეგებთან ერთად ატარებენ. იუნესკოს მთავარი ექსპერტი, გეოლოგი კლაუდიო მარგოტინი განმარტავს, რომ კლდის გამაგრების აღნიშნული მეთოდი საქართველოში პირველია, ამიტომ ისინი ინტენსიურად დააკვირდებიან რამდენად გამართლებს:



კლაუდიო მარგოტინი

აქ, ვარძიაში, ბევრი პრობლემაა, რომლებიც კონსერვაციის საკითხებს უკავშირდება – როგორც მოხატულობის, ისე ქვების და ქვაბულების კონსერვაციას. ახლა სწორედ ამაზე ვმუშაობთ, ორი ჯგუფი, ბრიტანეთიდან და იტალიიდან, ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით. ჩვენს სამუშაოს რაც ეხება – ქვის კონსერვაციას – ამაზე უკვე რამდენიმე წელია ვმუშაობთ. ვატარებთ ქვების კოლაფსის მონიტორინგს, მაღალტექნოლოგიური სისტემებით ვაკვირდებით კლდის განვითარებას. ახლა ვინყებთ ვარძიის კლდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის გამაგრებას. ლითონის კონსტრუქციებით ვმუშაობთ – ისინი ბურღვით შეგვყავს ქვაში, რითიც ქვას ვამაგრებთ. ვაგებთ ლითონის ჩონჩხს, რომელიც ქვას კლდეში შენარჩუნების საშუალებას აძლევს. ახლა ვმუშაობთ გვირაბში, რომელიც ვარძიის ზედა ნაწილს ქვედასთან აკავშირებს. თუმცა მსგავსი ინტერვენცია ბევრ სხვა ადგილსაც სჭირდება. მაგრამ ამ გამოცდილების მიღების შემდეგ ქართველი კოლეგები და ექსპერტები დამოუკიდებლად შეძლებენ ამგვარი სამუშაოს გაგრძელებას.

ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ ვნახოთ, როგორ განვითარდა პროექტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. პროექტი წელს მთავრდება. კვლევის შედეგებს თავს მოუყრიან და დასკვნებიც აქედან იქნება გამოტანილი...

პიტ ბრაუნ

გამაგრების სამუშაოების პარალელურად, ვარძიაში კედლის მხატვრობის გადარჩენის პროგრამაც ხორციელდება. უძველესი მხატვრობის შენარჩუნების პროექტს ბრიტანული დონორი ორგანიზაცია ჯექსონის ფონდი აფინანსებს. ფონდის დამაარსებლის, პიტ ბრაუნის თქმით, პროექტის

ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტები კედლის მხატვრობის შესრულების ტექნიკასა და არსებულ მდგომარეობას შეისწავლიან:

სტუდენტები

ამ პროექტს თავიდანვე ვაფინანსებთ და იმედი გვაქვს მთავრობის მხარდაჭერით კვლავაც გავაგრძელებთ პროექტში მონაწილეობის მიღებას, სტუდენტებისთვის მაქსიმალური ცოდნის მიცემას, რათა შემდგომში ისინი საქართველოში დაბრუნდნენ, ასწავლონ და კონსერვაციის სამომავლო პროექტებს უხელმძღვანელონ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მთელ სპექტრში. ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ ვნახოთ, როგორ განვითარდა პროექტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. პროექტი წელს მთავრდება. კვლევის შედეგებს თავს მოუყრიან და დასკვნებიც აქედან იქნება გამოტანილი. მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ჩამოვედით დასარწმუნებლად, რომ ჩვენი ფული სწორად დაიხარჯა.



ვარძიის ისტორიულ კომპლექსში სარეაბილიტაციო და გამაგრებითი სამუშაოები მეორე წელია მიმდინარეობს, პარალელურად ხორციელდება კვლევებიც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ივლისის თვეში კიდევ ერთი ახალი უბანი გამოჩნდა. პირველ ეტაპზე ორი ახალი იარუსი და მასში არსებული 10 ქვაბული გამოვლინდა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი ამბობს, რომ კვლევები კვლავ გრძელდება:



ვარძია

ვარძიაში კვლევებისა და რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე ვართ. წელს განვაახლეთ არქეოლოგიური კვლევები და ძალიან მნიშვნელოვანი, ფაქტობრივად ახალი უბანი გამოჩნდა. ყოველწლიურად ახალი ფურცელი იშლება ვარძიის ისტორიისა.

ისტორიული ძეგლის რეაბილიტაციის პროექტი ახალ ეტაპზე გადავიდა. იმისათვის, რომ კომპლექსის ყველაზე კრიტიკული ადგილები არ ჩამოიშალოს, ექსპერტები გამაგრებით სამუშაოებს ატარებენ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ნიკოლოზ ანთიძის ინფორმაციით, მიმდინარე წელს მოეწყობა სველი ნერტილებიც და, მხატვრობის კონსერვაციის პროექტის მიხედვით, უშუალოდ სამუშაოები დაიწყება:

ნიკოლოზ ანთიძე

ყველაზე მთავარი პრობლემა ვარძიას წყლის უწესრიგობა ჰქონდა, ვმუშაობთ ამ მიმართულებით. გარდა ამისა, ვარძია განსაკუთრებული ძეგლია და მუდმივად მეთვალყურეობას საჭიროებს.

ვარძიაში, კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის მიზნით, მუშაობა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მიდის. მხოლოდ წელს პროექტის განსახორციელებლად მილიონ 200 ათასი ლარია გამოყოფილი. წლებანდელი გეგმა კედლის კვლევა, გამაგრება-კონსერვაცია, ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა, კედლის მხატვრობის დიაგნოსტიკა და ტურისტული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაა. პროექტი ხუთწლიანია და 2018 წელს დასრულდება.

მაია იველაშვილი

◆◆◆◆◆◆◆◆ **ღიბნა ნაბანებზე** ◆◆◆◆◆◆◆◆

– წმინდა ბერო, ღვთის მოსავო, გვავედრე უფალს, იყავ სულგრძელი, ვიცი, შენ ხარ ბრძენი მისანი. შეგვიბრალე, შეგვწიე მადლი, აგვიხსენ თვალი, იხმარე შენი თილისმის მადლი, გვითხარ, სად არის ჩემი ასული.

– ვერ დაგიმალავთ, რომ თქვენს ასულზე მაქვს წინასწარმეტყველება, მაგრამ მე განა ღვთის ნებას შეეცვლი, განა ამის შემწვევს უნარი, რომ ღვთის ნებას აღვუდგე წინ, დაგლუპოთ თქვენც და თქვენი ასულიც.

– რაო შე მხდალო, რაებსა რომავ – დაიქუხა გურიელმა – ჩქარა, ახლავე მითხარი სიმართლე, თუ გინდა შეგვრჩეს ეს ბილნი სული, მითხარ, სად არის ჩემი ასული?

კარებთან მისული მოხუცი შეჩერდა, მობრუნდა, განრისხებულ ბატონს მიუახლოვდა, ამღვრეულ თვალებში მშვიდად, გაბედულად ჩახედა.

– მე მუქარისა არ მეშინია, ანდა რით დამსჯი, ან რას წამართმევ, არ მაქვს სახლი, არ მაქვს მამული, თუ მომაკვდინებ, ამით რას ვაგებ, ამ ცოდვილ მინას თუ მომაშორებ,

იქ სამოთხეში იკურთხებს სული, იქ ნეტარება მომელის სრული.

– ტანჯვა-წამების არ გეშინია? – უფრო განჩხვდა გურიელი – ცხენის კუდზე რომ წვერით მიგაბამ. შენს ცოდვილ ლეშით ძალღებს გავაძლებ, განა ურჩობა ჩემთან გაგივა. თუ არ იქნები ჭკუამყოფელი შენი მისნობა ვერას გიშველის.

ბორგავდა გურიელი და პირიდან დუჟს ყრიდა, თვალებში ცრემლის მაგივრად სისხლი ჩასდგომოდა. მზად იყო აქვე ხანჯლით გაეგმირა, მოეხრჩო, მოეგუდა კადნიერი ბერი.

მოხუცი კი მორჩილად თავჩახრილი ისმენდა ბატონის მუქარას, იგი არსად ჩქარობდა, არსად ესწრაფოდა, არც დასჯისა ეშინოდა და არც წყალობის.

– რა გაგიმტყუნო გამწარებულ კაცს, შვილის დაკარგვა ვიცი, ძნელია, განა მე გულით არ მებრალეები, ნეტავ შემეძლოს დახმარება, ლოცვა-კურთხევა, არ დაგზოგავდი ძალსა და ღონეს, შეგავედრებდი ღმერთს და ღვთისმშობელს.

ახლა გადია ჩადგა ბატონსა და მოხუცს შორის, გულ-მხურვალედ დაუნყო ხვეწნა, ვედრება, ბოლოს მუხლებში ჩაუფარდა. მწირის მიხრწნილ, დასიებელ მუხლებს ხელი მოხვია და ისევ სავარძელში ჩაასვენა.

სავარძელში ჩამჯდარ მისანს ისევ მიუახლოვდა გურიელი.

– მითხარი მოხუცო, სად მყავს შვილი, ღმერთთან და კაცთან, მე ვაგებ პასუხს, მე დამაკისრე ყველა ცოდვები, მომხედე ბედკრულს, არ გებრალეები?

– ორ ცეცხლშუა ვარ მოქცეული, რა ვქნა, ვიხმარო ძალა გრძნეული, მაშინ თქვენს ასულს, საფრთხე მოელის და თუ დავტოვებ ბედის ამარა, ის უვნებელი დარჩება მარად.

– მიჯობს მკვდარი ვიხილო შვილი, ვიდრე ცოცხალი ვიტრო იგი.

– რაკი არ იშლი, იყოს ღვთის ნება, მე დავისაჯო ღმერთისაგან კრული, მხოლოდ ცოდვა შენ ზიდე ტვირთად, თუკი ცოცხალი არ ნახო შვილი.

– დიდი სიფრთხილე გმართებს თავადო, ვილაც თქვენს შორის მოლაღატა – დაიწყო მისანმა – აქ მოსჩანს მისი ბოროტი ხელი, მითხარ, ვინ გთხოვა შენი ასული? სწორედ რომ მისგან არის ნასროლი, ტყვიით ორნია მოკლული, ვერ გავარჩიე იგი ბედკრული, ვინ უნდა იყოს ალბათ თქვენია, იქვეა თქვენი ნატა ასული გაბნედილი და გონწასული.

– განა ეს არის უფლის ნება, განა ჩემს ასულს ასე ეწერა? კი მითხარი ის იცოცხლებსო და შეიბრალეხს ქვრივსა და ობლებსო.

– ნუ მანყვეტინებთ, ყური დამიგდეთ – განაგრძო მოხუცმა – ბოროტმა ძალამ ღმერთს ჩაერია, როგორც სატანა ბილწი ურია, ღმერთსაც და კაცსაც გზა აურია. მაგრამ მოიცათ, ვილაც გამოჩნდა, უახლოვდება იგი თქვენს ასულს, იგია მისი მფარველი ღმერთი, ხელს არვინ უშლის მარტოა ერთი და მიყავს იმას თქვენი ასული, რომ დაუბრუნოს სიცოცხლე. სრული და სანადელსაც მიაღწევს მგონი. მეტს ვეღარ ვხედავ, თვალს მჭრის ნათება, ეს მომავალი გზა არის მათი, როგორ განათდა წყვიდაი ბნელი. სჩანს მოუმართა უფალმა ხელი.

მოხუცის სიტყვებმა ყველას შეება მისცა, ყველამ შეებით ამოიხუნთვა. გადიამ სიხარულისაგან ქვითინი მორთო – ცოცხალია, ცოცხალი ჩემი ღვთაება. ბერის სიტყვებმა გურიელიც გაამხნევა სიხარულის ცრემლები მოიწმინდა, გულმა შეება იგრძნო, ნახავს, ნამდვილად ნახავს, თუკი სული უდგას, ნამდვილად მოძებნის და იპოვნის თავის ობოლ შვილს.

– ის მოლაღატე ვინ არის მოხუცო, თქვენში არისო წელან რომ მითხარ.

– მისი პოვნა არ არის ძნელი – გამოეპასუხა მოხუცი – თქვენ მას შეუქმეთ მარჯვენა ქველი და ვაჟკაცებში როგორც რჩეული, გყოლიათ თურმე გამორჩეული.

გურიელი გველნაკბენივით შეკრთა – „გამორჩეულიო“, გაიმეორა თავისთვის, ვინ უნდა იყოს? ხმამალა იკითხა ბოლოს და ირგვლივ მყოფთ თვალები შეავლო.

– აკი გითხარით, დიდო მთავარო, გუგუნავა სანდოა – ყურში ჩასჩურჩულა მოურავმა ბატონს.

– მეც ასე გული მითქვამდა უმალ, რომ ის წყეული მილაღატებდა – კბილებში გამოსცრა ბატონმა და ბაგე-

ულვაშების კვნიტა დაიწყო. გუგუნავა ყოფილა მოლაღატე, მან მომტაცა ჩემი ასული, საშინელი რისხვით დაიქუხა გაბოროტებულმა ბატონმა.

– არ დაიჯეროთ, დიდო ბატონო, მაგას არ იქმნიდა ჩემი გაზრდილი, იქნება სულ სხვას ამბობს მისანი – გულმხურვალედ ევედრებოდა სახლთუხუცესი გამძვინვარებულ ბატონს – ბატონი კი არ ცხრებოდა. ათასნაირ ხრიკებს იგონებდა – ვაჟკაცობაზე მუდამ თავს დებდა, თანატოლებს კი არადა აგდებდა, თურმე ლალატი ქონია გულში – ბორგავდა გურიელი.

– ვერანად იქცეს მისი სახლკარი, ლალატისათვის სიკვდილი ერგოს – გურიელის განაჩენმა თავზარი დასცა ყველას. არავის სჯეროდა ლევან გუგუნავას ლალატი. იგი ხომ კეთილშობილი, ბრწყინვალე თავადი იყო, ვაჟკაცური და მოწყალე გულის, ბრძოლაში შეუპოვარი, ლხინში უბადლო თამადა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი მოწყალე და მფარველი. არა, ლევანი ლალატს არ ჩაიდენდა, გურიელს ასე სამარცხვინოდ ქალს არ მოსტაცებდა და თავს ლაფს არ დაასხამდა. ესმოდა ეს ყველას, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, ყველაზე მეტად სახლთუხუცესი და გადია სწუხდა. არ კი სჯეროდათ, იმედს არ კარგავდნენ, იმედი ჰქონდათ, ბერი მაინც ამოიცნობდა ნამდვილ მოლაღატეს.

გამშაგებული გურიელი დარბაზში ბოლთას სცემდა, ბრაზისგან ხან ხელებს იჭამდა, ხან კი ბაგეულვაშს იკვნიტდა, მალიმალ ბერთან მივარდებოდა. მოუთმენლად მოელოდა ბერის გადამწყვეტ სიტყვას, მერე კი ყველას ჩამოურიგებდა თავ-თავის სასჯელს; სახლთუხუცესსაც თავის მიუზღვევდა, გადიასაც და ვინც გუგუნავას გამართლებდა. ახლა ნატას პოვნაზე მეტად მოლაღატის დასჯას ესწრაფვოდა, თვალებში სისხლი მოსწოლოდა და თვალებს უბრმავებდა, ყელში ღვარძლი და ბოლმა გასჩხეროდა, ხმას ვეღარ იღებდა.

დარბაზის კარები უხეში ჯახანითა და ხმაურით გაიღო, მალემსრბოლი შემოვარდა ქოშინით.

– უბედურება დიდო ბატონო – ძლივს ამოიოხრა ილაჯ-განყვეტილმა შიკრიკმა.

– რაო, რა მოხდაო – შეუბღვირა ბატონმა მოსულს და ყველანი სმენად გადაიქცნენ, რალაც ახალი უბედურების მოსასმენად.

– უბედურება დიდო ბატონო, ტყეში ვიპოვნეთ ლევანის გვამი. დამბარის ტყვიით არის მოკლული, მას მოასვენებს თავად ბაგრატი.

– ვაიმე, ლევან – ქალივით აქვითინდა სახლთუხუცესი, შენ მოგკლეს განა! მერე დედაშენს ვინ უთხრას, შენ ტყვია ვერაფერს დაგაკლებდა, ბოროტმა ენამ შენ მოგაკვდინა. მაგ სიკვდილით კი ჭორებს გადარჩი. ვაჟკაცი იყავ, ვაჟკაცად მოკვდი.

ლევანის დალუპვის ამბავმა ყველანი დაამწუხრა, ვის უნდა მოეკლა ლევანი? ნატას გატაცების ამბავს ახლა ბურუსი გადაეფარა. სასახლეში გლოვა და ზარი შეიქმნა, ნატას იდუმალებით გაუჩინარებას ლევანის ტრაგიკული სიკვდილი მოყვა. ეს მართლაც ლალატია, ნამდვილი ლალატი, ბრაზითა და მწუხარებით გაოგნებული გურიელი იდგა დარბაზის ბნელ კუთხეში, არ იცოდა, რა ელონა, რა გადაეწყვიტა. გონება მთლად დაუწლუნგდა, მაინც როგორ



გამიმნარდა სიბერე – ფიქრობდა სიბერითა და მწუხარებით დამწუხრებული მოხუცი – ასეთი რა დავაშავე ღმერთისა და კაცის წინაშე, რა დავაშავე, რა?.. იმეორებდა თავისთვის. მერე უნებლიედ თავისი ახალგაზრდობა მოაგონდა, მოაგონდა სიჭაბუკეში ჩადენილი ცოდვები. ბასილა მოძღვარის სიტყვები ჩაესმა ანაზღად ყურში „კაცმა რომ გაპატიოს, ღმერთი არ შეგარჩენს შენს აკვაცობასო“. აკი არც შემარჩინა – მნარედ ჩაიჩურჩულა თავისთვის და ბერს მივარდა.

– რეკვენო, მოხუცო შენ შთამაგონე, რომ მოყვასისათვის მენოდა მტერი.

– ცდებით თავადო, მე რაც გითხარით სრულად ახდებდა იგი ყოველი. გითხარით ორსა მოუკლავს მუხთალი, აკი იპოვნეს ერთსა გვამი.

– მამ სადღა იგი მეორე, რად ვერ იპოვნეს იგი გვამი – გველივით გაისისინა მოურავმა.

დარბაზში მთლად განამებული, ტანსაცმელშემოფლეთილი სახეშემილი ბაგრატი შემოვარდა.

– განზილდა ჩემი ძებნა და დევნა, ვერ დაგიბრუნეთ თქვენი ასული – სიტყვების ბორძიკით მიმართა ბაგრატმა გურიელს – უფრო უარესი ალბათ გაუნყეს, თავად ლევანის გვამს რომ წავანყდით.

– მითხარი შეილო, სად ნახეთ გვამი, მასთან თუ იყო რაიმე კვალი? – იკითხა ბერმა და ბაგრატი თავისთან მიიყვანა.

– გვამი ღრმა ხევში ვიპოვეთ პირქვე. იმ ვინრო ხევში კაცს რა უნდოდა. ტყვიანაკრავი ალბათ გარბოდა და რომ არ ეყო მუხლებში ძალა, იმ ვინრო ხევში გადაიჩეხა.

– სრულ სიმართლეს ამბობს ჭაბუკი, სჩანს კარგად უჭრის ჭკუა-გონება. აქ ხომ გამოჩნდა ორივე გვამი. ალბათ დაჭრილი ფიცხი ლევანი გაქცეულ ლაჩარ მკვლელს გამოუდგა. ვერ დააღწია, არ ეყო ღონე და იმ ბნელ ხევში გადაიჩეხა.

– რაო, მოხუცო, მეორე გვამი ვისია განა, ვინ არის მკვდარი, ფიცხლად შიშნარევი ხმით იკითხა ბაგრატმა.

მეორე ნატას გვამია ბაგრატ – ამას ლაღადებს მისანი, ქვითინით ამოიძახა ბატონმა.

– ეს სიცრუეა დიდო თავადო.

– ეს მართალია შეილო ბაგრატ – მოსთქვამდა გაღია – ღმერთმა და კაცმა ნაგვართვა იგი და ვერაფრით დავისენით. ვერც ღმერთთან ლოცვით, ვერც ფიცხი ბრძოლით.

– დიდო თავადო მომეცი ნება, ისევ მოვძებნო თქვენი ასული, ვით ტარიელი შმაგი და ფიცხი. დაგვლოცე თქვენი მხურვალე გულით. და მიბრძანო „უკუიქციო, დაბრუნდი შინა“. მე განზილბულს ველარ მიხილავთ, ღმერთსაც და კაცსაც შევეჭიდები და თუ ვერ შევძელ დანაპირები, უკვალოდ შთენილს ნუ დამიტირებთ, სთქვით, რომ ტრფობის წვავდა იარა, ლხინში მახსენეთ, ჭირში კი არა.

დარბაზი დუმდა, როგორც სენაკი ბნელით მოცული. ბერს თავისი საქმე მოეთავებინა. გურიელი ისევ იმ ჩაბნელებულ კუთხეში იდგა უჩუმრად.

– მოხუცმა თავისი ნივთები შავ ბოლჩაში ჩაალაგა, უბეკალთა ულამაზოდ ხელის ტლანქი მოძრაობით გაისწორა, მერე ბოლჩა ზურგზე მოიდო, წავიდა. კარები ზანტად გააღო და შეჩერდა, შემოტრიალდა.

– შევეურიგდეთ უნდა ღვთის ნებას, რადგან ასე სურდა განგებას, რომ თქვენი შვილი ჭკვიან, ბრძენ ხალხს ეყვარება, ვით დედა მხსნელი. ის არ მოკვდება, იცოცხლებს დიდხანს. მადლს და სიკეთეს მოუტანს მის ხალხს და ეყვარება ხალხს ნატა თქვენი როგორც ჭკვიანი, ბრძენი – თქვა მოხუცმა, პირფვარი გადაინერა და წავიდა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ნიკოლოზ თოიძე

გურული სუბრობები

ზაური სერაპიონიჩი ერთხელ დუქნებზე აბირჟავებს, დაინახა ნინიჩკა ვაშაკიძე ტომრით ზურგზე მოკიდებული მიდის. ჰკითხა – საით გაგინევიან ნინიჩკა ასეთი მძიმე ტომრითო? – ნისქვილში მივდივარ დასაფქვავადო, – უპასუხა ნინიჩკამ.

– ოხ, ტყვილა მიდიხარ, ნისქვილი გაფუჭებულია და არ მუშაობსო – უპასუხა ზაურიმ.

– რა ჯანდაბა მოუვიდა მაგ დასაქცეველს, რავა სულ გაფუჭებულიაო.

– რა და მარტო ზედა ქვა ბრუნავს, ქვედა კი არა.

– მოისპო ჩემი იღბალი, მაგას ახლა ვინღა გააკეთებსო, თქვა და სახლისკენ გაბრუნდა.

– ზაურიმ და მისმა ამსონებმა დიდხანს იხითხითეს (ნისქვილის ქვედა ქვა ბუნებრივად სულ გაჩერებულია).

* * *

ჩვენ სოფელში გრიბულოს სასიმინდეს ვილაც სიმინდის ქურდი შეეჩვია, მაგრამ ქურდის ვინაობას ვერ ადგენდნენ. გრიბულომ ასეთი რამ მოიფიქრა, სასიმინდეში საშინელ კბილებიანი დათვის დასაჭერი ჩაუდგა, თვითონ კი მიიმალა.

ერთ დღეს ხედავს გრიბულო, როგორ მიათრევს ფოკასიე შემომჯდარი ამ ხაფანგს და გაჭირვებისაგან კენესის, მაგრამ შიშისაგან შეპყრობილი ვერ ბედავს დაიძახოს, მიშველეთო.

ამ დროს თავზე წამოადგა გრიბულო და ფოკასიას ნიშნის მოგებით დაუძახა, – სად იყიდე ბიჭო ფოკასია მამ

ველოსიპედი? ფოკასიე ძლივს გამოათრევს ხაფანგიდან და სიკვდილამდე კოჭლობდა.

* * *

იორამ რამიშვილი სოფლის მალალ მთაზე ცხოვრობდა, ერთხელ გადანყვიტა, პროდუქტების ასატანად ცხენი ან ჯორი ეყიდა, ვილაცამ მიასწავლა, სოფელ ხევში ჯორი იყიდებო. მივიდა იორამი ჯორის პატრონთან, საქონელს შეთვალაიერება დაუნყო, – რა ღირს ბატონო თქვენი ჯორი? – ეკითხება იორამი. 1000 მანეთი ბატონო – უპასუხა გამყიდველმა. ფასის გაგონებაზე იორამს კინალამ გული შეუღონდა და გააპროტესტა. – კია ბატონო ძვირი, მაგრამ ჯორი 60 ნელი ცხოვრობსო. – კი ბატონო, მაგრამ ახლა თქვენი ჯორი 59 ნლის რომ იყოს, მაშინ რალა ვქნათო? ასე ორიგინალურად იყიდა იორამმა ჯორი 500 მანეთად, მოაჯდა ზედ და სახლისაკენ მოქუსლა.

* * *

შუაგორაზე მთაში არიან ასულები მიშა და სხვები. მიინახულეს ფერმა, დანაკლისი დანაკლისად მიითვალეს, წამოსვლამდე ერთი კარგად წაიქეიფეს, მიშა ხის ძირას დაჯდა, უშლაკუნებს პაპიროსს და სულ არ ადარდებს სოფელში დაბრუნება. ვილაცა ეძახის – მიშა, რას უცდი მაქანე? – ავტობუსს, – ღიმილით და მშვიდად უპასუხა მიშამ. არადა შუაგორაზე მაშინაც და ახლაც სამხიდიანი მანქანაც კი ვერ ადის.

სპარტაკ რამიშვილი

მანანა შაროზიას თვალის კლინიკა

გთავაზობთ უახლესი ტექნოლოგიებითა და მეთოდებით ბავშვთა და მოზრდილთა თვალის ისეთი დაავადებების კომპლექსურ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, როგორებიცაა: სიელმე, ამბლიოპია, რეფრაქციის ანომალიები (მიოპიური, ჰიპერმეტროპიული და შერეული ასტიგმატიზმები), კატარაქტა, გლაუკომის სანყისი სტადიები, ბადურის დისტროფიები, უცხო სხეულები, ტრავმები, მინისებრი სხეულის შემღვრევა, ბლუფარიტები, დაკრიოციტები, კერატიტები, ინფექციური და არაინფექციური გენეზის კონიუნქტივიტები და სხვა უცხო გენეზის დაავადებები.



მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №3
(ყოფილი შაროზიას ქუჩა) მეტრო მარჯანიშვილთან
ტელ: 2 95-98-98 მობ: 593 31-00-30; 593 94-86-26
E-mail: eyecliniesherozia@gmail.com

A scenic landscape of a mountain valley. In the foreground, a festival is taking place on a green field with many colorful tents and people. The middle ground shows a dense forest of evergreen trees. In the background, there are snow-capped mountains under a blue sky with some clouds. The title is written in a stylized, cursive font in the upper right corner.

မြန်မာ့အလင်း
သတင်းစာ
အတွက်
အထောက်အကူ
ပြုရန်

ISSN 2346-7606



9 772346 760009